პროექტორების დაპირისპირებამ საფინანსო პოლიციას საქმე გაუჩინა A2

შეღავათები ელექტროენერგიაზე ნაღდი ფულით ანაზღაურდება A6

ენერგორეფორმები გრძელდება, მაგრამ მდორედ B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 24 იანვარი, 2005 წელი. №15 (875)

ფასი 50 თეთრი

*ეკონომიკა*

### მარტიდან საერთაშორისო ზარები გაიაფდება



კომისიაში აცხადებენ, რომ ხელოვნურად მოქმედი ნორმების - ზღვრული ტარიფების გაუქმებით საკომუნიკაციო სფეროში სერიოზული რეფორმების და დერეგულირების პროცესი დაიწყო.

A4

*სამართალი*

### საპროტესტო აქციები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში



ქართველი მძევლის ახლობლების თქმით, დღეს ერგნეთის საგუშაგოსთან გაცილებით მეტი ადამიანი შეიკრიბება და საპროტესტო აქციის ფორმაც უფრო სერიოზული იქნება.

A7

# რუსული და თურქული ფული

## აფხაზეთის ეკონომიკის ხერხემალი

„24 საათის" საკუთარი კორესპონდენტი სოხუმიდან

შიდა რესურსების ანუ ფულის არარსებობა, ომისშემდგომი აფხაზეთის მთავარი პრობლემაა. დამოუკიდებლობას რესპუბლიკა ცარიელი ჯიბით შეხვდა, უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ მის შესავსებად შემდგომაც ვერ გამოინახა გზები. ყველაფერი, რასაც მოგების მოტანა შეეძლო, ომის დროს ან შემდგომ, 1994-1995 წლებში დაინგრა, როცა სრული განუკითხაობა სუფევდა. აფხაზეთის ეკონომიკის რეანიმაცია 1996-1998 წლებში ციტრუსების გადარჩენილი და ჩაისა და თამბაქოს მოუვლელი პლანტაციებით დაიწყო. ბიუჯეტი მხოლოდ საბაჟო შემოსავლების გზით ივსებოდა – სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანისა და სხვა საქონლის შემოტანის ხარჯზე. ტოტალური კორუფციისა და საბაჟო გადასახადების დამალვის პირობებში, ცხადია, შემოსავლები არა თუ მცირე იყო,

გაგრძელება A3-A8 გვერდზე



რუსეთმა ყველაზე დიდი ფული რკინიგზის აღდგენაში და სოხუმის სადგურის კოსმეტიკურ რემონტში დახარჯა.

## ვიქტორ იუშენკო:

# ჩვენ დავიცავით დემოკრატია

ნიკა თარაშვილი

*ძველად უკრაინაში ჰეტმანებს სრული ძალაუფლების სიმბოლოდ კვერთხს გადასცემდნენ, ხოლო შემდეგ ხალხი ტალახს ესროდა, - იმის ნიშნად, რომ ძალაუფლება ხალხმა მიანიჭა და ხალხსვე შეუძლია "სიბინძურით" შეამკოს. გუშინდელ ინაუგურაციაზე არავის შეჰპარვია ეჭვი ვიქტორ იუშენკოს "ხალხის რჩეულობაში". სამგზის არჩევნებგამოვლილ, ხავერდოვანი რევოლუციის ლიდერს უმაღლესი ძალაუფლების მინიჭების დასტურად შვედეთიდან სპეციალურად ჩამოტანილი ბოგდან ხმელნიცკის ნაქონი კვერთხი გადასცეს. აი, ტალახის მსროლელი კი არავინ გამოჩნდა, გასაკვირიც არ არის - ჰეტმანების მმართველობის შემდეგ ხომ ძალიან დიდი დრო გავიდა...*

გაგრძელება A5 გვერდზე



გუშინ უკრაინის ახალი პრეზიდენტის მმართველობის ვადა დაიწყო.

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

*ამინდი*

| | 24/1 | 25/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | 9 |
| ქუთაისი | 8 | 9 |
| ბათუმი | 9 | 9 |
| სოხუმი | 4 | 6 |
| ფოთი | 9 | 9 |
| თელავი | 7 | 8 |
| ზუგდიდი | 9 | 9 |
| გორი | 2 | 6 |
| ახმეტა | 6 | 7 |
| ჭიათურა | 4 | 7 |
| გაგრა | 2 | 3 |
| სამტრედია | 9 | 9 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3696 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4009 |
| რუბლი | 0.0648 |

გრძელდება ხელმოწერების კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45 ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.



A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მონიტორინგი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# აჭარის პოლიციის შეფს ბრალდებებს უყენებენ

აჭარის უმაღლესმა სასამართლომ ერთი თვის წინ დაკავებული, ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორის უფროსის ამირან ქობულაძის ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და იგი კვლავ წინასწარ პატიმრობაში დატოვა. აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ამირან ქობულაძეს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება, კერძოდ კი, იზოლატორიდან ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე პატიმრის გათავისუფლება ედება ბრალად.

პროკურატურამ მაშინ ქობულაძესთან ერთად ქალაქის პოლიციის შეფი ილია ჯორთმენაძე და ორი პოლიციელი დააკავა. თუმცა, მათგან წინასწარი სამთვიანი პატიმრობა ძალაში მხოლოდ ქობულაძეს დაუტოვეს.

იზოლატორის ყოფილი უფროსის, ადვოკატის შუამდგომლობის საქმეზე სასამართლო პროცესი გუშინ ქობულაძის ნათესავების საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. ქობულაძის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ სასამართლო პროკურატურის ზეწოლას განიცდის.

"ქობულაძის ადვოკატის ემზარ პაქსაძის მტკიცებით, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აჭარის პოლიციის შეფის გიორგი პაპუაშვილის მიერ მოწყობილი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. ილია ჯორთმენაძე პაპუაშვილის მოადგილედ გადაჰყავდათ, პაპუაშვილმა კი იგი ოსტატურად ჩამოიცილა, რასაც ქობულაძე ემსხვერპლა," - აცხადებს ქობულაძის ადვოკატი. პატიმრის ახლობლები ორშაბათიდან ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან.

**ინტერ-პრესი**

# შინა პატიმრობა ხანძრის მიზეზით

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გუშინ შინა პატიმრობა მიუსაჯა დიმიტრი ხურციძეს და ტარიელ მეფარიძეს, რომლებიც პოლიციამ ქუთაისის მერიაში რამდენიმე თვის წინ მომხდარ ხანძართან დაკავშირებით გუშინწინ დააკავა. მაშინ ხანძარმა მერიის შენობის მეოთხე სართული და სახურავი მთლიანად გაანადგურა.

"დაკავებულები შიდა პატიმრობაში იქნებიან მანამ, სანამ მათი ბრალეულობის საკითხი საბოლოოდ არ გაირკვევა," - ასეთია სასამართლოს გადაწყვეტილება. ბრალდებულების ადვოკატი დალი სულაქველიძე ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და მის საოლქო საამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

ხურციძე და მეფარიძე ქართულ-გერმანული ფირმის "კონკორდია ბაუ ჰაუზის" მუშები არიან. ისინი მერიის დაკვეთით სამუშაოებს ასრულებდნენ, როდესაც შენობას ცეცხლი გაუჩნდა.

**ინტერ-პრესი**

# არასამთავრობოები კორუფციის წინააღმდეგ

სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს რეგიონულ ოფისში შეკრებილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სტუდენტური კავშირების ხელმძღვანელებმა ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ კორუფციაზე იმსჯელეს. შეხვედრას, რომელიც "თავისუფლების ინსტიტუტის" ინიციატივით გაიმართა, ამ ორგანიზაციის სათავო ოფისის ლიდერებიც დაესწრნენ.

სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის უფროსმა ირაკლი კირთაძემ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კორუფციის მამხილებელი მასალები წარმოადგინა. "პირადად მითხრა ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა ტარიელ ჭილვარიამ, რომ მასთან გამოცდა 10 ლარი ღირს, ხოლო სხვებთან მისი ჩაბარება 100 ლარამდე ადის," - აღნიშნა შეხვედრაზე კირთაძემ.

სტუდენტების მტკიცებით, ყველაზე მეტად კორუფცია ქუთაისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ყვავის, სადაც ყალბი დიპლომებიც იყიდება. არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ ეს უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფოს შემოსავლებს უმალავს, რასაც ერთი თვის წინ შემოწმებაზე შესული ფინანსური პოლიციის მასალებიც ადასტურებს

**ინტერ-პრესი**

# მიხეილ სააკაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე 26 იანვარს გამოვა

25 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე მონაწილეობის მიზნით, სტრასბურგში გაემგზავრება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე მისი გამოსვლა 26 იანვრისთვისაა დაგეგმილი. თავად სხდომები 24-28 იანვარს გაიმართება.

მიხეილ სააკაშვილი 30-წუთიან გამოსვლაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე ისაუბრებს. იგი ასამბლეის წევრებს ოსეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტასთან დაკავშირებით ქართული მხარის ხედვას გააცნობს.

26 იანვარსვე განიხილება საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრები, რომლებიც სტრასბურგში უკვე გაემგზავრნენ, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წევრების მიერ მომზადებული შენიშვნების ნაწილს იზიარებენ. თუმცა, აჭარის სტატუსთან დაკავშირებით მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

თავად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომის დღის წესრიგიც საკმაოდ დატვირთულია. 24 იანვარს მოხდება საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურა ქართველებსაც ჰყავთ - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი გიორგი არველაძე.

*მედიანიუსი*

# ინვესტორი პრეზიდენტს დახმარებას სთხოვს

შპს "საქართველოს თამბაქოს წარმოების" ყოფილმა ინვესტორმა და თანამშრომლებმა სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს და საქართველოს პრეზიდენტს დახმარება სთხოვეს.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში ქარხნის ინვესტორის, ჰუსეინ ალის წარმომადგენელმა მუნა პირინმა განუცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრი მიზანმიმართულად აჭიანურებს დასკვნას იმ მინდობილობის სისწორის თაობაზე, რომლის საფუძველზეც ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ გასული წლის 16 სექტემბერს ჰუსეინ ალის კუთვნილი საწარმოს აქციათა 90 პროცენტი ახმედ იუნესს გადასცა, რის შედეგადაც "საქართველოს თამბაქოს წარმოება" ავთო წერეთლის მფლობელობაში გადავიდა.

აქციის მონაწილეების განცხადებით, მათ იმედი აქვთ, რომ თბილისის საოლქო სასამართლო ჰუსეინ ალის სარჩელს დააკმაყოფილებს და ქარხანას მის მფლობელობაში დააბრუნებს.

*პრაიმ-ნიუსი*

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„რადიო დილა“ ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



„სტუმარი საქართველოდან“ - ბაქოში

# პრორექტორების დაპირისპირებამ საფინანსო პოლიციას საქმე გაუჩინა

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მორიგ სკანდალში გაეხვა, საქმე ამჟამად პრორექტორ ომარ ლანჩავას კაბინეტის აღჭურვილობას ეხება, რომელიც ერთი შეხედვითაც საეჭვოდ მდიდრულად გამოიყურება. ლანჩავას კაბინეტის ინვენტარის საერთო ღირებულება 11 ათას ლარამდე აღწევს. თანაც შემოწმებისას ნივთების უმეტესობა ადგილზე არ აღმოჩნდა.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

დაახლოებით ერთი თვის წინ, სტუდენტთა აქტივობის შედეგად, უნივერსიტეტის რექტორი ავთო ნიკოლეიშვილი გადადგა. მაშინ სტუდენტები კორუფციასა და სხვადასხვა დარღვევებზე მიუთითებდნენ. დღეს კი რექტორის მოვალეობას პრორექტორი ომარ ლანჩავა ასრულებს, რომლის კაბინეტის აღჭურვილობამაც გარკვეული კითხვები გააჩინა. 3600 ლარიანი მაგიდა, 1200 ლარიანი მობილური ტელეფონი, სამი ნავთქურა, ძვირადღირებული გენერატორი, ორი ტელევიზორი, მაცივარი და ა. შ. ინვენტარიზაციის უწყისს თავად ლანჩავა აწერს ხელს. საინვენტარიზაციო კომისიის ყოფილი თავჯდომარის თენგიზ სარალიძის განმარტებით, აღწერისას ნივთების გარკვეული ნაწილი ლანჩავას კაბინეტში არ აღმოჩნდა. ამავე დროს, სარალიძე მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტების გამოაშკარავების შემდეგ, ლანჩავამ იგი საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა.

შემოწმებას საფუძვლად ყოფილი რექტორის ავთანდილ ნიკოლეიშვილს დავალება დაედო, რომელმაც რამდენიმე თვის წინ, გადადგომამდე, უნივერსიტეტის პრორექტორსა და საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარეს თენგიზ სარალიძეს, უნივერსიტეტის ქონების აღნუსხვა დაავალა.

**"მუშაობა პირველი კორპუსიდან დავიწყეთ. ბუღალტერმა თავდაპირველად მითხრა, რომ ყველა ნივთი ადგილზე იყო, რაშიც ეჭვი შემეპარა და მისგან თითოეული ნივთის აღრიცხვა მოვითხოვე. კონკრეტული მაგალითიც დავუსახელე. კერძოდ პრორექტორის ომარ ლანჩავას კაბინეტში მაცივარი არ იდგა,"** - განაცხადა თენგიზ სარალიძემ. პირველი კორპუსის აღწერის დასრულების შემდეგ კი მან შეიტყო, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა იგი კომისიის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა. **"როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ბრძანებას საფუძვლად სტუდენტური ორგანიზაციის წარმომადგენლების მოთხოვნა დაედო, თუმცა წერილობითი ფორმით ასეთი მოთხოვნა არ არსებობს. უფრო მეტიც, სტუდენტური ორგანიზაციები მეუბნებიან, რომ მათ არაფერი მოუთხოვიათ,"** - ამბობს სარალიძე. საინტერესოა ისიც, რომ სარალიძის ნაცვლად თავმჯდომარედ ლალაძე დანიშნეს, რომელიც თავადაა უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის უფროსი.

**"გამოდის, რომ მან, ფაქტობრივად, საკუთარი თავი უნდა შეამოწმოს?! სინამდვილეში, ჩემი განთავისუფლება გამოიწვია იმან, რომ ბუღალტერს დაჟინებით მოვთხოვე, უნივერსიტეტის ქონება ზუსტად აღერიცხა. თანაც, პრორექტორის კაბინეტში რამდენიმე დარღვევა დაფისქირდა. მაგალითად, ომარ ლანჩავას კაბინეტის ინვენტარში მითითებულია საწერი მაგიდა, რომლის ღირებულებაც 3602 ლარს შეადგენს. ასეთი მაგიდა მის კაბინეტში არ არსებობს. შემოწმებისას ადგილზე არ იყო 2 ტელევიზორი, ნავთქურა – "ტურბო", შტორი, მაცივარი, ჭაღი, გენერატორი. ანდა შეიძლება კაბინეტის გასანათებლად 856 ლარიანი გენერატორი შეიძინო? ამავე დროს, ლანჩავას ორი ტელეფონი აქვს. ერთი "სიმენსის" ფირმის - 230 ლარად ღირებული. მეორე კი - 1267 ლარის ღირებულების. აი, ეს გახლდათ მიზეზი ჩემი განთავისუფლებისა, თორემ 28 დეკემბერს შეიძლებოდა ასეთი ბრძანების დაწერა?"** - აღნიშნავს თენგიზ სარალიძე. მისივე განმარტებით, საინვენტარიზაციო კომისიას, სამეურნეო დარგის მუშაკები, შეძენილი ინვენტარის შესახებ საქმის კურსში არ აყენებდნენ.

მოქმედი წესით, შეძენილი ინვენტარი ჯერ უნივერსიტეტის საწყობში უნდა შესულიყო, შემდეგ კი კაბინეტ-ლაბორატორიების მიხედვით განაწილებულიყო.

თენგიზ სარალიძესთან საუბრისას გაირკვა ისიც, რომ უნივერსიტეტს რეალურად სამი, მაქსიმუმ ოთხი ათასი სტუდენტის მიღება შეუძლია, თუმცა დღეს იქ 7000 სტუდენტი სწავლობს. **"სტუდენტების ასეთმა უსისტემო მიღებამ გამოიწვია ის, რომ უმრავლესობას ლექციაზე შესვლა და გამოცდის ჩაბარება აღარ უნდა. ამან კი კორუფციის მაღალ დონეს დაუდო საფუძველი,"** - აცხადებს სარალიძე.

რაც შეეხება უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ ომარ ლანჩავას, იგი ბრალდებებს უარყოფს და სარალიძეს რეფორმის მოწინააღმდეგესა და პირადი მოტივებით განაწყენებულ კაცს უწოდებს: **"საინვენტარიზაციო კომისია ათეული წლების განმავლობაში არანაირ სამუშაოს არ ასრულებდა. მე, როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მიზანშეწონილად ჩავთვალე, რომ კომისიის შემადგენლობა და თავმჯდომარე შემეცვალა. კომისიის თავმჯდომარედ მიხეილ ლალაძე თავნიშნე, რომელიც თავადაა პასუხიმგებელი უნივერსტიტეტის მთელ ინვენტარზე."**

კითხვაზე, თუ როგორ უნდა შეამოწმოს სამეურნეო ნაწილის უფროსმა ლალაძემ საკუთარი სამსახური, ლანჩავამ შემდეგი უპასუხა: **"არა, ლალაძემ უნდა შეამოწმოს უნივერსიტეტი. იგი პასუხუმგებელია უნივერსიტეტის ინვენტარზე. შეიძლებოდა კომისიის თავმჯდომარე ბუღალტერიც ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც მივიჩნიეთ, რომ ლალაძე უნდა დანიშნულიყო. თანაც იგი ახალი კადრია, მან უნდა იცოდეს, რა დარჩა მემკვიდრეობად. მე ეს გადაწყვეტილეა მართებულად მიმაჩნია."**

რაც შეეხება 3600-ლარიან საწერ მაგიდას, ლანჩავა ამბობს, რომ იგი 10-12 წლის წინაა ნაყიდი და მას კაბინეტში აღარ დახვედრია. 1200 ლარიანი ტელეფონის შესახებ კი ამბობს: **"ეს არის შესანიშნავი ციფრული ტელეფონი, რომელიც იღებს ფოტოებს და ვიდეოს. მე ბაგრატის ტაძარზე გათხრებს 1984 წლიდან ვხელმძღვანელობ, ვარ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერთანამშრომელი. ასეთი ტელეფონი კი აღმოჩენების გადაღებაში მეხმარება. მეორე ტელეფონიც აქა მაქვს, დაზიანებულია, ელემენტი არ მუშაობს. ტელეფონიც ხომ უნივერსიტეტისაა? თქვენ ერთი სარალიძის ტელეფონის ხარჯი ნახეთ, თვეში 300 ლარზე ნაკლები არ მოსდის. ამ ფულით 10 ჩემნაირ ტელეფონს იყიდდა. ამავე დროს, ახლახან, ავტოავარიაში უნივერსიტეტის კუთვნილი ავტომობილი დაამტვრია, ზარალი კი დღემდე არ აუნაზღაურებია."**

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული დაპირისპირებები და დარღვევები მხოლოდ ზემოთაღნიშნული ფაქტებით არ ამოიწურება, სწორედ ამიტომაც უნივერსიტეტს ამჟამად ფინანსური პოლიცია ამოწმებს. მათ მუშაობა ახალი დაწყებული აქვთ. თუ რა დარღვევებს აღმოაჩენს პოლიცია, აუცილებად შეგატყობინებთ.

# დღეს შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომა გაიმართება

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით, დღეს შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომა გაიმართება, რომელსაც მოსკოვიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდან მიწვეული დელეგაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ამის შესახებ განაცხადა კონფლიქტების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა კონფლიქტის ზონაში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდეს. ამ მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მოსკოველ და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ტელეფონით ესაუბრა. კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების შესახებ საქმის კურსშია საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც.

ვოლსკის განცხადებით, დღეისთვის დაგეგმილ საგანგებო სხდომაზე ქართული მხარე ქართველი მძევლის - ერედვის პოლიციის უფროსის ლადო ჩალაურის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს. "ჩალაური გატაცებულია მხოლოდ იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა განხორციელდეს" - აღნიშნა მან.

რაც შეეხება ოსური მხარის წინადადებას ქართველი პოლიციელის ოს კრიმინალში ფუხაევში გაცვლის თაობაზე, ვოლსკის განცხადებით, არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ ფუხაევს ორი ადამიანი განზრახ ჰყავს მოკლული. ამასთან, მისი თქმით, ობიექტურობის მაქსიმალური დაცვის მიზნით, ქართული მხარე მზად არის, ფუხაევის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში ე.წ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამართალდამცველები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩართოს. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

### "კონსერვატორები" პრივატიზებიდან მიღებული თანხებით შიდა ვალის დაფარვას მოითხოვენ

"კონსერვატორები" აპროტესტებენ მთავრობის პოზიციას, რომლის თანახმად, პრივატიზაციიდან შემოსული თანხები საქართველოს საგარეო ვალების გასტუმრებას უნდა მოხმარდეს. როგორც "კონსერვატიული პარტიის" თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური განმარტავს, აღნიშნული მოსაზრება სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია "202"-ის ეთერში გამოთქვა.

**"კონსერვატორები" კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით მთავრობის აღნიშნულ განზრახვას და მოვითხოვთ, პრივატიზაციიდან შემოსული თანხები შიდა ვალების და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად იქნეს მიმართული,"** - აღნიშნა მან.

ძიძიგურის განცხადებით, მთავრობამ პრივატიზაციიდან მიღებული თანხები გაუფასურებული ანაბრების ეტაპობრივი ანაზღაურებისთვის უნდა გამოიყენოს.

**"2004 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის მიხედვით, 2005 წელს საქართველო საგარეო ვალების მომსახურებისთვის 217 მლნ ლარს გაიღებს. საგარეო ვალის ძირითადი თანხის დასაფარად 173 მლნ ლარია გათვალისწინებული, პროცენტების დასაფარად კი - 43 მლნ ლარი. ეს მაშინ, როცა საშინაო ვალებისთვის ბიუჯეტში არაფერია გათვალისწინებული,"** - განაცხადა ძიძიგურმა.

"კონსერვატორები" საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხები თანაბარი პროპორციით განსაზღვროს როგორც საგარეო, ისე შიდა ვალების დასაფარად.
**ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** პოლიტიკური მოძრაობა "ერთიანი საქართველოს კონსერვატორების" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია ქუთაისის მთავრობის ლეგიტიმურობის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეაქვს. როგორც პარტიის საქალაქო ორგანიზაციაში მიაჩნიათ, ქუთაისს უკანონო, დანაშაულებრივი და არაპროფესიონალი მთავრობა მართავს. ქუთაისელი "კონსერვატორების" მიერ გამართული ბრიფინგის მთავარი თემა სწორედ ადგილობრივი მთავრობის კრიტიკა იყო. "არ შეიძლება, ადამიანი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მერის მოვალეობის შემსრულებელი იყოს. გია გიორგაძე კანონის სრული იგნორირებით იკავებს ამ თანამდებობას," - განაცხადა ბრიფინგზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ძოწენიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის სამსახურმა გუშინწინ, გვიან ღამით, გაჩიანში სპეცოპერაცია ჩაატარა. დაკავებულია ნავთობის დატაცებაში ეჭვმიტანილი ორი პირი. როგორც გაირკვა, დაკავებულები სპეციალური მოწყობილობის საშუალებით "საქნავთობის" ჭაბურღილიდან ტონობით ნავთობს იპარავდნენ. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ეჭვმიტანილთა წრე გაიზრდება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ხონის რაიონის პოლიციის თანამშრომლებს გუშინ ახალი უფროსი წარუდგინეს. ამ თანამდებობაზე ზესტაფონელი ანზორ კაკაურიძე დაინიშნა. პროფესიით იურისტ კაკაურიძეს სამართალდამცველ სტრუქტურებში მუშაობის 27-წლიანი გამოცდილება აქვს. ბოლო წლებში ის ბორჯომის პოლიციის უფროსი იყო.

"ყველანაირად ვეცდები, ხონში წესრიგი დამყარდეს. ამისათვის ბევრია გასაკეთებელი, ამიტომ, ჩემი წინამორბედი, როგორც გამოცდილი ადგილობრივი კადრი, ჩემს გვერდით დარჩება და ერთად ვიმუშავებთ," - აცხადებს პოლიციის ახალი უფროსი. ბოლო ათი წლის მანძილზე ხონის პოლიციას ადგილობრივი კადრი თამაზ ბახტაძე მართავდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პრემიერი თემურ ქურხული დღეს ისანი-სამგორის რაიონში ახალ გამგებელს გიორგი ქორქაშვილს წარადგენს. ამ თანამდებობაზე დანიშნვამდე ქორქაშვილი ისანი-სამგორის რაიონში ჯერ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი იყო. ისანი-სამგორის რაიონში გამგებლის თანამდებობა მას შემდეგ გათავისუფლდა, რაც კახა საყვარელიძემ ვიცე-პრემიერის პოსტი დაიკავა. მანამდე კი ამ თანამდებობას ზურაბ ადამია იკავებდა. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რუსული და თურქული ფული აფხაზეთის ეკონომიკის ხერხემალი



სოხუმის ნავსადგური.



ახალი სასტუმრო სოხუმში.

პირველი გვერდიდან

არამედ საერთოდ არ არსებობდა. იმ წლებში, საკუთარი რესურსების იმედად, ტურიზმის განვითარებაზე საუბარიც კი ფუჭი იქნებოდა.

შიდა ბიზნეს-რესურსების ზრდა მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გახდა შესამჩნევი.

მეწარმეები, რომლებიც საკუთარ ბიზნესს ჯიხურებით იწყებდნენ, მხოლოდ ბოლო პერიოდში გაიზარდნენ მაღაზიებამდე, მცირე საწყობებამდე, რესტორნებამდე და საწარმოებამდე, ანუ იმ დონემდე, რომელსაც მცირე ბიზნესს უწოდებენ.

ერთი სიტყვით, შიდა რესურსებზე დაფუძნებული ბიზნესი ცხოვრებას მხოლოდ დღეს იწყებს.

ამიტომ ყველაფერი, რაც აფხაზეთში დიდი ზომებით და თანამედროვე ანტურაჟით გამოირჩევა, უმეტესწილად შიდა ინვესტიციების ხარჯზე არსებობს.

თუ აფხაზეთში ჩადებული რუსული და თურქული ინვესტიციების მოცულობას შევადარებთ (სხვა ინვესტიციები აფხაზეთში არც არის), მაშინ ასეთ შეფარდებას მივიღებთ 80/20. აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროში საინვესტიციო გარემოს მდგომარეობის ანალიზისა და განვითარების შესახებ ვერც ერთ ინფორმაციას და კონკრეტულ ციფრს ვერ მოიპოვებთ. მათ ამგვარი ინფორმაცია, უბრალოდ, არ გააჩნიათ ერთი მარტივი მიზეზის გამო – რუსული კაპიტალით ამუშავებული თითქმის ყველა საწარმოს დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ საწარმო დაარსებულია აფხაზეთის მოქალაქის მიერ, მისი საკუთარი სახსრებით. იმას, რომ ბიზნესი რუსული ფულის წყალობითაა შექმნილი, მხოლოდ ირიბი ნიშნებით შეიძლება მიხვდეთ, მაგალითად - იმით, რომ კომპანიონებს რუსული გვარები აქვთ. ან კიდევ, როცა ბიუჯეტში მოკრძალებული თანხის შემტანი მეწარმე ასობით ათას დოლარს ხარჯავს "საუკუნის მშენებლობისთვის." საკუთარი თავის ღიად დაფიქსირება ინვესტორებისთვის რამდენიმე მიზეზის გამო წამგებიანია, ამ მიზეზებზე ქვემოთ მოგახსენებთ.

აფხაზეთში ლეგალური ინვესტორები მხოლოდ თურქული კომპანიებია. თუმცა, მათი ღია მოღვაწეობა სხვადასხვა ჩინოვნიკებთან მუდმივი შეხლა-შემოხლის მიზეზი გახდა.

### აფხაზეთის საინვესტიციო ბაზრის წყალქვეშა მეჩეჩები

აფხაზეთში ცივილიზებული საინვესტიციო ბაზარი ვერ ჩამოყალიბდა, თუნდაც იმის გამო, რომ ამ სფეროში თამაშის მკაფიოდ განსაზღვრული წესები არ არსებობს. არავითარი გარანტიები ხელისუფლების მხრიდან ინვესტორებს არა აქვთ. არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობაც. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადება დღეს მომგებიანია, მაგრამ საკუთარი თავის, როგორც ინვესტორის ღიად დაფიქსირება - წამგებიანი. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი ინვესტორების თავისუფალი მოქმედება აფხაზეთში შეზღუდულია მთელი რიგი საკანონმდებლო მექანიზმებით. პირველ რიგში, ეს ეხება უძრავი ქონების შეძენას, ამავე დროს, უცხოური კომპანიებისთვის გართულებულია როგორც მოქმედი ბიზნესი, ასევე იმ ბიზნესის შესყიდვაც, რომელიც სერიოზულ რეანიმაციას საჭიროებს. ვთქვათ, უცხოელმა ინვესტორმა გამოთქვა სურვილი, საკურორტო ბიზნესის ობიექტში ჩადოს ფული. ვიდრე მას ამის საშუალება მიეცემა, გამოცხადდება აუქციონი. აუქციონზე პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივ კომპანიებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი გაცილებით უარეს პირობებს შესთავაზებენ.

ხოლო, თუკი რომელიმე ობიექტის მიმართ ინტერესი ადგილობრივმა კომპანიამ გამოიჩინა, ის ამ ობიექტს ყოველგვარი კონკურსისა და აუქციონის გარეშე მიიღებს.

ცალკე პრობლემაა უძრავი ქონების შეძენა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ თქვენ აფხაზეთის მოქალაქე არ ხართ, უფლება არ გაქვთ, შეიძინოთ არათუ სერიოზული უძრავი ქონება, არამედ საკუთარი ბინაც კი.

აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადებას არავითარი პრივილეგია არ მოაქვს. სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალური კლიმატის გამოცოცხლება სრულებით არ აისახება დაბეგვრის მინიმალიზაციაზე. პირიქით, ჩინოვნიკების დამოკიდებულებაში ინვესტორების მიმართ სულ სხვაგვარი ლოგიკა მუშაობს. საგადასახადო და სხვა შემოწმებები უცხოელ ინვესტორთა საწარმოებში გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე სხვა ორგანიზაციებში. კანონების შესრულების მოთხოვნა ხშირად პირდაპირ დაკავშირებულია იმაზე, თუ ვინ არის ობიექტის მფლობელი – უცხოელი ინვესტორი თუ აფხაზეთის მკვიდრი. კანონმორჩილებას უფრო მეტად უცხოელებს სთხოვენ. მოქმედებს პრინციპი: რადგან შენ მოხვედი ფულით, ე.ი. შენგან უფრო მეტის "წაღლეტა" შეიძლება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც აფხაზეთში საინვესტიციო ბაზრის განვითარებას ამუხრუჭებს, არის მიწის ყიდვა-გაყიდვის სფეროში სამართლებრივი აქტების არარსებობა. პირველი – მიწა არ ექვემდებარება გაყიდვას. ის შეიძლება მხოლოდ 25 ან 49 წლით იჯარით გაიცეს. მართალია, ეკონომისტები ირწმუნებიან, ამგვარი პრაქტიკა ინვესტიციების მოზიდვას ხელს არ უშლისო, მაგრამ სინადვილეში ინვესტორები ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას ამ "საიჯარო კაპიტალიზმის" გამო. ამავე დროს, მოქმედებს ე.წ. "დაშორების ზონა". ეს ნიშნავს იმას, რომ სანაპიროსთან 500 მეტრის სიახლოვეს ნებისმიერი მშენებლობის წამოწყებას პარლამენტის სპეციალური დადგენილება სჭირდება. ალბათ, ყველასათვის ცხადია, რომ ნაპირიდან 500 მეტრის დაშორების მანძილი - ეს ის ტერიტორიაა, რომლითაც ყველაზე ხშირად ინტერესდებიან ინვესტორები. მართალია, ეს წესი მხოლოდ ქაღალდზე მოქმედებს და, რეალურად, პარლამენტს მსგავს მშენებლობებზე არც ერთი ნებართვა არ გაუცია, მაგრამ ნებისმიერ დროს ამ სამართლებრივმა აქტმა შეიძლება დიდი პრობლემები შეუქმნას ინვესტორს, რომელმაც საკმაოდ სოლიდური თანხა დახარჯა სანაპიროზე რაიმე ობიექტის ასაშენებლად. ცხადზე უცხადესია, რომ მსგავსი სამართლებრივი აქტები კარგი საშუალებაა ინვესტორებზე ზეწოლისთვის. შეიძლება მშენებლობა ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყო, მაგრამ როცა ჩინოვნიკებს ინვესტორზე "დაწოლა" დასჭირდებათ, საამისოდ მათ საკმაოდ კარგი ბერკეტი ექნებათ. ხოლო თუ ინვესტორმა გადაწყვიტა, კანონს გვერდი არ აუაროს და მშენებლობის ნებართვა, წესისამებრ, პარლამენტს სთხოვოს, მაშინ ამ ინვესტორის "მოწველას" გაცილებით უფრო ადრე შეუდგებიან, ვიდრე სამშენებლო სამუშაოები დაიწყება.

კიდევ ერთი პრობლემა: აფხაზეთში სრულებით არ არის განვითარებული სადაზღვევო ბიზნესი. არა თუ ინვესტორს, უბრალო ავტომობილის მფლობელსაც კი არ შეუძლია საკუთრების დაზღვევა. დღევანდელ აფხაზეთში შეიძლება მოვძებნოთ არაერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ინვესტორს. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს აცხადებდნენ, რომ აუცილებელია გადაიხედოს ყველა საიჯარო შეთანხმება, განსაკუთრებით კი - ტურიზმის სფეროში. ცხადია, ამ შეთანხმებათა დიდი ნაწილი კანონის გვერდის ავლით, ხშირ შემთხვევაში ქრთამებით ან კიდევ ბიზნესში ჩინოვნიკების ჩართვით არის მიღწეული. ამასთან, ჩადებულია დიდძალი ფული და ახალი ხელისუფლების მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგებმა, შესაძლოა, ინვესტორებს საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენოს.

არასოდეს ხელისუფლება რეალურად არ ზრუნავდა საინვესტიციო გარემოზე. ინვესტიციებზე ზრუნვა მხოლოდ სიტყვიერი დეკლარირებით შემოიფარგლებოდა. ბოლო პერიოდში აფხაზეთი ბიზნესმენთა არაერთმა ჯგუფმა მოინახულა, მაგრამ სერიოზულ საქმეში ფულის დაბანდება მათ ვერ გაბედეს და მხოლოდ მცირე საწარმოებით შემოიფარგლნენ.

ასე რომ, აფხაზეთში ინვესტიციების სურათს ქმნიან პროექტები, რომელთა ბიუჯეტი, სულ რაღაც, 2-3 მილიონი დოლარია. მეორე მხრივ, არაერთი ათეული ობიექტის შეიძლება დასახელდეს, რომლებიც ინვესტორებმა "ყოველი შემთხვევისთვის" შეიძინეს. არავითარი ღონისძიებები ამ ობიექტების ასამუშავებლად არ ხორციელდება, მათ მომავლისთვის, ძირითადად, გასაყიდად ინახავენ.

### საინვესტიციო ბაზრის მონოპოლისტები

იმ ფონზე, რომ ინვესტიციების სერიოზული შემოდინება თითქმის არ არსებობს, გაჩნდნენ კომპანიები, რომლებიც ინვესტიციების საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს უზრუნველყოფენ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის კომპანია "ჩეგემი," რომელსაც პარლამენტის დეპუტატი ბესლან ბუტბა ხელმძღვანელობს. ბუტბას, რომელიც მოსკოვში ექვსი სამშენებლო კომპანიის თანადამფუძნებელია, სამშენებლო ბიზნესი სოხუმშიც აქვს. თუმცა, თავის ბიზნესს ის "წარადგენს," როგორც ჰუმანიტარულ აქციას მშობლიური ქალაქის დასახმარებლად. ბუტბა ხშირად იმეორებს, თითქოს სოხუმში მშენებლობები საკმაოდ წამგებიანია და, თუ არა ის, სხვა არავინ გარისკავს სოხუმის გასაშენებლად ფულის დახარჯვას. თუმცა, ასე არ ფიქრობენ ეკონომისტები. მათი აზრით, ბუტბას მიზანი სოხუმის საკმაოდ პერსპექტიული სამშენებლო ბაზრის მონოპოლიზაციაა და ამის მისაღწევად იგი მზადაა, პარლამენტში ლობირება გაუწიოს უცხოელი ინვესტორების მიმართ თამაშის წესების კიდევ უფრო გამკაცრებას. საქმე ისაა, რომ ბუტბას კომპანიების ფინანსური შესაძლებლობები გაცილებით მწირია, ვიდრე იმ უცხოური კომპანიების, რომელთაც უკვე გამოთქვეს ინტერესი სოხუმის ტურისტული ობიექტების მიმართ. ეს კომპანიები, რომლებიც სოხუმში უახლოეს მომავალში ჩამოსვლას გეგმავენ, დაკავშირებულნი არიან როგორც მოსკოვის მერიასთან, ასევე სახელმწიფო დუმის ზოგიერთ დეპუტატთან. ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, ეს სტრუქტურები გაგრისა და ბიჭვინთის პლაჟების შესყიდვას გეგმავენ, თუმცა ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტში. თავის მხრივ, ბუტბამ ხელში ჩაიგდო სოხუმის უძრავი ქონების ყველაზე გემრიელი ლუკმები. საუბარია, პრაქტიკულად, მთელ სანაპიროზე და მიმდებარე პარკებზე, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, სასტუმროების კომპლექსის მშენებლობა იგეგმება. ბუტბამ უკვე შეაკეთა სოხუმის ერთ-ერთი ცნობილი სასტუმრო "რიწა", რომელიც წლევანდელი საკურორტო სეზონის დასაწყისისთვის ამოქმედდება. გარდა ამისა, ბუტბამ შეიძინა ნახევრადდანგრეული კინოთეატრი "აფსნი", რესტორანი "მოსკოვი" და მთელი რიგი სხვა ობიექტები, რომელთა აღდგენა უკვე დაწყებულია. ბუტბას ობიექტებზე რემონტი საკმაოდ ნელი ტემპებით მიმდინარეობს, რაც, სავარაუდოდ, არასაკმარისი სახსრების ბრალია. ცხადია, ახალი, მდიდარი ინვესტორები, ინტერესს პერსპექტიული საკუთრებისა და მიწის მიმართ გამოიჩენენ, რომელიც უკვე ბუტბას კონტროლქვეშაა მოქცეული. ამდენად, ისინი აუცილებლად შეეცდებიან, ეს ობიექტები ბუტბას გამოაცალონ და ხელში ჩაიგდონ. თუ გავითვალისწინებთ ახალ ინვესტორთა ფინანსურ შესაძლებლობებს, მათ გავლენასა და აფხაზეთის ახალი ხელისუფლების ლოიალურ დამოკიდებულებას მათ მიმართ, ბუტბას ბიზნესი საკმაოდ დიდი საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს. სხვათა შორის, საკანონმდებლო ბაზა საამისოდ არსებობს. კანონის თანახმად, კერძო პირებისთვის გადაცემული ობიექტები, რომლებიც რესტავრაციას საჭიროებენ, შეკეთებული და ექსპლუატაციაში გაშვებული უნდა იყოს გადაცემიდან არაუგვიანეს ორი წლისა. ბუტბას მიერ შეძენილ ზოგიერთ ობიექტზე კი სარემონტო სამუშაოები უკვე ორ წელზე მეტია, მიმდინარეობს.

ეს კარგად იცის თავად "აფხაზმა ოლიგარქმაც" და აქტიურად ცდილობს, პოლიტიკური თავშესაფარი მოძებნოს. კერძოდ კი, მან უფასოდ შესთავაზა სოხუმის ცენტრში მდებარე საკუთარი ოფისი რუსულ პოლიტიკურ პარტია "როდინას", რომელსაც რუსი დეპუტატი დმიტრი როგოზინი ხელმძღვანელობს. ბუტბას მიერ გადაცემულ შენობაში რამდენიმე დღის წინ პარტია "როდინას" წარმომადგენლობა გაიხსნა. ცნობილია, რომ სწორედ ფრაქცია "როდინას" დეპუტატები იჩენენ ყველაზე დიდ ინტერესს აფხაზეთის, კერძოდ კი, მისი ეკონომიკის მიმართ. მაგალითად, აღნიშნული ფრაქციის ერთ-ერთი დეპუტატი აქტიურად ლობირებს გორკის ავტოქარხნის ავტომობილების სავაჭრო ქსელის აფხაზეთში შექმნას.

დღეისათვის, რუსეთის მიერ აფხაზეთში განხორციელებული ყველაზე მასშტაბური საინვესტიციო პროექტი რუსული მონოპოლისტის - "რუსეთის რკინიგზის" მიერ აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის აღდგენაა. სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია და იგი ინვესტორს შვიდი მილიონი დოლარი დაუჯდა. ამ თანხაში შედის სარკინიგზო საფარისა და ელექტროგაყვანილობების შეკეთება, სოხუმის რკინიგზის სადგურის კოსმეტიკური რემონტი და ბილეთების გაყიდვის რუსეთის ფედერალური სისტემის - "ექსპრესის" დანერგვა. უნდა აღინიშნოს, რომ "რუსეთის რკინიგზის" ხარჯებით სამუშაოები მხოლოდ ფსოუ-სოხუმის მონაკვეთზე ჩატარდა. უახლოეს მომავალში მსგავსი სამუშაოები ჩატარდება სოხუმი-ოჩამჩირეს მონაკვეთზე, რის ხარჯებსაც ასევე "რუსეთის რკინიგზა" დაფარავს. რუსეთის რკინიგზამ უკვე იცის, რა დაჯდება გალის რაიონში რკინიგზის აღგდენა, მაგრამ აქ ყველაფერი დამოკიდებულია სატრანზიტო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე.

უნდა ითქვას, რომ ფსოუსა და ოჩამჩირის დამაკავშირებელი რკინიგზა ადრეც ფუნქციონირებდა, მაგრამ შელახული სარკინიგზო საფარის გამო ამ მონაკვეთზე მატარებლები შეზღუდული სიჩქარით – 40 კმ/სთ-ში მოძრაობდნენ. სახიფათო იყო ასევე სატვირთო მატარებლების გადაადგილებაც. ანუ ამ შემთხვევაში საუბარი სარკინიგზო ინფრასტრუქტურის "ნულიდან" აღდგენაზე კი არა, მხოლოდ მის შეკეთებაზეა.

დღეისათვის აფხაზეთში ყველაზე ძვირი საინვესტიციო პროექტი ტყვარჩელის კარიერების დამუშავებაა. თურქულმა კომპანია "თამსაშ"-მა ამ პროექტში უკვე 35 მილიონი დოლარი ჩადო, თუმცა თავდაპირველად საუბარი მხოლოდ 18 მილიონზე იყო. საქმე ის არის, რომ თურქები საკმაოდ დიდ ტექნიკურ პრობლემებს გადააწყდნენ მაშინ, როცა უკვე თანხის

გაგრძელება A8 გვერდზე

**"24 საათი" და "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია"**
იწყებენ ახალ პროექტს:

**"საგადასახადო კოდექსის განმარტებები".**

**ყოველ ორშაბათს -** ახალი საგადასახადო კოდექსის ექსპერტული განმარტება.
**ყოველ ოთხშაბათს -** ექსპერტთა პასუხები თქვენს კითხვებზე.

კითხვები შეგიძლიათ ჩააწერინოთ ტელეფონებზე: 20 24 24 ("24 საათი") ან 93 64 75 ("ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ცხელი ხაზი) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა - 12 საათიდან 15 საათამდე.
ასევე გამოაგზავნოთ ინტერნეტით:
e-mail: economics@24hours.ge ან office@economists.ge
გამოაგზავნოთ ფოსტით ან დატოვოთ "24 საათის" საფოსტო ყუთში. მისამართი: თბილისი. ვაჟა-ფშაველას 45

## მოკლედ

### დღეიდან გადასახადის გადამხდელები რეგისტრაციის ახალ ფორმებს შეავსებენ

დღეიდან გადასახადის გადამხდელები რეგისტრაციის ახალ ფორმებს შეავსებენ. როგორც საგადასახადო დეპარტამენტში აცხადებენ, საგადასახადო აღრიცხვის წესებისა და ფორმის შეცვლის აუცილებლობა რეგისტრაციის პროცესის სირთულემ და გადამხდელთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის არარსებობამ განაპირობა.

ახალი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნის საფუძველზე რეგისტრაციას გაივლის ყველა გადამხდელი ორგანიზაცია ტერიტორიული მდებარეობის ან საქმიანობის ადგილის მიხედვით.

ცვლილებებია გადამხდელთა რეგისტრაციის პროცესშიც. დღეისათვის არსებული 9 ფორმის ნაცვლად, შეივსება მხოლოდ 1, მუშაობა კი კომპიუტერიზაციის პირობებში წარიმართება.

დეპარტამენტში მიაჩნიათ, რომ ყველა გადამხდელისთვის მაქსიმალურად გამარტივდება ურთიერთობა საგადასახადო ინსპექციებთან. ამ ეტაპზე, საქართველოს მასშტაბით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ჩათვლით, 200 ათასზე მეტი გადამხდელია რეგისტრირებული. აქედან, გადასახადების აქტიური გადამხდელი მხოლოდ 50 ათასია. **ინტერ-პრესი**

### ლარის კურსი კვირის განმავლობაში ერთი თეთრით დაეცა

ეროვნული ვალუტის კურსი კვირის დასაწყისში ნახევარი თეთრით გამყარდა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით დაეცა და აშშ დოლართან მიმართებაში 1,815-დან 1,825 ლარამდე დავიდა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში განუცხადეს, "თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე" სავაჭრო კვირის განმავლობაში (17-21 იანვარი) ბრუნვის საერთო მოცულობამ 2,735 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ოდნავ ჩამოუვარდება წინა კვირის იგივე შედეგს (3,165 მლნ აშშ დოლარი), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დღესასწაულის გამო, 19 იანვარს სესია არ გამართულა.

ბირჟაზე კომერციული ბანკები აქტიურობდნენ, რომლებმაც მთლიანად აითვისეს გასაყიდად გამოტანილი უცხოური ვალუტის რესურსი. ეროვნულ ბანკს ვაჭრობაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია.

ამავე პერიოდში ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში 1 აშშ დოლარის ყიდვა-გაყიდვის კურსები 1,82-1,83 ლარის ფარგლებში მერყეობდა.

კვირის საბირჟო ვაჭრობები უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნილების ზრდით ხასიათდებოდა, მიწოდების საკმაოდ მცირე მოცულობის ფონზე. წინა კვირას ეროვნულმა ბანკმა ბირჟაზე სავარაუდო დეფიციტის დასაფარად 1,15 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

ახალი წლის შემდგომ პერიოდში უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდა აღინიშნა. შედეგად, ლარის კურსი ორ კვირაში 1,79 ნიშნულიდან, პრაქტიკულად, გაუტოლდა წინა წლის ბოლო მაჩვენებელს 1,8256. **პრაიმ-ნიუსი**

### ფოთის ნავსადგურის ტერმინალების მოიჯარეებთან ახალი კონტრაქტები გაფორმდა

გუშინ ფოთის ნავსადგურის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ტერმინალების მოიჯარეებთან ("პრომეტკო ჯორჯია", "მეტალექსი" და "ჯსკ") საიჯარო კონტრაქტებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ დოკუმენტებს მოეწერა ხელი ნავსადგურის რეკონსტრუქციისა და განვითარების განყოფილების შენობაში.

მოქმედ საიჯარო კონტრაქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტები 2004 წლის 6 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე შემუშავდა.

ცვლილებების შედეგად, საიჯარო თანხა, დაახლოებით, 40 პროცენტით გაიზარდა, რაც ნავსადგურის შემოსავალს მკვეთრად გაზრდის.

რაც შეეხება იჯარის ვადას, იგი ადრე განსაზღვრული 15 წლის ნაცვლად, 25 წლამდე გაიზარდა.

გარდა ამისა, მსგავსი პირობებით ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს მე-8 ტერმინალის მოიჯარესთან, რომლის საფუძველზეც, მოქმედ საიჯარო კონტრაქტებში იანვრის ბოლომდე გაფორმდება ცვლილებები და დამატებები.

ხელმოწერის ცერემონიას ნავსადგურის ხელმძღვანელი თემურ მიმინოშვილი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დანელია დაესწრნენ. **ინტერ-პრესი**

### დაპირისპირება ბათუმში

**"ქალაქი ბათუმი ნაღმზე ზის და არავინ იცის, როდის აფეთქდება,"** - აცხადებს ბათუმის ნავთობბაზის დირექტორი ჯემალ ქიქავა, რომლის თქმით, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე ნავთობნედლეულით დატვირთული სარკინიგზო შემადგენლობები ყოველგვარი უსაფრთხოების ზომების დაცვის გარეშე იცლება. მოძველებულია ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობაც.

როგორც ქიქავამ ბათუმში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქარხნის ტერიტორიაზე რამდენიმე დღის წინ, ნავთობით დატვირთული ვაგონი მოძველებული ლიანდაგიდან გადავარდა და ქარხანა ხანძარს სასწაულებრივად გადაარჩინეს.

ჯემალ ქიქავას თქმით, დაუშვებელია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ფუნქციონირების გაგრძელება, თუ იქ სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარდა. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ბათუმი ხანძრის საშიშროებისგან დაცული ვერ იქნება,"** - აცხადებს ბათუმის ნავთობბაზის დირექტორი.

"ინტერ-პრესი" ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორს, ცნობილ ბიზნესმენს თენგიზ ქოქოლაძეს დაუკავშირდა, რომელიც ჯემალ ქიქავას ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ნავთობბაზის დირექტორი მისთვის კონკურენციის გაწევას არაჯანსაღი მეთოდებით ცდილობს.

ჯემალ ქიქავა და თენგიზ ქოქოლაძე ერთმანეთს ჯერ კიდევ ორი თვის წინ დაუპირისპირდნენ. მაშინ ჯემალ ქიქავა თენგიზ ქოქოლაძეს ბათუმში ნავთობის დეფიციტის ხელოვნურად შექმნაში ადანაშაულებდა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გარიგებების საერთო მოცულობა 4 მლნ ლარს გაუტოლდა საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების მიმდინარე კვირას ჩატარებულ აუქციონებზე. როგორც ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოდან აცხადებენ, ამ პერიოდში, 17 და 21 იანვარს მხოლოდ ორი აუქციონი ჩატარდა, სადაც გარიგებების მოცულობა, შესაბამისად, 3 მლნ და 1 მლნ ლარით განისაზღვრა. საკრედიტო რესურსების ვადიანობა, ისევე როგორც წინა კვირას, 28 დღეს შეადგენდა, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 9 პროცენტის დონეზე კვლავ უცვლელი დარჩა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეტროსადგურ "ვაგზლის მოედნის" მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ბაზრის "თერგის" მოვაჭრეები, ბაზრის ადმინისტრაციის მიერ დღიური გადასახადის 3-დან 5 ლარამდე გაზრდას აპროტესტებენ. როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, გადასახადის არგადახდის შემთხვევაში, ბაზრის ადმინისტრაცია მათი ადგილების სხვებისთვის იჯარით გადაცემას გეგმავს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ადგილები ერთი წლის წინ 300 დოლარად აქვთ შესყიდული მათივე თქმით, ბაზრის ადმინისტრაციას დღიური გადასახადის გაზრდის უფლება არ აქვს.. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შაბათს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ენერგეტიკისა და სახელმწიფო მინისტრებთან - ნიკა გილაურთან და კახა ბენდუქიძესთან - ქვეყნის ენერგოსექტორში არსებული ვითარება განიხილა. სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე მსხვილი ობიექტების პრივატიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზეც იმსჯელეს. განისაზღვრა პრიორიტეტები პრივატიზაციის შედეგად შემოსული თანხების ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში გადასანაწილებლად. როგორც ცნობილია, პრივატიზაციიდან შემოსული თანხებიდან 80 მილიონი ლარი ენერგეტიკის რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს. **ინტერ-პრესი**

# ბიუროკრატიული აპარატისა და კორუფციის წნეხი კვლავ ძლიერია

*დააღწია თუ არა ბიზნესმა თავი საბოლოოდ ჩინოვნიკთა წნეხს ახალი ხელისუფლების პირობებში? რამდენად სწორად მიმდინარეობს ბიზნესის რეგულირების რეფორმა? რა ნაბიჯები გადადგა ხელისუფლებამ დერეგულაციის სფეროში 2004 წლის პირველ ნახევარში? - ასეთი გახლდათ მთავარი კითხვები, რომელზე პასუხის ძიებაც გახლდათ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის (EPRC) მიერ გასული წელს განხორციელებული მონიტორინგის მიზანი. მონიტორინგი USAID-ის პროექტის საწარმოთა განვითარების ინიციატივის (GEGI) მხარდაჭერით და ხელმძღვანელობით განხორციელდა. ამ მონიტორინგის პროცესში უნდა შეფასებულიყო, რამდენად სწორი იყო სახელისუფლებო ნიბიჯები და მათი გამჭვირვალობის ხარისხი 2004 წლის პირველ ნახევარში.*

თამარ ივანიძე

რამდენიმე დღის წინ, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ცენტრის ინიციატივით, საწარმოთა მონიტორინგი განხორციელდა როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში - ლიცენზირების ნებართვების, რეგისტრაციის, სერტიფიცირების, სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შემოწმებებსა და ჩარევების კუთხით.

**"აღნიშნული მონიტორინგი და კვლევა გახლავთ პირველი მცდელობა საქართველოში, რომ რაოდენობრივად გაიზომოს და დაითვალოს ადმინისტრაციული წნეხის მაჩვენებელი ბიზნესზე,"** - აღნიშნულია მოხსენებაში.

კვლევამ მოიცვა საქართველოს სამი ქალაქი. კერძოდ: თბილისი, ქუთაისი და რუსთავი. კვლევა განხორციელდა 500 საწარმოში. რესპონდენტები შერჩეულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესიდან, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ 2004 წლის აგვისტოსათვის. თბილისში კვლევა 295 საწარმოში ჩატარდა, ქუთაისში - 110 საწარმოში და რუსთავში - 95 საწარმოში. გამოკითხულთა 60 პროცენტი საშუალო ბიზნესის წარმომადგენელია, 40 პროცენტი კი - მცირე ბიზნესის. გამოკითხულ კომპანიათა 22,4 პროცენტი ახალშექმნილი კომპანიაა.

**"განხორციელებულმა კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ ბიუროკრატიული აპარატისა და კორუფციის წნეხი ბიზნესზე 2004 წლის I ნახევრის მონაცემებით კვლავ ძალზედ ძლიერია. კვლევამ აჩვენა, რომ: 1. კომპანიის წარმომადგენლები თავისი სამუშაო დროის დაახლოებით 5 პროცენტს ხარჯავენ ადმინისტრაციულ ორგანოებთან საქმის გარკვევაზე, რაც ძალზედ დიდი მაჩვენებელია, 2. საწარმოთა ხელმძღვანელები ადმინისტრაციულ ორგანოებს თავისი შემოსავლების დაახლოებით 2 პროცენტამდე აძლევენ არაოფიციალურად და 3. კომპანიის წარმომადგენლები საკმაოდ ხშირად აძლევენ ქრთამს მაკონტროლებელი ორგანოების ჩინოვნიკებს,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

თუმცა აღსანიშნავია, რომ დასკვნის თანახმად, გასულ წელთან შედარებით, კომპანიათა შემოწმებების, ლიცენზირებისა და ნებართვების და სერტიფიცირების სფეროში საწარმოები 1. შედარებით ნაკლებ დროს ხარჯავენ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას, 2. ადმინისტრაციული ორგანოების ჩინოვნიკთა ნაკლები თანამშრომლები აწუხებენ მათ 3. ნაკლებ არაოფიციალურ გადასახადს სთხოვენ და მათ ბიზნესს სახელმწიფო რეგულირების წნეხი ნაკლებად აფერხებს.

2004 წლის პირველი ნახევრის კვლევის მონაცემებით, საწარმოებისათვის ყველაზე დიდი პრობლემა საგადასახადო სისტემა გახლდათ. შესაბამისად, საგადასახადო სისტემა უფრო რთული პრობლემა იყო, ვიდრე რეგულირების ყველა სხვა სახეები.

ცენტრის ინფორმაციით, გამოკითხული რესპონდენტები საგადასახადო სისტემას ყველაზე შემაფერხებელ პრობლემად მიიჩნევენ და საგადასახადო სისტემის პრობლემებიდან გამოყოფენ მაღალ გადასახადებს, საკანონმდებლო არასტაბილურობას, რაც თავისთავად იწვევს ჩრდილოვანი სექტორის მხრიდან არათანაბარი კონკურენციის პირობების შექმნას.

**"აღსანიშნავია, რომ მართლაც დასაფასებელია ხელისუფლების ის ძალისხმევა, რომელიც ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით გამოიხატა, თუმცა რეფორმის რეალური შედეგები ჯერ წინაა და ახალი საგადასახადო კოდექსის თაობაზე კვლევებს შემდგომ მონიტორინგში წარმოგიდგენთ, რომელიც 2005 წლის პირველ ნახევარში განხორციელდება,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

ცენტრის დასკვნით, მონიტორინგის პირველმა ეტაპმა გვიჩვენა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესზე ადმინისტრაციული რეგულირების პრობლემები უმთავრესად დაკავშირებულია კანონმდებლობასთან. აღსანიშნავია, რომ შემოწმებების გამჭვირვალობა, ისევე როგორც ლიცენზირების და სერტიფიკაციის პროცესი, გამოსწორებულია. ასევე აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით, ადმინისტრაციული წნეხის მაჩვენებელმა მართლაც იკლო და, რა თქმა უნდა, ეს დადებითი ტენდენციაა, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ იძლევა.

**"პირველი მონიტორინგი ხელისუფლების ცვლილებიდან მალე განხორციელდა და, ამიტომაც, ახალი ხელისუფლების პერიოდში ბიზნესის მდგომარეობის შესახებ უფრო ამომწურავი სურათი მონიტორინგის შემდგომ ეტაპზე წარმოჩნდება. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-გარემოს შემაფერხებელ ფაქტორად კვლავაც ქვეყნის ზოგადი მაკროეკონომიკური სიტუაცია და ბაზრის სისუსტე რჩება. კვლავაც დიდ პრობლემად რჩება ენერგომატარებლებზე მაღალი ტარიფები,"** - ნათქვამია დასკვნაში.

ამას გარდა, კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლო სისტემა საკმაოდ არაეფექტურად მუშაობს კორპორაციული დავების გადაჭრისას, რადგანაც საწარმოები აღნიშნავენ, რომ სასამართლოები ხშირ შემთხვევაში კორუმპირებულია და, ამავე დროს, არაადეკვატურად რეაგირებენ კორპორატიულ და ქონებრივ დავებზე. თუმცა, კვლევამ გვიჩვენა, რომ სიტუაცია, წინა ხელისუფლებასთან შედარებით, აქაც სასიკეთოდ იცვლება.

# მარტიდან საერთაშორისო ზარები გაიაფდება

სოფიკო ოხანაშვილი

*მარტიდან საქართველოში საერთაშორისო ზარებზე ტარიფები ორი მესამედით გაიაფდება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ოპერატორ კომპანიებს 15 მარტიდან შესაძლებლობა მიეცემათ, საბაზრო ურთიერთობებისა და ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებში, საერთაშორისო ზარებზე ტარიფები თავად დააწესონ, რადგან კომისიის მიერ დადგენილი ტარიფების ქვედა ზღვრები გაუქმდება.*



იური ლობოდინის ფოტო

*კომისიაში აცხადებენ, რომ ხელოვნურად მოქმედი ნორმების - ზღვრული ტარიფების გაუქმებით საკომუნიკაციო სფეროში სერიოზული რეფორმების და დერეგულირების პროცესი დაიწყო.*

კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ კომუნიკაციების ბაზარზე არსებული ბარიერებისა და სასათბურე პირობების გაუქმება საერთაშორისო ზარებზე არსებული ტარიფების ქვედა ზღვრების გაუქმებით დაიწყო.

კომისიის მიერ მიმდინარე წლის 15 იანვარს მიღებული დადგენილებით, საქართველოში შემომავალ ზარებზე არსებული შვიდცენტიანი ზღვრული ტარიფი გაუქმდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **"შემომავალი ზარების ტარიფები თავად უცხოურ და ქართულ კომპანიებს შორის მოლაპარაკების შედეგად განისაზღვრება,"** - აცხადებენ კომისიაში.

ზღვრული ტარიფები 2001 წელს დაწესდა ანუ მაშინ, როდესაც საკომუნიკაციო ბაზარზე სულ რამდენიმე საერთაშორისო ოპერატორი ფუნქციონირებდა. სხვა საკითხია, ზღვრული ტარიფები ვინმესთვის სასათბურე პირობების შექმნას ითვალისწინებდა თუ არა, დღეს ოფიციალური ვერსია ასეთია - კომპანიებს ფინანსურად ფეხზე მყარად დასადგომად სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდებოდათ. საუკეთესო გამოსავალი ქვედა ზღვრის დაწესება იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საერთაშორისო ოპერატორებს უფლება არ ჰქონდათ, საქართველოში შემომავალი და გამავალი ზარის მომსახურება უცხო ქვეყნის ოპერატორისთვის კომისიის მიერ დადგენილ ტარიფზე (შემომავალ ზარზე შვიდი ცენტი) იაფად გაეყიდათ, რაც საერთაშორისო ოპერატორებისთვის ნაწილობრივ გარანტირებული შემოსავლის საფუძველს წარმოადგენდა. თუმცა, რის მიხედვით მოხდა ამ ზღვრების დადგენა, დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კომისიაში გაუჭირდათ. "24 საათის" ამ კითხვაზე საპასუხოდ მხოლოდ ის თქვეს, რომ რაღაც გათვლები არსებობდა, მაგრამ ზუსტი ეკონომიკური გაანგარიშებები არ იყო.

დღეს კი, კომისიაში, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ზღვრულმა ტარიფებმა თავისი დრო "მოჭამეს," რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ოპერატორებს ბაზარზე სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე, დამოუკიდებლად, მოუწევთ კონკურენციის პირობებში ფუნქციონირება. **"როცა ბაზარზე 33 კომპანიაა, ზღვრული ტარიფი, რომელსაც მხოლოდ ახალფეხადგმული კომპანიების ხელშეწყობა ევალებოდა, ზედმეტი დამაბრკოლებელი ფაქტორია, რომელიც ყველაზე მეტად მოსახლეობას აზარალებს და, პრინციპში, უკვე ხელს უშლიდა ბაზრის ნორმალურ განვითარებას,"** - განაცხადა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა და იქვე ისიც განმარტა, რომ გარანტირებული თანხის იმედით კომპანიები, რომლებიც წლების განმავლობაში უზარმაზარ მოგებაზე მუშაობდნენ და ამ მოგებას არცთუ ისე დიდი შრომის ფასად იღებდნენ, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის თავს აღარ იწუხებდნენ.

ზღვრული ტარიფები დაწესებული იყო როგორც საქართველოდან გამავალ, ასევე საქართველოში შემომავალ ზარებზე. შემომავალი ზღვრული ტარიფისგან განსხვავებით, გამავალი ზარების ქვედა ზღვარი ყველა ქვეყნისთვის განსხვავებულია.

ოპერატორ კომპანიებს უკვე მომზადებული აქვთ გამავალი ზარების მომსახურების პაკეტები, რასაც ისინი კომისიას უახლოეს მომავალში შესთავაზებენ. დეტალები მარტში გახდება ცნობილი. თუმცა, უკვე ცხადია, რომ საერთაშორისო საუბრები 15 მარტიდან ორი მესამედით გაიაფდება. გამავალ ზარებზე 15 მარტიდან ზღვრული ტარიფების გაუქმება კარგად აისახება მომხმარებლის ჯიბეზე და ნაწილობრივ, უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო ოპერატორების ფინანსურ მდგომარეობაზე – მოგება შემცირდება. **"საერთაშორისო ოპერატორები შემომავალ ზარებთან დაკავშირებით აბსოლუტურად გვეთანხმებოდნენ. რაც შეეხება გამავალ ზარებს, რამდენიმე მათგანს, ბუნებრივია, ჰქონდა საწინააღმდეგო პოზიცია, იქიდან გამომდინარე, რომ მათთვის ეს ნაწილობრივ ფინანსურად არ აღმოჩნდება მომგებიანი. საერთო ჯამში, შეჯერებული პოზიცია გვაქვს. არაფერი არ კეთდება ბიზნესისგან მოწყვეტილად,"** - განმარტა ქიტოშვილმა. თუმცა, იქვე დააკონკრეტა, რომ კომისიის პრიორიტეტი არ უნდა იყოს რომელიმე ოპერატორის ან კომპანიის გარანტირებული მოგების უზრუნველყოფა, არამედ პრიორიტეტი მომხმარებლის უფლებებისა და ძირითადი საბაზრო პრინციპების დაცვა უნდა იყოს.

საერთაშორისო ოპერატორები, ზოგადად, ეთანხმებიან კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინიციატივასა და იმ არგუმენტებს, რომ ზღვრული ტარიფების გაუქმება ხელს შეუწყობს ბიზნესის გათეთრებას და კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებას. თუმცა, როგორც "ტელეკომის" ფინანსური დირექტორის მოადგილემ მიხეილ ზიბზიბაძემ "24 საათთან" საუბარში განმარტა, ამ ინიციატივის სრულად ასამოქმედებლად აუცილებელია ორი საკითხის დარეგულირებაც: ურთიერთჩართვის ტარიფის შემცირება და მომსახურების ხარისხის დადგენილი სტანდარტების შემოღება. (ურთიერთჩართვის ტარიფი - ეს არის იმ მომსახურებისთვის გადასახდელი თანხა, რასაც საერთაშორისო ოპერატორი სატელეფონო კომპანიას ზარის დასრულებისთვის უხდის. ამ დროისთვის მოქმედი ტარიფი ექვსი თეთრია.)

**"ურთიერთჩართვის ტარიფი ძალიან მაღალია. აუცილებელია, ის დანახარჯებზე ორიენტირებული გახდეს. ახლა ჩვენ შემომავალ ზარებზე ტარიფები 5-6 ცენტამდე შევამცირეთ და ხარჯები იგივე დაგვრჩა. ეს საკითხი თუ არ დარეგულირდა, საერთაშორისო ოპერატორებს, რა თქმა უნდა, მოგება შეუმცირდებათ,"** – განაცხადა ზიბზიბაძემ. მისივე განმარტებით, საერთაშორისო ოპერატორების თანაბარ პირობებში ჩასაყენებლად აუცილებელია, მომსახურების ხარისხის მინიმალური სავალდებულო სტანდარტის დაწესება. **"მე თუ მომსახურების ხარისხზე ბევრი ხარჯი გავწიე და სხვას ეს არ მოეთხოვება, ის კავშირის დამყარებას და მომსახურებას მინიმალური დანახარჯებით შეძლებს, ბუნებრივია, ჩემი ხარჯები გაცილებით ბევრი იქნება და მოგება ცოტა. ამიტომ, ეს სტანდარტები უნდა ამოქმედდეს,"** - დააკონკრეტა ზიბზიბაძემ. საერთაშორიო ოპერატორების შემოსავალი კიდევ უფრო მეტად შემცირდება გამავალ ზარებზე ზღვრული ტარიფების გაუქმების შემდეგ. ამიტომ ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ხარჯების შემცირებას. მარეგულირებელ კომისიაში გვითხრეს, რომ ურთიერთჩართვის ტარიფების შემცირება ზღვრული ტარიფების გაუქმების პარალელურად ამოქმედდება. კომისიის ინფორმაციით, ეს ტარიფი, სავარაუდოდ, განახევრდება.

კომისიაში აცხადებენ, რომ ხელოვნურად მოქმედი ნორმების - ზღვრული ტარიფების გაუქმებით საკომუნიკაციო სფეროში სერიოზული რეფორმების და დერეგულირების პროცესი დაიწყო. ამ პროცესის უმთავრესი მიზანი კი დამატებითი ბარიერების, მათ შორის - რთული ლიცენზირების პროცედურების, ყოველგვარი დამაბრკოლებელი ფაქტორების მოხსნაა, რაც, საბოლოო ჯამში, კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. კომუნიკაციების სფეროს დერეგულირების მიზნით, კომისიამ "კავშირგაბმულობის და ფოსტის შესახებ" კანონპროექტი შეიმუშავა, რომელსაც პარლამენტს განსახილველად, სავარაუდოდ, საგაზაფხულო სესიაზე წარუდგენს. ჯერჯერობით უცნობია, რა ფორმით - ცვლილებების პაკეტის თუ ახალი კანონის პროექტის სახით წარდგება ეს ახალი პროექტი საკანონმდებლო ორგანოში. პროექტის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაცია მიმდინარე კვირას გაიმართება, რის შემდეგაც განსახილველად მთავრობას წარედგინება. **"კანონპროექტი რევოლუციურად ცვლის ლიცენზირების რეჟიმს, რაც გულისხმობს იმას, რომ კავშირგაბმულობის სფეროში, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, თითქმის საერთოდ არ იარსებებს ლიცენზიები, ნებართვები. ყველას, ვისაც სურვილი ექნება, ძალიან მარტივად - კომისიაში შეტყობინების შემოტანის გზით შეძლებს დაიწყოს ამა თუ იმ სფეროში თავისი ბიზნესი. გინდა გახდე ინტერნეტ პროვაიდერი? დააკმაყოფილე ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც წინასწარ იქნება განსაზღვრული და საიტზე გამოკიდული; კომისიას შეატყობინე წერილობით, რომ მე, ესა და ეს, ვაკმაყოფილებ ამ მოთხოვნებს; ვაპირებ ამას და ამას. დამთავრდა - თქვენ ამ ბიზნესში ხართ. იმ დღესვე შეგიძლია დაიწყოთ ბიზნესი,"** - განმარტა ქიტოშვილმა. მისივე განცხადებით, კანონპროექტი, რომელიც შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური აღმოჩნდეს, კარგია ბიზნესისთვისაც, რადგან მაქსიმალურად აუქმებს შეზღუდვებს, და სახელმწიფოსთვისაც, რადგან მასში ჩადებულია მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ბიუჯეტი დამატებით შემოსავლებს მიიღებს. ერთ-ერთი ცვლილებით, სიხშირეების გაყიდვიდან შემოსული თანხა, მთლიანად თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი ბიუჯეტში გადაირიცხება. ამჟამად მოქმედი კანონით, ეს თანხა კომისიის სპეციალურ ანგარიშზე ირიცხება, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებს შეადგენს და საიდანაც ბიუჯეტი არც ერთ თეთრს არ იღებს.

კიდევ ერთი სიახლე, რასაც კომისია გაზაფხულზე გეგმავს, შიდასაქალაქო საუბრებზე წუთობრივი გადასახადის შემოღებას ეხება. ახალი მექნიზმი პირველი აპრილიდან ამოქმედდება. **"ჩვენ ვცდილობთ, მთლიანობაში ისეთი სისტემა შემოვიღოთ, სადაც, მართალია, შემოღებული იქნება წუთობრივი სისტემა, მაგრამ გაიაფდება საერთაშორისო ზარები, გაიაფდება საქალაქთაშორისო ზარები, ასვე ფიქსირებული ქსელიდან მობილურზე დარეკვაც და, საბოლოო ჯამში, წუთობრივი გადასახადი მოსახლეობას მძიმე ტვირთად არ დააწევება,"** - განმარტა ქიტოშვილმა.

კომისიის ინფორმაციით, კომპანიები მომსახურების პაკეტებზე მუშაობენ, დეტალები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

# ვიქტორ იუშენკო: ჩვენ დავიცავით დემოკრატია

პირველი გვერდიდან

რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, 2005 წლის 23 იანვარი უკრაინის ისტორიაში ყოველთვის გამორჩეული თარიღი იქნება, თუმცა, ის, რა განცდით გაიხსენებენ ამ დღეს წლების შემდეგ, უკრაინის მესამე პრეზიდენტის მმართველობის ნიჭზე იქნება დამოკიდებული. ისევე როგორც ერთი წლის წინ საქართველოში, გუშინ უკრაინაშიც იმედის თვალით შეჰყურებდნენ ვიქტორ იუშენკოს – კაცს, რომელმაც არამარტო ქვეყნის კონსტიტუციაზე, არამედ უძველეს ხელნაწერ სახარებაზეც დაიფიცა, რომ ერთგულად ემსახურება უკრაინელ ხალხს და ქვეყნის ორად გახლეჩას არ დაუშვებს.

ბევრი ექსპერტი გუშინდელ დღეს იუშენკოს გამარჯვებად აფასებდა – გამარჯვების ფასი კი, ორი თვე აუტანელ ყინვაში ასობით ათასი უკრაინელის ქუჩაში დგომა, ევროპელ, უკრაინელ და რუს პოლიტიკოსთა უძილო ღამეები, მილიონობით დახარჯული დოლარი და კიდევ ერთხელ გაუარესებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობები იყო.

გუშინ უკრაინის ახალი პრეზიდენტის მმართველობის ვადა დაიწყო: იუშენკო ან უკრაინის ევროპულ სივრცეში გაერთიანებას შეძლებს, რისთვისაც ახალი პოლიტიკური ელიტის "გამოზრდა" და აღმოსავლეთ უკრაინის რიგით მცხოვრებთა გადმობირება იქნება აუცილებელი, ან მომავალ არჩევნებამდე ამომრჩევლებს იმედები გაუცრუვდებათ და უკრაინაში ისევ "ძლიერი ხელისა და სტაბილურობის" ნოსტალგია გაჩნდება.

**"ეს თავისუფლების გამარჯვებაა ტირანიაზე. კანონის გამარჯვება უკანონობაზე,"** - ამბობს დამოუკიდებლობის მოედანზე შეკრებილი დაახლოებით ნახევარი მილიონი თანამემამულის წინაშე ახალი პრეზიდენტი.

მანამდე კი ინაუგურაციის ოფიციალური ნაწილი უკრაინის უმაღლეს რადაში გაიმართა, რითაც "ნარინჯისფერი რევოლუციის" ეპოპეის დასასრულიც გვამცნეს.

**"მე, ვიქტორ იუშენკო, ხალხის ნებით უკრაინის პრეიზდენტად არჩეული, ვალდებულებას ვიღებ, მთელი ჩემი საქმიანობით ვიზრუნო უკრაინის სუვერენიტეტზე, თანამემამულეთა ინტერესებიდან გამომდინარე შევასრულო ჩემი მოვალეობა,"** - ასეთი ფიცი წარმოთქვა იუშენკომ კონსტიტუციასა და პრესნოპნიცკის სახარებაზე. რის შემდეგაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ პრეზიდენტის რეგალიები – მანტია, პრეზიდენტის ბეჭედი, პრეზიდენტის შტანდარტი და კვერთხი გადასცა.



"ნარინჯისფერი რევოლუციის" ეპოპეა დასრულდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, იუშენკოს გამოსვლას ლეიტმოტივად გასდევდა ხელისუფლების ცვლის ლეგიტიმურ ხასიათზე არაერთგზის აპელირება. **"დღევანდელი მოვლენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უკრაინელი ერი და უკრაინული სახელმწიფო შედგა. მიაღწია სამართლიან არჩევნებს, ხელისუფლების გადაცემა ლეგიტიმურად განხორციელდა, ეს დიდი ეროვნული გამარჯვებაა! მილიონობით უკრაინელის ხელით მოპოვებულმა დემოკრატიამ გამოცდას გაუძლო. რთულ გამოცდას გაუძლო უმაღლესმა რადამაც. მან გამონახა თავის თავში ძალა, სამართლიანობის დასაცავად დამდგარიყო – პარლამენტი ხალხის გვერდით იდგა, მხარი დაუჭირა მის მისწრაფებებსა და მოლოდინებს. თქვენ, პატივცემულო დეპუტატებო, დაიცავით უკრაინული დემოკრატია, დაიცავით უკრაინის ერთიანობა და ურღვევობა!"**

რასაკვირველია, უკრაინის ახალი პრეზიდენტი იმაზეც საუბრობდა, რომ მისი მთავარი ამოცანა მდიდარი, დემოკრატიული უკრაინის აშენებაა. ამასთან დაკავშირებით, აქამდეც არაერთხელ უთქვამს და გუშინაც გაიმეორა, რომ დასავლეთის მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს. თავად ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებიც არ მალავენ დახმარების სურვილს. ევროკავშირი არსებული თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში გაღრმავებულ კოოპერაციას სთავაზობს კიევს. თანამშრომლობის გაღრმავების იმედს გამოთქვამს ეუთო-ც. **"უკრაინა ყოველთვის ცდილობდა ეუთო-ს აქტიური წევრი ყოფილიყო. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ უფრო აქტიურად ვითანამშრომლებთ,"** - განაცხადა ინაუგურაციაზე დამსწრე ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა იან კუბიშმა. ეუთო-ს მოტივაცია გასაგებია, – რუსეთის მხრიდან ზეწოლის ფონზე, უკრაინის სახით აღმოსავლეთ ევროპაში ძლიერი მოკავშირის შეძენის სურვილი ფუნქციებშეზღუდული ორგანიზაციისთვის ბუნებრივი უნდა იყოს.

თავისი ინტერესები ამოძრავებს მეზობელ პოლონეთსაც. რომ არაფერი ვთქვათ თითქმის ნათესაურ ურთიერთობებზე უკრაინის მთელ რიგ რეგიონებთან, პოლონეთისთვის ძლიერი, ინდუსტრიულად განვითარებული უკრაინა (როგორც პოლონური სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების გასაღების, იაფი მუშახელის და ა.შ. ბაზარი) უაღრესად მომგებიანი იქნება. მით უმეტეს, თუ იგი ვარშავისგან ევროსტრუქტურებში ინტეგრაციაში ხელშეწყობით იქნება დავალებული. ალბათ ამიტომ აღნიშნავდა გუშინ პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი (ისიც ერთ-ერთი სტუმარი იყო ინაუგურაციის ცერემონიაზე), რომ მისი ქვეყანა უკრაინას ევროკავშირში გაწევრიანებაში დაეხმარება.

დაბოლოს, არც ოკეანისგაღმელი მეგობრები იქნებიან მარტოოდენ მაყურებლის როლში. **"აშშ ყველაფერს ეცდება იმ მოლოდინების რეალობად გადასაქცევად, რომელსაც უკრაინელი ხალხი ახალ ხელისუფლებაზე ამყარებს,"** - ამბობს ჯერ კიდევ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის რანგში მყოფი კოლინ პაუელი და "ნარინჯისფერი რევოლუციის" ლიდერს ჯორჯ ბუშის მიწვევას გადასცემს.

მანამდე კი, უკრაინის რიგით მესამე პრეზიდენტს, უკვე დღეს მოუწევს ურთიერთობების გარკვევა მოსკოვში. იუშენკომ, დანაპირებისამებრ, პირველი ვიზიტი თავის "მეგობარ" მეზობელთან უნდა განახორციელოს. რას იზამ, მეზობელს ვერ აირჩევ...

## პიარ-აქცია თუ რევოლუციური წინაპირობა

ხათუნა ბაბიევი

შეღავათების მონეტიზაციის გამო, დეპუტატების ხელმოწერების შეგროვების პარალელურად, ფრაქცია "როდინას" 5 წევრი უკვე მეოთხე დღეა, რაც შიმშილობს. თუმცა, როგორც ჩანს, რუსულ პოლიტიკურ სპექტრს "როდინას" გულწრფელ ზრახვებში ეჭვი ეპარება, რადგან უკვე დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი შიმშილობის აქციის წინასწარ კრემლთან შეთანხმების შესახებ. თავად ფრაქციის ლიდერი დმიტრი როგოზინი კი ასეთ ვარაუდს პროვოკაციულ ჭორებს უწოდებს და საპროტესტო აქციის დისკრეტიდაციის მცდელობად აფასებს.

კრემლთან წინასწარ შეთანხმებულ შიმშილობაზე განცხადება "კომიტეტი-2008"-ის ხელმძღვანელმა გარი კასპაროვმა გააკეთა. "მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სწორედ კასპაროვს შეიძლება დასდო ბრალი კრემლთან ალიანსში. ხშირად ასე ხდება, ერთ სფეროში უძლიერესნი სხვაგან ან სუსტი სპეციალისტები ან უარეს შემთხვევაში შემსრულებლები არიან ხოლმე. მე პატივს ვცემდი გარი კასპაროვს, როგორც უძლიერეს მოჭადრაკეს, მაგრამ ახლა უკვე ვნანობ ამას, რადგან მისი განცხადებები პოლიტიკური ოპონენტებისადმი ძლიერ ზიზღზე პირდაპირ მიუთითებს," - განაცხადა როგოზინმა. მისი თქმით, საპროტესტო აქციის მონაწილეები შიმშილობას არ შეწყვეტენ, როგორი ძლიერი კამპანიაც არ უნდა იქნეს "როდინას" წინააღმდეგ წამოწყებული, თანაც მხარდამჭერები მათ რეგონებშიც ჰყავთ, რომლებიც პროტესტის ანალოგიურ ფორმას მიმართავენ საჭიროების შემთხვევაში. "შეღავათების შეკვეცა რუსეთისათვის შესაძლოა, დამანგრეველი ძალის მქონე ბომბი აღმოჩნდეს, რომელიც კარგ რევოლუციურ წინაპირობას შექმნის," - განაცხადა როგოზინმა.

სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი ბორის გრიზლოვი კი, "როდინას" შიმშილობას წმინდა წყლის პიარ-აქციად აფასებს. "როგოზინისა და მისი თანამოაზრეების ეს ნაბიჯი მხოლოდ თვითრეკლამაა და შეღავათების მონეტიზაციასთან არაფერი აქვს საერთო," - აღნიშნა გრიზლოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

"პოლიტიკურ ბალაგანს" უწოდებს მოშიმშილეთა აქციას რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი.

ჯერჯერობით კი თანამდებობებზე რჩებიან ის მინისტრები, რომელთა გადადგომაც ერთ-ერთი მოთხოვნაა მოშიმშილეთა მიერ წამოყენებულ პირობებში. "საჭიროების შემთხვევაში მე მზად ვარ, გადავდგე, თანაც არ აქვს მნიშვნელობა, რითი იქნება გამოწვეული ეს - მონეტიზაციითა თუ ტუალეტის ქაღალდის დეფიციტით," - ჯერ კიდევ პარასკევს განაცხადა ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა გერმან გრეფმა, მაგრამ იქვე დაამატა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმას ჯერ მაინც არ ჩქარობს. ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი კი შეღავათების მონეტიზაციის გადაწყვეტილების კორექტურის პროცესის გაწელვას პრეზიდენტისა და სახელმწიფო სათათბიროსათვის გარკვეულწილად "ღალატად" მიიჩნევს და ქვეყანაში შექმნილ სოციალურ კრიზისზე პასუხისმგებლობას მთლიანად რეგიონულ ხელისუფალთ აკისრებს.

## ორი სიტყვით

**ეკვადორი.** შაბათს ეკვადორში, რიხტერის სკალით 4.9 ბალის სიძლიერის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი სანაპირო დასახლებული პუნქტის ესმერალდასის ახლოს, წყნარ ოკეანეში 20 კმ-ის სიღრმეზე იყო. მას შემდეგ ეკვადორის სანაპიროებთან 48 საათის განმავლობაში კიდევ 60 განმეორებითი მიწისძვრა დაფიქსირდა, რომელთა შორის ყველაზე მძლავრი რიხტერის შკალით 5.4 ბალი იყო. ალექსანდრე ალვარადოს სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიური განყოფილების დირექტორის თქმით, მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი ეკვადორის დასავლეთ ნაწილში პორტ მანტასთან 50-70 კმ-ში 16 კმ-ის სირღმეზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს რაიონი უკანასკნელი რამდენიმე წელია, რაც სეისმურად აქტიურ ზონაშია მოქცეული, ხშირ მიწისქვეშა ბიძგებს, ჯერჯერობით, მსხვერპლი და მატერიალური ზარალი არ მოჰყოლია. ეკვადორის ხელისუფლების განცხადებით, ზემოაღნიშნული ინსტიტუტის სპეციალისტთა შეფასებებით, ასეთი მიწისქვეშა ბიძგები ცუნამის წარმოქმნის საფრთხეს არ ქმნის. თუმცა, ახლახანს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ეკვადორის მოსახლეობას ხელისუფლების განცხადებები მშვიდად ყოფნის საფუძველს მაინც არ აძლევს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ირანი.** ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰამიდ რეზა ასეფიმ აშშ-ს მხრიდან ბოლო დროს გაკეთებულ ანტიირანულ განცხადებებს "ევროპაზე ზეწოლის განხორციელების მიზნით გაჩაღებული ფსიქოლოგიური ომი" უწოდა. ევროპაზე ზეწოლა კი დაეხმარება აშშ-ს ხელი შეუშალოს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ევროკავშირთან მოლაპარაკებების ჩაგდებას, მიიჩნევს ასეფი. "თეირანის მისამართით ვაშინგტონის მხრიდან გამოთქმული ბრალდებები ახალი არაა ჩვენთვის, ხოლო თეთრი სახლის ფსიქოლოგიური აქცია ზუსტად აშშ-ს მილიტარისტული პოლიტიკის ჩარჩოებშია მოქცეული. ასეთი განცხადებები ვაშინგტონის მიერ რელიგიათაშორისი და ცივილიზაციათაშორისი ომის წარმოების დამადასტურებელია, რაც სიკეთეს არავის მოუტანს", აღნიშნავს ირანელი დიპლომატი. რაც შეეხება ისრაელთან ურთიერთობას, ასეფი არ გამორიცხავს ისრაელის მხრიდან ირანის ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმის შესაძლებლობასაც. როგორც ირანში მიიჩნევენ, ვაშინგტონის ხისტი პოლიტიკა ნაწილობრივ თელ-ავივის მხრიდან ზეწოლით, კონკრეტულად კი აშშ-ს სახელისუფლებო სტრუქტურებში ძლიერი ებრაული ლობის გავლენით აიხსნება. თუმცა, როგორც ჰამიდ რეზა ასეფი აცხადებს, ირანს საკმარისი შესაძლებლობები აქვს აშშ-სა და ისრაელის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებს გაუმკლავდეს. **24 საათი**

# ჰაჯის შესასრულებლად საუდის არაბეთში 2 მილიონზე მეტი მუსლიმი ჩადის

კოტე ელიზბარაშვილი

*ჰაჯი – წმინდა ადგილებში ლოცვა - ორთოდოქსი მუსლიმისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებად ითვლება. წელს საუდის არაბეთში ორ მილიონზე მეტი ისლამის მიმდევარი ჩავიდა. თანამედროვე მომლოცველები, როგორც წესი, თვითმფრინავით ჩადიან ჯიდაში, სადაც საერთაშორისო აეროპორტია აშენებული, ან ამ ქალაქამდე ზღვით მიდიან. ჯიდადან მექამდე 70 კილომეტრზე ოდნავ მეტია. ამ ორ ქალაქს ერთმანეთთან საერთაშორისო ავტოსტრადა აკავშირებს. ჰაჯის დროს ხალხის უზარმაზარ თავშეყრას არაერთხელ გამოუწვევია მრავალი მლოცველის დაღუპვა– ჭყლეტაში, კარვის ბანაკებში მომხდარი ხანძრის დროს, მზისგან მიღებული დარტყმისას. ამასთან დაკავშირებით, საუდის ხელისუფლება უკანასკნელ წლებში უსაფრთხოების ძალზედ სერიოზულ ზომებს იღებს. მექაში უშიშროების სამსახურის 50 ათასი თანამშრომელია თავმოყრილი, ათი ათასი რეზერვისტი კი მუდმივ მზადყოფნაშია. ყოველდღიურად პოლიციის 5 ათასი ავტომობილი მორიგეობს, ცაში მუდმივად დაფრინავს სამი შვეულმფრენი, კიდევ 10 შვეულმფრენი მზად არის ასაფრენად, მლოცველთა გადაადგილების სამეთვალყურეოდ და ნებისმიერი ინციდენტის დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად. უსაფრთხოება სრულად არის უზრუნველყოფილი, ხოლო რაც შეეხება პილიგრიმებს, მათი მხრიდან არავითარი საფრთხე არ მომდინარეობს. ყველა ლოცვითა და ყურანის კითხვით არის დაკავებული.*



ჰაჯის დროს ხალხის უზარმაზარი მასის თავშეყრას არაერთხელ გამოუწვევია მრავალი მლოცველის დაღუპვა.

იჰრამის მისაღწევად – რიტუალური სიწმინდის მდგომარეობა – დაწესებული განმწმენდი რიტუალების შესრულებაა საჭირო, ლოცვების წაკითხვა და რიტუალური სამოსის ჩაცმა (რომელსაც აგრეთვე იჰრამს უწოდებენ), რომელიც თეთრი ქსოვილის ორი ნაჭრისგან შედგება. ერთ ნაჭერს ბარძაყების გარშემო შემოიხვევენ, ხოლო მეორეს – მხარზე გადაიგდებენ.

მუსლიმური კალენდრის უკანასკნელი თვის მეშვიდე დღეს მექაში ჩასული მლოცველი, პირველ რიგში, ქააბას სცემს თაყვანს. ქააბას ტაძარი, მის კედლებს შიგნით არსებული შავი ქვით, მექის მთავარი სიწმინდეა. გადმოცემა გვაუწყებს, რომ ქააბა დედამიწაზე პირველი სალოცავია, რომელიც პირველმა ადამიანმა, ადამმა აღმართა. მაჰმადიანები თვლიან, რომ სწორედ აქ არის სამყაროს ცენტრი და დედამიწაზე ცასთან ყველაზე ახლოს მდებარე წერტილი. გადმოცემის თანახმად, მსოფლიო წარღვნის დროს, ქააბა ცად აღიმართა. შემდეგ ის დროთა განმავლობაში დაინგრა, ხოლო შავი ქვა მთავარანგელოზმა ჯებრაილმა (ქრისტიანობაში – გაბრიელმა) ცაში წაიღო. შემდეგ ჯებრაილმა შავი ქვა დააბრუნა და კედლებში გამოკეტა. ქააბას გარშემო მსვლელობისას, მლოცველები შავ ქვას კოცნიან ან მას ეხებიან. ჰაჯი აგრეთვე რამდენიმე რიტუალს მოიცავს: მლოცველები შვიდჯერ გარბიან საფასა და მარვას გორებს შორის, წმინდა ზამზამის წყაროს წყალში განიბანებიან, დანარჩენი რიტუალები კი მკაცრად დადგენილ დღეებში კოლექტიურად სრულდება.

მაჰმადიანური კალენდრის უკანასკნელი თვის მეშვიდე დღეს, მექას და მთელი მაჰმადიანური სამყაროს მთავარ მეჩეთში, მასჯიდ ალ-ჰარამში, ქადაგება მიმდინარეობს, რომელიც მრევლს მლოცველის ვალდებულებებს ახსენებს. მეორე დღეს მლოცველები არაფატის წმინდა მთისკენ მიდიან, რომელიც ქალაქიდან 25 კილომეტრში იმყოფება. ღამეს ისინი მინას ველზე ატარებენ, დილით გზას აგრძელებენ, რათა შუადღისთვის არაფატის მთასთან დგომის რიტუალი შეასრულონ, რომელიც საღამომდე გრძელდება. ამ ხნის მანძილზე მრავალგზის იკითხება ლოცვები, წარმოითქმება ქადაგება. მორწმუნენი წინასწარმეტყველ მუჰამედს იხსენებენ, რომელმაც ამ ადგილას ჰაჯის ვალდებულების შესახებ გამოაცხადა. მზის ჩასვლის შემდეგ მლოცველები სირბილით მიდიან მუზდალიფას ველისკენ, სადაც კაშკაშად განათებული მეჩეთის ახლოს ლოცვასა და მარხვაში ატარებენ ღამეს. სისხამ დილით, პირველი ლოცვის წაკითხვის შემდეგ, ყველა მინას ველზე ბრუნდება. იქამდე სავალ გზაზე მლოცველები ეშმაკის ქვებით ჩაქოლვის რიტუალს ასრულებენ. ყოველი მლოცველი ჰაჯს მსხვერპლშეწირვის რიტუალით ასრულებს. მისი შესრულების შემდეგ, მამაკაცები წვერს იპარსავენ, თმებს იჭრიან და მინას ველზე მიწაში მარხავენ. შემდეგ მექაში ბრუნდებიან, რათა ბოლოჯერ შემოუარონ ქააბას. ზოგიერთი დამკვირვებელი შიშობს, რომ ადამიანთა მსგავსი თავშეყრა ტერორისტების თავდასხმის ობიექტი გახდება, თუმცა, როგორც ჩანს, მლოცველებს ამის საერთოდ არ ეშინიათ. ცნობილი თეოლოგი შეიხ მუჰამად სოდიკ იუსუფი ამას იმით ხსნის, რომ ისლამის მოძღვრების თანახმად, ხაჯის დროს დაღუპული ან გარდაცვლილი მლოცველი საიქიოში დასაჩუქრდება. წმინდა გადმოცემის თანახმად, ამბობს იუსუფი, უზარმაზარ საჩუქარია გათვალისწინებული, თუ მლოცველი ხაჯის დროს იხრამში, ანუ რიტუალური სიწმინდის მდგომარეობაში, მოკვდება, ეს ადამიანი იგივე სახით აღსგება სამსჯავროს, განკითხვის დღეს. წინასწარმეტყველი მუჰამედის დროს ერთი მლოცველი თავისი აქლემიდან გადმოვარდა, კისერი მოიტეხა და გარდაიცვალა. მუჰამედმა მისი ნათესავები დააწყნარა და უთხრა: "დიდი ალაჰი მას მკვდრეთით აღადგენს".

ნებისმიერი სახის ძალადობა ჰაჯის დროს კატეგორიულად იკრძალება და მლოცველები მკაცრად ასრულებენ ამ კანონს. ხაჯის შესრულება – ნებისმიერი ჭეშმარიტი მაჰმადიანის ოცნებაა, თუმცა მათაც კი, ვისაც მექაში ჩასვლის ფინანსური შესაძლებლობა აქვს, ყოველთვის არ შეუძლია მომლოცველობა, რადგან თავიანთ ქვეყნებში საუდის არაბეთში წასვლის სანაცვლოდ ქრთამის გამოძალვას აწყდებიან. მაგალითად, ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქვეყანაში სამთავრობო შეზღუდვა არსებობს იმაზე, თუ ვის შეუძლია ჰაჯის შესრულება. ხშირად გაისმის უკმაყოფილო ხმები, რომ ხალხმა ქრთამი უნდა გადაიხადოს, ან სათანადო კავშირები უნდა ჰქონდეს, რომ პილიგრიმობის შესაძლებლობა მიილოს.

წელს აზერბაიჯანიდან მექაში, რომელსაც საუდის ხელისუფლებამ 8 ათასი კაცზე ქვოტა გამოუყო, მხოლოდ სამი ათასი კაცი ჩავიდა. აზერბაიჯანში უკმაყოფილება გამოითქვა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი კომპანია პილიგრიმობის ორგანიზებას აკონტროლებს და ფასი, რომელსაც ითხოვენ (დაახლოებით, 1200 დოლარი) – გაცილებით დიდია, ვიდრე მსგავსი მარშრუტით მოგზაურობის ფასი, თუ კი ტურისტულ კომპანიებს შორის თავისუფალი კონკურენცია იარსებებდა. მთლიანობაში, ფასები იმდენად მაღალია, რომ ბილეთისთვის ქრთამის მიცემაც კი არ არის საჭირო, რადგან თვითმფრინავში ბევრი ადგილი რჩება თავისუფალი. რუსი მაჰმადიანები დაახლოებით ათას დოლარს იხდიან პილიგრიმობისათვის, ანუ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე აზერბაიჯანის ან ყაზახეთის წარმომადგენლები იხდიან, თუმცა მათთვისაც ძვირია.

მაგომეტ რასულ მუგამაევი, ცნობილი თეოლოგი, ავტორი წიგნისა "ადამიანის უფლებები შარიათში": "იმ დღეს ინგუშეთიდან იყვნენ, დაღესტანის რაიონებიდანაც მოდიან. ისინი ჩივიან, რომ მათ სასულიერო მმართველობა ყვლეფს. ვისაც გინდა შეხვდე, ამბობს, რომ იძულებულნი არიან გადაიხადონ ის ფასი, რომელსაც უთითებენ. ეს გაუმართლებელია. ყვლეფა მაჰმადიანებს ეკრძალებათ. ფასი, ფაქტობრივად, სპეციალურად არის გაზრდილი. ხალხს უჭირს, სხვადასხვა მაქინაციის გამოყენება უხდებათ. რუსეთის მოქალაქისთვის 1000 დოლარის შეგროვება – ძალზედ ძნელია".

ინდონეზიის ხელისუფლებამ საუდის არაბეთში წელს სპეციალისტთა ჯგუფი გააგზავნა, რათა გაერკვიათ, აქვს თუ არა ადგილი პილიგრიმების მგზავრობის ორგანიზების დროს ქრთამისა და თაღლითობის შემთხვევებს. ხაჯის დროს ბევრი მლოცველი ვაჭრობით არის დასაქმებული. საინტერესოა, რომ სხვადასხვა აზრი არსებობს იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ეკონომიკური მოგების ნახვა ისეთი რიტუალისაგან, როგორიც ხაჯია. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ შეიძლება, რადგან წინასწარმეტყველი მუჰამედი და მისი პირველი ცოლი ვაჭრები იყვნენ.

# შეღავათები ელექტროენერგიაზე ნაღდი ფულით ანაზღაურდება

*2005 წლიდან ელექტროენერგიის შეღავათებით კანონით მოსარგებლე კონტინგენტი მათთვის განკუთვნილი შეღავათისთვის საჭირო თანხას საკუთარი თვალით დაინახავს და ხელითაც შეეხება. თუ ადრე კანონის თანახმად შეღავათით მოსარგებლეები დახმარებას ეფემერული გზით იღებდნენ, ამიერიდან თავადვე აიღებენ ფულს და მოხმარებული ენერგიის საფასურსაც თვითონ გადაიხდიან. მათთვის შეღავათით გათვალისწინებულ თანხას საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გასცემს.*

ნონა მაისურაძე

სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობდა ერთიანი ბაზა, რომელიც სისტემაში მოიყვანდა ამ კატეგორიებს. მათთვის დახმარების აღმოჩენა კი ხშირად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდებოდა. ამიერიდან, იმედია, პრობლემა მოგვარდება და შეღავათით მოსარგებლე ყველა ადამიანს ზუსტად ეცოდინება, რა ოდენობის დახმარებას იღებს სახელმწიფოსგან მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის შეღავათით სარგებლობის დროს. უკვე არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ გამოცემული სპეციალური წესი, რომელიც განმარტავს, როგორ მოიქცეს მოსარგებლე ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში. წარმოქმნილი გაუგებრობისას მოქალაქემ უნდა მიმართოს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შეღავათების გაცემა იანვრის ბოლოდან დაიწყება. ამასთან დაკავშირებით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ აღნიშნა: **"ელექტროენერგიის შეღავათისთვის განსაზღვრული ფულადი დახმარების გაცემა მოხდება პენსიის დარიგების პარალელურად. ელექტროენერგიის შეღავათებით კანონით მოსარგებლე მოქალაქეები პენსიასთან ერთად მიიღებენ დამატებით თანხას. მათ მხოლოდ ორ უწყისზე მოუწევთ ხელის მოწერა, სხვა პრობლემა არ არსებობს. ერთი იქნება კუთვნილი საპენსიო უწყისი, ხოლო მეორე – ელექტროენერგიის შეღავათის. ისინი, ვისაც გარკვეული უზუსტობების გამო იანვარში არ მიეცემა თანხა, თებერვალში აუნაზღაურდებათ დანაკარგის გარეშე. კიდევ ერთ დეტალზე დავკონკრეტდებით. დედაქალაქის მცხოვრებთათვის რაიონებში მცხოვრებლებთან შედარებით, თანხა მეტია გაანგარიშებული. მიზეზი ის გახლავთ, რომ თბილისში მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფი 1კვტ.სთ-ზე 12,18 თეთრია, ხოლო რაიონებში ეს მაჩვენებელი 8 თეთრს შეადგენს.**

**მოსახლეობა მიღებულ თანხას ელექტროენერგიას მოახმარს, თუ სხვა აუცილებელი საჭიროებისთვის გამოიყენებს, ეს მისი გადასაწყვეტია. მთავარი ის არის, რომ სახელმწიფო მათ წინაშე გაცილებით პირნათელი იქნება, ვიდრე აქამდე იყო. ენერგეტიკის სექტორში თანხა პირდაპირ ირიცხებოდა და დახმარების მიმღები პერსონალურად სარგებლობდა თუ არა შეღავათით, ძნელად გაარკვევდით. ჩვენ ეს სქემა კანონით მოსარგებლე კონტინგენტის დასაცავად, მათი პირობების გასაუმჯობესებლად შევიმუშავეთ.**

**რაც შეეხება იმ კატეგორიებს, რომლებიც მთლიანად თავისუფლდებიან ელექტროენერგიის გადასახადისაგან** (მთლიანად ელექტროენერგიის გადასახადიდან თავისუფლდებიან 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა ოჯახის შრომის უუნარო წევრები და დაინვალიდებული პირები, ხოლო 50%-ით თავისუფლდებიან 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის მონაწილეები – რედ.), **ისინი კვარტალში ერთხელ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ განყოფილებებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, წარმოადგენენ მოხმარებული ენერგიის დამადასტურებელ ქვითრებს და თუ მათ მიერ მოხმარებული ენერგიის საფასური გადააჭარბებს შეღავათით არსებულ ოდენობას (23 ლარი), დამატებით მათთვის გამოიყოფა ხარჯი და, შესაბამისად, მიეცემათ თანხა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფორმით კიდევ ერთი კორუფციის წყარო მოიშლება და სამართლიანობის პრინციპი იმოქმედებს".**

### ელექტროენერგიის შეღავათებით კანონით მოსარგებლე კატეგორიები

| კატეგორიები | კომპენსაციის თანხები (ლარებში) | |
|---|---|---|
| | თბილისი | რაიონი |
| ომის ინვალიდები | 23 | 16 |
| მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები 70 წელს ზემოთ | 23 | 16 |
| ომის მონაწილეები | 12 | 8 |
| მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ქვრივები | 12 | 8 |
| ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახი | 23 | 16 |
| ომის ვეტერანებთან გათანაბრებულები | 12 | 8 |
| სამხედრო ძალების ვეტერანები | 12 | 8 |
| ჩერნობილის ინვალიდები | 3,5 | 2,5 |
| ჩერნობილის მონაწილეები საპენსიო ასაკის შესრულების შემდეგ | 3,5 | 2,5 |
| პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები (მათი გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის შრომისუუნარო ან საპენსიო ასაკს მიღწეულ მეუღლეს, მშობელს ან შვილს) | 3,5 | 2,5 |
| 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა ოჯახის შრომის უუნარო წევრები | 23 | 16 |
| 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაინვალიდებული პირები | 23 | 16 |
| 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის მონაწილეები | 11 | 8 |
| პერსონალური პენსიონერები და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრები | 3,5 | 2,5 |

*თვალსაზრისი*

# აფხაზეთის განსკუთრებული სტატუსის შესახებ პროექტი უარვყოთ და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმი ავამოქმედოთ

*მაქვს პატივი, მოგმართოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სამედიცინო უნივესიტეტის 52 პროფესორის, მათ შორის 5 აკადემიკოსის სახელით. წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ პროექტის შედგენაში მისმა ავტორებმა გარკვეული შრომა ჩადეს: მოიძიეს ნორმატული მასალა და ლიტერატურა, მოახდინეს მათი სისტემატიზაცია, ჩაატარეს გარკვეული მეცნიერული კვლევა. მაგრამ ეს სრულიად საკმარისი არ აღმოჩნდა. მე ერთი წუთითაც არ მინდა დავიჯერო, რომ მათ გულწრფელად არ სურთ საქართველოს გამთლიანება, მაგრამ გზა, რომელიც მათ აირჩიეს დამღუპველია.*

"აფხაზეთის განსკუთრებული სტატუსის შესახებ" პროექტიდან ჩანს, რომ იგი მომზადებულია ოთხი ქართველი ექსპერტის მიერ. ასეთი განცხადება გადაჭარბებულად მიმაჩნია. მე ოთხივე პიროვნებას ვიცნობ. ესენი არიან: კოტე კუბლაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, არჩილ გეგეშიძე და ივლიანე ხაინდრავა. ეს პირები ნამდვილად ერუდირებული და ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ ეს არ კმარა. საქმე ისაა, რომ საყოველთაოდ აღიარებული განმარტების თანახმად, ექსპერტი არის პიროვნება, რომელიც აღიარებულია სპეციალისტად ცოდნის შესაბამის დარგში, მაგალითად, ბიოლოგიაში, ეკონომიკაში, ფიზიკაში, სამართალში, ენათმეცნიერებაში, ისტორიოგრაფიაში და ა.შ., ან შესაბამისი მეცნიერების რომელიმე ქვედარგში. პროექტი შეეხება სახელმწიფო მოწყობის საკითხს და განეკუთვნება სახელმწიფო სამართლის სფეროს. არც ერთი მათგანი ექსპერტად ამ დარგში არ არის აღიარებული, რადგან მათ სპეციალური ცოდნა არ გააჩნიათ. მათ შორის მხოლოდ კუბლაშვილს გამოვყოფდი, მაგრამ როგორც მზარდ ახალგაზრდა მეცნიერს, რომელსაც ყველა შანსი აქვს მომავალში გახდეს მეცნიერი და მოგვიანებით ექსპერტი. საერთოდ კი მას, როგორც ჩემს ყოფილ სტუდენტს, დავმოძღვრავდი: პოლიტიკა აბინძურებს სამართალს! ეს სიტყვები ეკუთვნის სამართლის და საერთაშორისო სამართლის აღიარებულ გიგანტს ჰანს კელზენს. ყველა შემთხვევაში, არც ერთი მათგანი სამეცნიერო წრეებში ცნობილი არ არის. მე მხედველობაში არ მაქვს ის, რომ არც ერთ მათგანს სამეცნიერო ხარისხი არ აქვს. პავლე ინგოროყვას სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონია, მაგრამ ბევრ "წითელ პროფესორს" ერთად აღებულს აჯობებდა. საქმე ეხება სამეცნიერო კვლევების სიღრმეს, ხარისხს და მეცნიერის აღიარებას აკადემიურ წრეებში.

და ამ დროს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების დარგში, ერთ თვეზე მეტია მაგიდაზე უდევთ 52 პროფესორის, მათ შორის, რამდენიმე აკადემიკოსის მიერ ხელმოწერილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ ხელისუფლების მოქმედების გეგმა, რომელიც დათარიღებულია 2004 წლის 7 ივნისით. სხვათა შორის, არც ერთი მათგანი "წითელი პროფესორი" არ არის. ისინი ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ თავიანთ დარგებში აღიარებული სწავლული-ექსპერტები არიან. და ამის მიუხედავად, ხელისუფლება სდუმს. საერთოდ მეცნიერების მიმართ, და კერძოდ დასავლეთზე ორიენტირებულ მეცნიერთა მიმართ ასეთი უდიერი დამოკიდებულება დამახასიათებელი იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდისათვის მაუზერიანი კომუნისტი-კომკავშირელების მხრიდან. ცნობილია როგორ გარეკეს უნივერსიტეტიდან ბუმბერაზი მეცნიერები და მათი ადგილები დაიკავეს დიადი მომავლის მშენებელმა ახალგაზრდებმა, მათ შორის შარლატანებმა, რომლებიც მოგვიანებით "წითელ პროფესორებად" მოგვევლინენ. სხვათა შორის, ნაწილობრივ ამაზეა გათვლილი განათლების შესახებ ახალი კანონი, რომლის თანახმადაც მეცნიერების კანდიდატები ავტომატურად დოქტორები ხდებიან, ხოლო ენერგიული, გამოცდილი და პროფესიონალი მეცნიერები შეიძლება სახლში გაუშვან.

ახლა საკუთრივ მომზადებული პროექტის შესახებ.

1. პროექტის მიხედვით, აფხაზეთს ეძლევა განსაკუთრებული სახელმწიფო სტატუსი. ისმის კითხვა: რა განსაკუთრებული დანაშაული გვაქვს ჩადენილი აფხაზების მიმართ, რომ ბრალის გამოსასყიდად ასეთ განსაკუთრებულ ხარკს უხდით? იმისათვის, ხომ არა, რომ აფხაზმა ექსტრემისტებმა რუსეთის ხელშეწყობით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველების ხოცვაში, რბევაში, სახლების დაწვაში და საქართველოს ძირძველი რეგიონიდან ქართველთა გამოდევნაში? ერთი სიტყვით, გენოციდში და ეთნიკურ წმენდაში. ამ დროს დღევანდელი ხელისუფლება ამ ფაქტს საეჭვოდ აჩუმათებს.

მეორე მხრივ, ჩვენც იმის მაგივრად, რომ კარები ვუმტვრიოთ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს ქართველთა ეთნიკური წმენდის დაგმობის მოთხოვნით, ერთმანეთს ვუმტვრევთ კარებს: დაკავებული ვართ უნაყოფო დავით საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ. ერთნი გაიძახიან – ძირს უნიტარიზმი, გაუმარჯოს ფედერალიზმს! მეორენი - ძირს ფედერალიზმი, გაუმარჯოს უნიტარიზმს! ამ დროს მოსახლეობის ტოტალური პასპორტიზაციის გზით, აფხაზეთი უკვე დე-იურედ ხდება რუსეთის ნაწილი. დაგიხოციათ ერთმანეთი, თავისთვის იცინის რუსეთი და თავის საქმეს მშვიდად ასრულებს. ჰოდა, აი ასე ვანგრევთ საქართველოს. როდემდე? მართლა, არა კმარა?!

ამიტომ, ჩვენ ქართველ ნეიტრალურ მეცნიერთა ჯგუფის აზრით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა ლტოლვილთა დაბრუნებაზე გადის. აფხაზეთის დაბრუნება შეიძლება აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების გზით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საერთო სახალხო რეფერენდუმის მოწყობა და თეორიული დისკუსიები საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ. ლტოლვილების დაბრუნებას არავითარი კავშირი არა აქვს ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან. ლტოლვილები უპირობოდ უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრისს. ეს არის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტი, რომელზედაც არავინ დავობს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სტასუსის მუხლი პირველის თანახმად: "ლტოლვილთა დაბრუნება სრულიად არა პოლიტიკური, არამედ ჰუმანიტარული და სოციალურია." ამ იმპერატიულ საერთაშორისო ნორმას ჩვენი ხელისუფლება საეჭვოდ არ იყენებს...

თუ ლტოლვილთა უპირობო და დროული დაბრუნება ერთა თანამეგობრობის გადაუდებელი ამოცანაა, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა რეალურ ისტორიულ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და სოციალურ პირობებთან არის დაკავშირებული, და ინდივიდუალური და სპეციფიურია, და ამიტომ ამასთან დროში გაწელილია.

2. პროექტში ხასგასმულია "აფხაზეთის და აფხაზების ისტორიულად და სამართლებრივად ჩამოყალიბებული გამორჩეულობა." ისმის კითხვა: რითი იყო ანდა არის აფხაზეთი და აფხაზები ისტორიულად და სამართლებრივად გამორჩეული? მსოფლიოს ისტორიოგრაფიისათვის უცნობია აფხაზების ისტორიულად ჩამოყალიბებული გამორჩეულობა. იქნებ წყარო მიუთითონ ან მსოფლიოს ამცნონ, რომ საქმე გვაქვს გადატრიალებასთან ისტორიოგრაფიაში? მაშინ როდესაც ცნობილია, რომ ისტორიული აფხაზები ქართველები იყვნენ, ხოლო დღევანდელი აფხაზები არიან ჩრდილო კავკასიელი მომთაბარე აფსუების გამონაყოფი, თანდათანობით ჩამოსახლებული მე-17-18 საუკუნეებში კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე. მეფის რუსეთში ჩატარებული კამერალური აღწერის მონაცემებით ასევე დადგენილია, რომ საქართველოს ამ ნაწილში აღრიცხულია მხოლოდ ოცამდე აფსუა ოჯახი, ხოლო გუდაუთა-სოხუმის ზღვისპირა და ლეჩხუმის მონაკვეთზე ძირითადი მოსახლეები ადრე მისიმიანები (სვანები), ხოლო სამხრეთით ეგრები (მეგრელები) სახლობდნენ.

ანდა რას ნიშნავს აფხაზეთის სამართლებრივი გამორჩეულობა? საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენებულია სოხუმის ოლქად. მანამდე იგი ქუთაისის გუბერნიის ნაწილი იყო. ადრე იგი იმერეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. უფრო ადრე კი ისეთივე სამთავროს წარმოადგენდა, როგორც გურიის, სამეგრელოს და სხვა სამთავროები. თუ ავტორებს მხედველობაში აქვთ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი, მაშინ ეს სრული იურიდიული ნონსენსია: საქართველოს ოკუპაციის და ანექსიის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ავტონომიებად დაქუცმაცების იურიდიული ძალა 0-ის ტოლია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობას არავინ შეეკითხა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ. დამპყრობის მიერ დაპყრობილი ქვეყნისათვის თავსმოხვეული ტერიტორიული მოწყობა იურიდიულად ბათილია.

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ აფსუებს ფართო ავტონომია უნდა მიეცეს, რადგან მათ სხვა სამშობლო არა აქვთ. ცხადია, ამ ისტორიკოსებმა უბრალოდ არ იციან, რომ მსოფლიოში 700-ზე მეტ ეროვნულ უმცირესობას სხვა სამშობლო არა აქვს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რა ვაკხანალია ატყდება მსოფლიოში მათგან თუნდაც ნახევარმა ავტონომია რომ მოითხოვოს.

3. აფხაზებისათვის განსაკუთრებული სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას პროექტის ავტორები ასაბუთებენ ესპანეთის მაგალითის მოშველიებით. პროექტში მოყვანილია კატალონიის ავტონომიური ხელისუფლების მეთაურის ხორდი პუიოლის ოფიციალური განცხადება: "კატალონია არის ერი, და თანაც ამ ცნებისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ნიშნით: ისტორიული წარსულით, გეოგრაფიული საზღვრებით, ენით, განსხვავებული ცხოვრების სტილით, ტრადიციებით და მომავლის გეგმებით". ხორდი პუიოლის განცხადების აფიშირება საქართველოს მოსახლეობაში ავტომატურად გამოიწვევს სეპარატისტულ ტენდენციების აფეთქებას. მაგალითი: საკმარისი აღმოჩნდა აფხაზეთთან მიმართებაში საქართველოს ფედერალიზაციის თემის შემოტანა, რომ მას მყისვე მოყვა მეგრულის, როგორც ქართული ენისაგან დამოუკიდებელი ენის და შეფარულად მეგრული სეპარატიზმის გაძლიერება. ბასკებთან აფხაზების შედარება უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს, რადგან მათ მეტი შანსი აქვთ, გამოეყონ ესპანეთს, და შესაბამისად, აფსუებს ვაძლევთ საფუძველს დაასაბუთონ საქართველოდან გამოყოფა და გამოაცხადონ სრული დამოუკიდებლობა. საქართველოდან გამოყოფის და სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების უფრო მეტი საფუძველი ეძლევა ცხინვალის რაიონში მცხოვრებ ოსებს, რადგან შორს არ არის ის დრო, როდესაც გაერთიანდება სამხრეთ ანუ ესპანეთის ბასკონეთი და ჩრდილო ანუ საფრანგეთის ბასკონეთი.

პროექტის მიხედვით: "აფხაზეთი უმაღლეს ხელისუფლებასთან ურთიერთობაში გამოდის როგორც თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებალი პარტნიორი ანუ მას სახელმწიფოს ხარისხი აქვს, ასევე აქვს კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთს არა ვინმესაგან მინიჭებული, არამედ საკუთარი (თუმცა შეზღუდული) სუვერენიტეტი აქვს. იმავდროულად აფხაზეთი არის ფედერალური სახელმწიფოს წევრი სახელმწიფო და არა ნაწილი". თუ ამ დებულებას განვიხილავთ იმ მეორე დებულებასთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც აფხაზეთს ეყოლება პრეზიდენტი, პარლამენტი და პრემიერ მინისტრი, მაშინ ცხადია, რომ აფხაზეთი და საქართველო უნდა განვიხილოთ, როგორც კვაზი-კონფედერაციის დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სამართლის სუბიექტები ანუ ეს იქნება კვაზი-კონფედერაცია ფედერაციის საფარქვეშ, უკეთეს შემთხვევაში კონფედერაციის და ფედერაციის სიმბიოზი.

4. რა შედეგებამდე მიიყვანს საქართველოს აფხაზებისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება? თუკი ამ მოდელს საქართველოს მთავრობა მიიღებს, მაშინ პერსპექტივაში საქართველოს სრული დაშლა ემუქრება. მე არ ვაჭარბებ, რადგან უახლოეს მომავალში ანალოგიური სცენარით მოვლენები შეიძლება, განვითარდეს ჯავახეთში. იქ ქართველთა ეთნიკური წმენდა არ არის ჩასატარებელი, რადგან ქართველები რეალურად ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სომხები, როგორც ეთნიკური უმრავლესობა მოითხოვს თითქმის ანალოგიურ სტატუსს, შეფარულად ამ რეგიონის სომხეთთან შეერთების პერსპექტივით. პარალელურად ანალოგიური სცენარით მოვლენები განვითარდება ქვემო ქართლში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა "გეომეტრიული პროგრესიით" მრავლდება და პერსპექტივაში მივიღებთ დასავლეთ აზერბაიჯანს.

შედეგად, უახლოეს 10-15 წელიწადში საქართველოს ტერიტორიაზე დე-იურედ ჩამოყალიბდება ერთი მხრივ, კვაზი-კონფედერაცია ანუ აფხაზებისაგან, ოსებისაგან, აზერბაიჯანელებისაგან და სომხებისაგან შემდგარი სხვადასხვა მოცულობის უფლებების მქონე სახელმწიფოები, სადაც ქართველები იქნებიან უმცირესობანი, მაგრამ მაინც კვაზი-კონფედერაცია, და მეორე მხრივ, ასიმეტრიული ფედერაცია ანუ მეგრელებისაგან, აჭარლებისაგან, იმერლებისაგან, სვანებისაგან, ქართლელებისაგან, კახელებისაგან და არ ვიცი კიდევ ვისგან შემდგარი სხვადასხვა მოცულობის უფლებების მქონე ფედერაცია. რას ჰგავს ეს? რა სახელი უნდა ეწოდოს ამას?

5. პროექტში ვკითხულობთ: "საქართველოს სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში უკვე ჩამოყალიბებულია ერთიანი პოზიცია აფხაზეთის პრობლემის მიმართ – მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ემხრობა საკითხის ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზე მოწესრიგებას". ეს სრული სიცრუეა. სწორედ რომ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეთა უდიდესი ნაწილი საქართველოს ფედერალიზაციის წინააღმდეგია. ამას ადასტურებს სამი მოთავე უნივერსიტეტის 52 პროფესორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც წარედგინა პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, სახელმწიფოს მინისტრს კონფლიქტების მოგვარების დარგში. რამდენიმე დღეში მათ დაემატება თითქმის ამდენივე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რომლებმაც უკვე მოაწერეს ხელი დეკლარაციას. საერთოდ კი, ამ თემის წამოწევას მისი არადროულობის გამო მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები სულაც არ აპირებდნენ. უბრალოდ ეს იყო რეაქცია საქართველოს დაქუცმაცებულობისაკენ მიმართულ პროექტზე. ჩვენი პოზიცია ურყევია: ჯერ ლტოლვილთა და დევნილთა უპირობო და გადაუდებელი დაბრუნება, შემდეგ მსჯელობა საქართველოს მოწყობაზე, მათ შორის აფხაზეთის სტატუსზე! პროექტში კი ყველაფერი დავდაყირაა.

მივყვეთ პროექტის ტექსტს. პროექტის თანახმად კონფლიქტის მოგვარებისათვის:

- საქართველოს და აფხაზეთის მთავრობებს შორის უნდა შედგეს შეთანხმება "კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ" და მოხდეს მისი რატიფიკაცია (რაც დროს ითხოვს).
- საქართველოს და აფხაზეთის მთავრობებს შორის უნდა შედგეს შეთანხმება "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" და მოხდეს მისი რატიფიკაცია (რაც ასევე დროს ითხოვს; თუმც საკითხავია საერთოდ შედგება კი ასეთი შეთანხმება?!)
- უნდა გაუმჯობესდეს აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც დიდ დროს ითხოვს;
- უნდა აღდგეს საჰაერო და სარკინიზო მიმოსვლა (რაც დროს ითხოვს);
- უნდა მოხდეს სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეულ ლტოლვილთა და დევნილთა სათანადო აღრიცხვა (რაც დროს ითხოვს);
- უნდა მოხდეს ლტოლვილთა და დევნილთა უძრავი ქონების რესტიტუცია (რაც დიდ დროს ითხოვს);
- და ბოლოს, უნდა მოხდეს ლტოლვილთა და დევნილთა ორგანიზებული დაბრუნება (რაც, თუ პროექტს მივყვებით, 3 წელს მოითხოვს).

ამრიგად, თუკი პროექტის მიერ შეთავაზებულ ღონისძიებათა თანამიმდევრობას გავყვებით, მაშინ დადებით შემთხვევაში ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნება მინიმუმ 7 წელზე გაიწელება, თუ მანამდე რუსეთმა დე-იურედ აფხაზეთი თავის ნაწილად არ გამოაცხადა, რაც თვეების საკითხია.

პროექტის ავტორების გათვლა ყველასათვის ადვილად მისახვედრია: რადგან ძალა აფსუების მხარეზეა, მათ შორის იმის გამო, რომ ქართველთა დიდი უმრავლესობა გამოძევებულია აფხაზეთიდან, საჭიროა მათი "მოთაფლვა" და განსაკუთრებული სტატუსის შეთავაზება და ამ გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მიამიტური ოცნებაა. სხვა რომ არა იყოს რა, აფხაზეთში რუსეთის დე-ფაქტო საოკუპაციო ჯარი დგას. რუსეთის კი გამოუსწორებელი იმპერიალისტია და იგი თავისი ნებით არ დატოვებს კონფლიქტის ზონას. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის ამოქმედებას. ამის შესახებ დოკუმენტი საეჭვოდ სდუმს.

6. არსებობს თუ არა ლტოლვილთა დაბრუნების რეალური საერთაშორისო მექანიზმი?

52 პროფესორის აზრით ასეთი საერთაშორისო მექანიზმი არსებობს და იგი მდგომარეობს შემდეგში: საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო შეიარაღებული ძალები კომპლექტდება ისე, რომ მასში არ შედის არც ერთი სამხედრო ქვედანაყოფი შესაბამისი "კონფლიქტური ქვეყნის" მოსაზღვრე ქვეყნებიდან. ამიტომ აფხაზეთში არ შეიძლება იყოს ერთი სამხედრო ნაწილიც კი თურქეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. მით უმეტეს არ შეიძლება ასეთი შესულიყო რუსეთიდან, რომლის იმპერიული ამბიციები საქართველოს მიმართ ისტორიულადაა ცნობილი.

ამრიგად, საუბარია სამშვიდობების ინტერნაციონალიზაციაზე, რასაც 1997 წლიდან ვახმიანებ და რა წინადადებითაც ერთი თვის წინათ მივმართეთ ჩვენ, 52 პროფესორმა პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, სახელმწიფოს მინისტრს კონფლიქტების მოგვარების დარგში და სახალხო დამცველს. გარდა სახალხო დამცველისა, პასუხი არავისგან მიგვიღია. სახალხო დამცველისაგან მიღებული პასუხი კი წარმოუდგენლად აღმაშფოთებელია. ვკითხულობ ტექსტს: "სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა თქვენი წერილი. მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ დასმული საკითხები სცილდება სახალხო დამცველის კომპეტენციას, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, გაგიწიოთ დახმარება." პასუხი თავგასულობის, არაკომპეტენტურობის და უსირცხვილო ბიუროკრატიზმის ნიმუშია. ჯერ ერთი, დახმარებას 52 პროფესორი თავისთვის კი არ ითხოვს, არამედ სახალხო დამცველს მოუწოდებს დაიცვას ადამიანის უფლებები. მეორე, თუ ლტოლვილთა უფლებების დაცვა სცილდება სახალხო დამცველის კომპეტენციას, მაშინ ლტოლვილები ხალხი არ ყოფილა. მესამე, თუ ლტოლვილთა უფლებების დაცვა სცილდება სახალხო დამცველის კომპეტენციას, მაშინ ლტოლვილები საერთოდ ადამიანებიც კი არ ყოფილან და ადამიანის უფლებების დაცვა სახალხო დამცველის კომპეტენცია არ არის. აი როგორი სახალხო დამცველი ჰყოლია ხალხს!

7. მაგრამ დავუბრუნდეთ ლტოლვილთა და დევნილთა რეპატრიაციის საერთაშორისო მექანიზმს. რამდენად ეფექტური იქნება ამ მექანიზმის ამუშავება?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალეროვნულმა ძალებმა წარმატებით "იმუშავა" აზიის და აფრიკის კონტინენტზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და სხვა ცხელ წერტილებში. პრაქტიკული შედეგი ის იყო, რომ ანგოლელი, შრი ლანკელი, კონგოელი, ერიტრეელი, ბურუნდელი, ტამილელი, ბოსნიელი, ავღანელი, ჰერცოგოვინელი ლტოლვილების უმრავლესობა თავიანთ საცხოვრისს დაუბრუნდნენ. ამჟამად გაერო ახორციელებს სომალელი ლტოლვილების დაბრუნების ოპერაციას. დამაფიქრებელია, ჩვენი მთავრობა ხელიდან რატომ უშვებს რეალურ შანსს და არ ახმაურებს თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკისათვის ისეთ უპრეცედენტო ფაქტს, როგორიც არის საქართველოში სახელმწიფოებრიობის მქონე უმრავლესობის ეთნიკური წმენდა?! და რაც მთავარია, რატომ წინა პლანზე არ აყენებს ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს?!

კონკრეტულად ჩვენი, 52 პროფესორის მოთხოვნა შემდეგია:

**"ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების მანდატით სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის დე-ფაქტო საოკუპაციო ჯარს ჩაენაცვლოს საერთაშორისო სამშვიდობო შეიარაღებული ძალები საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან!"**

ამ მოთხოვნის შესასრულებლად უნდა იყოს მობილიზებული გაეროს, ეუთოს, სხვა საერთაშორისო და რეგიონული სამთავრობო და ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მატერიალური და ადმიანური რესურსები. ამ მოთხოვნის შესასრულებლად უნდა დაიწყოს საერთო საუნივერსიტეტო და სახალხო მოძრაობა.

ველით თქვენს მხარდაჭერას!

**ბიძინა სავანელი,** სახელმწიფოს და სამართლის თეორიის ექსპერტი, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია - ადამიანის უფლებათა დაცვის და სწავლების ცენტრის პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**გიორგი ხუბუა,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
**რომან შენგელია,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
**ნიკოლოზ ბოჭორიშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი
**ნუგზარ სურგულაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი
**ლევან ფრუიძე,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი
**ავთანდილ კობახიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი
**ოთარ გამყრელიძე,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი
**გურამ ნაჭყებია,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი
**რაულ კუპრავა,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი
**ვახტანგ გურული,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი
**გიორგი კვესიტაძე,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, პროფესორი
**ალბერტ მენთეშაშვილი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი
**გივი ცინცაძე,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი
**ჯემალ კვიციანი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი
**გიორგი კუტალია,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი
**გიორგი ყიფიანი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი

*სულ 52 ხელმოწერა*

# საპროტესტო აქციები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში

*"ჩვენ პოლიციელებს კრიმინალებზე არ გავცვლით," - აცხადებს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ცხინვალელი ძალოვანების მიერ დაკავებული ქართველი პოლიციელი, რომელსაც მკვლელობის ბრალდება წაუყენეს, სასტიკად ნაცემი, ცხინვალის ციხეში კვლავ რჩება. შესაბამისად, უკვე მეოთხე დღეა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში გუშინ დილიდან მოსახლეობამ საპროტესტო აქციები მოაწყო.*



*ქართველი მძევლის ახლობლების თქმით, დღეს ერგნეთის საგუშაგოსთან გაცილებით მეტი ადამიანი შეიკრიბება და საპროტესტო აქციის ფორმაც უფრო სერიოზული იქნება.*

ერგნეთის საგუშაგოსთან, სადაც ქართველი მძევლის ახლობლების აქცია მიმდინარეობდა, ლადო ჩალაურის ახლობლები და თანასოფლელები დატყვევებულის გათავისუფლებას ითხოვდნენ. პარალელურად, აქცია სოფელ კეხვში მიმდინარეობდა, რომელიც ცოტა ხნის წინ გატაცებული ელდარ კახნიაშვილის ახლობლებმა მოაწყვეს და გატაცებულის გასათავისუფლებლად ღონისძიებების განახლებას ითხოვდნენ. ორივე აქციის მონაწილეები საქართველოს ხელისუფლების ძალოვანი უწყებების პირველი პირებისგან, განსაკუთრებით კი, შინაგან საქმეთა მინისტრისგან ვითარებაში აქტიურ ჩარევას ელიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხინვალში შესვლით იმუქრებიან. მართალია, აქციის მონაწილეები ძალოვანი მინისტრების, განსაკუთრებით, ვანო მერაბიშვილის სტუმრობას გუშინ მთელი დღის მანძილზე ითხოვდნენ, მაგრამ მათი სურვილი გუშინ შს მინისტრს არ დაუკმაყოფილებია, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ მერაბიშვილმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მისი მოადგილე ლევან გვაზავა გააგზავნა, რომელიც გატაცებულის ოჯახში მივიდა და ჩალაურის ახლობლებს შეხვდა. შს მინისტრმა კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენები თბილისიდან, სამუშაო კაბინეტიდან შეაფასა.

კონფლიქტის ზონაში ვითარება მას შემდეგ, დაიძაბა, რაც ცხინვალის ციხეში მოთავსებული ქართველი პოლიციელის ლადო ჩალაურის ახლობლებმა, რომლებიც დილიდან ერგნეთის საგუშაგოსთან საპროტესტო აქციას მართავდნენ, ოსი ეროვნების 12 ადამიანი აიყვანეს მძევლად. მძევლად აყვანილთაგან, ათი მშვიდობიანი მცხოვრებია. დაკავებულთა შორის იყო დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბორის ჩოჩიევის მოადგილე გასიევი, რომელიც გუშინვე გაათავისუფლეს. როგორც ჩალაურის ახლობლები აცხადებენ, ერედვის პოლიციის უფროსის მძევლობაში დატოვების შემთხვევაში, ისინი კიდევ ათეულობით ოსი ეროვნების მოქალაქეს აიყვანენ მძევლად. გუშინვე მძევლად აიყვანეს წინაგარის მილიციის უფროსი მურთაზ ბიჩინოვი, რომელიც არაერთი დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი. ქართული მხარის ტყვეობაში კვლავ რჩება 11 ოსი მძევალი და მათგან ცნობილია კიდევ ორის ვინაობა - გიორგი ხუბეჟოვი და ლევან ხაბალოვი. ქართული მოსახლეობა აცხადებს, რომ ოსი მძევლები ნორმალურ პირობებში იმყოფებიან და მათზე არანაირი ზეწოლა არ ხორციელდება.

ერგნეთის პოსტზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. სიტუაციის გამწვავება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ კულახმეტოვის მიერ ოსური მხარის პირობების გახმოვანებას მოჰყვა. ოსური მხარე ქართველი პოლიციელის ლადო ჩალაურის გათავისუფლების სანაცვლოდ ყველა ოსი მძევლის, მათ შორის, ორი ქართველის მკვლელობისთვის დაკავებული ალიკ ფუხაევის გადაცემას მოითხოვს. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას სურს, მიიღოს წერილობითი გარანტია იმისა, რომ ფუხაევის გამოძიება სამ დღეში დასრულდება.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ყველა ხერხით და საშუალებით ეცდება კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნებას, რადგან ვითარების გამწვავება არანაირად არ შედის ქართული სახელმწიფოს ინტერესებში. თუმცა, როგორც პრეზიდენტი აცხადებს, საქართველოს ხელისუფლება ვერც შანტაჟსა და ვერც ოფიციალური პირების გატაცებებს შეეგუება. მისი თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ არსებული პრობლემა უახლოეს მომავალში გადაწყდეს და ქართველი პოლიციელი ლადო ჩალაური ოჯახს დაუბრუნდეს. პრეზიდენტის თქმით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული, რუსეთის სამშვიდობო ძალები რეგიონში დესტაბილიზაციის ერთ-ერთ წყაროდ იქცნენ. პრეზიდენტი უკმაყოფილოა კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალების საქმიანობით და მიაჩნია, რომ ისინი სამშვიდობო მისიას ვერ ასრულებენ, ან შეგნებულად უწყობენ ხელს ვითარების გამწვავებას.

ერგნეთის საგუშაგოსთან მიმდინარე საპროტესტო აქცია დღეს დილამდე შეწყდა. დილის 10 საათზე ლადო ჩალაურის ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები კვლავ შეიკრიბებიან და აქციას იგივე მოთხოვნით გააგრძელებენ.

როგორც დაშლამდე აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, დღეს ერგნეთის საგუშაგოსთან გაცილებით მეტი ადამიანი შეიკრიბება და საპროტესტო აქციის ფორმაც უფრო სერიოზული იქნება.

**24 საათი**




# კახეთში პატრული გამოჩნდა

*საქართველოში თელავი რიგით მესამე ქალაქია, სადაც საპატრულო პოლიციამ მოქმედება დაიწყო. საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად თელავის რაიონში 57 ქვეითი და საპატრულო პოლიცია იმოძრავებს. სულ მალე კი საპატრულო მანქანები პანკისის ხეობაშიც გამოჩნდებიან, სადაც "უაზის" მარკის ავტომანქანით ოთხკაციანი ჯგუფი იმოძრავებს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

საპატრულო პოლიციამ კახეთის რეგიონში ამოქმედება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ პატრულების პირველი ნაკადი გამოუშვა, მაგრამ აღნიშნულმა უწყებამ ფუნქციონირება სხვადასხვა მიზეზების გამო შეწყვიტა. იმ დროს ამ ფაქტს კახელი ძალოვნები ჟურნალისტებთან კერძო საუბრებში იმით ხსნიდნენ, რომ ამ უწყების რეგიონულ სამსახურებში კადრები არაპროფესიონალებით დაკომპლექტდა. ოფიციალურად კი, თავს იმით იმართლებდნენ, რომ საკმარისი რაოდენობის საპატრულო მანქანები არ იყო.

ამჯერად, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი თელაველ და პანკისელ მოსახლეობას აიმედებს, რომ ამიერიდან ისინი თავს დაცულად იგრძნობენ. პატრულებს კი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისკენ და მიუკერძოებლობისკენ მოუწოდებს.

**"მთავარია, არ შეარცხვინოთ პატრულის ის დიდი სახელი, რომელიც მან ამ მოკლე ხანში მოიპოვა. ამისათვის კი საჭიროა იმაზე მაღლა დგომა, ვიდრე მეგობრობა და ნათესაობაა, რათა დამნაშავეებს და კანონდამრღვევებს სათანადო პასუხი გაეცეთ და წესრიგი დამყარდეს,"** - ასე მიმართავდა ძალოვანი მინისტრი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს.

რამდენიმე დღის წინ კახეთის რეგიონს, კერძოდ, თელავს ცხრა საპატრულო მანქანა გადაეცა, აქედან ოთხი სულ მალე პანკისის ხეობაში იმოძრავებს. შეგახსენებთ, რომ მანამდე კახეთში საგზაო წესრიგის დამყარება პატრულს "შკოდას" მარკის ექვსი ავტომანქანით უწევდა. თელავის საპატრულო პოლიციას მოქალაქეები "022" -ის სატელეფონო სამსახურის მეშვეობით დაუკავშირდებიან, სადაც ათი თელაველი მანდილოსანი იმუშავებს.

რაც შეეხება პანკისის ხეობას, სულ მალე სოფელ დუისის საკრებულოსთან საპატრულო პოლიციელებისთვის ახალი შენობა აიგება, სადაც განთავსებული იქნება როგორც პოლიციის და უშიშროების განყოფილებები, ისე სპეცრაზმის კახეთის რეგიონული განყოფილება. გარდა ამისა, როგორც ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, ამ განყოფილებაშივე მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცების როტაცია სხვადასხვა რეგიონებიდან.

**"როგორც ხეობის შემოსასვლელში, ისევე პანკისის ხეობის სხვა სოფლებში იქნება სპეციალური დანაყოფები, შესაბამისად, დაცული იქნება ხეობა, რათა ადგილი არ ჰქონდეს გარკვეული კრიმინალური დაჯგუფებებისა და ნარკოტიკების უკანონოდ გადაადგილებას,"** - ამბობს მერაბიშვილი.

სულ მალე ხეობაში წესრიგს სპეცდანიშნულების ოცკაციანი რაზმი და თოთხმეტკაციანი პატრული დაიცავს. ამ ჯგუფის შემადგენლობაში როგორც ქართველი, ისე ქისტი ახალგაზრდებიც არიან. პატრულირება მათ, "უაზის" მარკის ოთხი მანქანით, ხეობის მიტოვებულ სოფლებშიც კი მოუწევთ. ჩინური ინვესტიციებით აგებულ "ხადორჰესს" ამჯერად, შინაგანი ჯარის ნაცვლად, არასაუწყებო დაცვის პოლიციას დაიცავს..

**"სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, დღეისთვის ყველაზე კონტროლირებადი მხარე პანკისია, რისთვისაც რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ,"** - ამბობს მერაბიშვილი.

პანკისის ხეობის სოფლების მოსახლეობა პოლიციის მუშაობით კმაყოფილია. მათ იმედი აქვთ, რომ ხეობა რუსეთის სამიზნე აღარ იქნება და ერთ დროს ტერორისტების ბანაკად ქცეულ პანკისში მშვიდობა დამყარდება.

პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში, პეტრე ცისკარიშვილი პატრულის ინსტიტუტის დაარსებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმას უწოდებს. **"დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც ყველა რეგიონში ამუშავდება საპატრულო პოლიცია, კრიმინალური ვითარება ერთორად გაუმჯობესდება,"** - იმედოვნებს ცისკარიშვილი.

# სულხან მოლაშვილის საქმის გამოძიება დასრულდა

*თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის ბრალდებით დაკავებული, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ვადა გუშინ ამოიწურა. სულხან მოლაშვილის 24-ტომიანი ბრალდების საქმე პროკურატურამ განსახილველად უკვე გადასცა მართლმსაჯულებას.*

თუმცა, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სასამართლო პროცესზე ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან უზენაეს სასამართლოში კი არა, ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მიიყვანენ, რადგან მისი საქმე პროკურატურამ არა უზენეს სასამართლოში, არამედ, ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში გაგზავნა.

სწორედ ეს იქნება განსასჯელის ადვოკატების მიერ სასმართლოზე დაყენებული პირველივე შუამდგომლობის მიზეზი. რომელი ინსტანციის - უზენაესის თუ რაიონული სასამართლოს განსჯადია ყოფილი მაღალჩინოსნის საქმე - სავარაუდოდ, ეს საკითხი იქნება სახელმწიფო ბრალმდებელსა და განსასჯელის ადვოკატებს შორის თავდაპირველად გამართული დავის საგანი, ისევე, როგორც ეს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე მოხდა.

**"კანონის შესაბამისად, სულხან მოლაშვილის საქმე, რადგან ის მაღალი თანამდებობის პირი იყო, უზენაესი სასამართლოს განსჯის საგანი გახლავთ, მაგრამ გამოძიებამ კანონი დაარღვია,"** - აცხადებს მოლაშვილის ადვოკატი შალვა შავგულიძე. მისივე თქმით, დარღვეულია დაცვისა და ბრალდებულის უფლებები.

**"ჩვენ საქმის მასალების გაცნობისა და შუამდგომლობების დასაყენებლად გამოძიებამ კანონით გათვალისწინებული 30-დღიანი ვადა არ მოგვცა. 24-ტომიანი საქმის პირველი ტომი გასაცნობად ბრალდებულსაც და მის ადვოკატებსაც 10 დეკემბერს გადმოგვცეს. დანარჩენი ტომები დაგვიანებით, ბოლო ნაწილი კი 5 იანვარს მოგვცეს. აქედან გამომდინარე, 30-დღიანი ვადის ათვლა 5 იანვრიდან უნდა მომხდარიყო და არა 10 დეკემბრიდან,"** - აცხადებენ მოლაშვილის ადვოკატები, რომელთაც ცოტა ხნის წინ სტრასბურგის სასამართლოდან მათი დაცვის ქვეშ მყოფის საქმის წარმოებაში მიღების შესახებ შეტყობინება მოუვიდათ. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ინტერესების დამცველები სტრასბურგის სასამართლოში კიდევ ერთი შუამდგომლობის გაგზავნას აპირებენ, რომლითაც მოლაშვილის საქმის დაჩქარებული წესით განხილვას მოითხოვენ.

**24 საათი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................................

საკონტაქტო ტელეფონი.................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნის აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# რუსული და თურქული ფული აფხაზეთის ეკონომიკის ხერხემალი

A3 გვერდიდან

გარკვეული ნაწილი ჩადებული იყო. მათ საბადოსკენ მიმავალი, წვიმებისგან განადგურებული გზის აღდგენაც კი მოუხდათ. თანაც, გზის საფარის შეკეთება თურქებს ყოველწლიურად უწევთ. შემდეგ საჭირო გახდა ოჩამჩირის პორტისკენ მიმავალი სარკინიგზო განშტოების შეკეთება. სწორედ ოჩამჩირის პორტიდან ხდება ნახშირის თურქეთში ტრანსპორტირება. ახლა თურქებს ახალი თავსატეხი გამოუჩნდათ: ეკოლოგების მოთხოვნით, წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ისინი მდინარე ღალიძგაზე გამწმენდ მოწყობილობას ამონტაჟებენ. თურქებმა ძველი მაღაროების აღსადგენად ფული არ დახარჯეს. ნახშირს ღია წესით მოიპოვებენ, ომისშემდგომ აშენებული კარიერებით.

ადგილობრივი მოსახლეობა თურქების გამოჩენას ერთგვარი ეიფორიით შეხვდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ თურქული ფულის წყალობით, ტყვარჩელი კვლავ აყვავებულ ქალაქად იქცეოდა, როგორც ეს ომამდე იყო. მაგრამ თურქები მხოლოდ ქალაქში გზების შეკეთებასა და ათას ხუთასამდე მამაკაცის სამუშაო ადგილით უზრუნველყოფას დასჯერდნენ. ტყვარჩელელებს ეს ეცოტავათ და მაშინვე, მოულოდნელად გაახსენდათ ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც მდინარე ღალიძგას ემუქრება. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტყვარჩელელებს სატვირთო მანქანების ხმაურიც აწუხებთ. მოკლედ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ინვესტორთა ძირითადი სამუშაო ტყვარჩელელებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან საქმის გარჩევა და ბრძოლა გახდა. ადგილობრივი ხელისუფლება, თავის მხრივ, წუხდა იმის გამო, რომ თურქ ინვესტორთა წარმატებები სრულებით არ აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე. თუმცა, ეს სულაც არ არის ინვესტორთა პრობლემა. ეს რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების მოუწესრიგებელი ურთიერთობის პრობლემაა. უნდა ითქვას, რომ თურქებისგან ცენტრალურ ხელისუფლებასაც არ მიუღია არც ერთი კაპიკი დივიდენდების სახით, რადგან თურქული კომპანია პროექტში ფულის ჩადებას დღესაც აგრძელებს და მოგებას თავადაც ვერ ნახულობს.



ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო, რომელსაც თურქები ამუშავებენ.



აფხაზი ოლიგარქები: ბესლან ბუტბა და სტანისლავ ლაკობა (მარცხნივ).

### ინვესტორებს ტურიზმის სფერო აინტერესებთ

ტურიზმი ეკონომიკის ის ერთადერთი სფეროა, რომელშიც უცხოური ინვესტიციების რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. თუმცა, თითოეული პროექტის ბიუჯეტი კვლავაც მცირეა, იზრდება მხოლოდ ამ ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი. პრობლემა სხვაა: აღნიშნული კომპანიების ორი მესამედის ფუნქციონირების არეალი აფხაზეთში შემოიფარგლება მხოლოდ გაგრით. ხოლო ის კომპანიები, რომლებიც ინვესტირებას სასტუმროთა მშენებლობაში ახდენენ, საერთოდ, მხოლოდ გაგრაში მუშაობენ. სხვა რეგიონებში მშენებარე ან განახლების პროცესში მყოფი სასტუმროების რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია: ოთხი - სოხუმში, ერთი - ახალ ათონში, ერთი - გუდაუთაში, სამი - გულრიფშის რაიონში და ორი – ოჩამჩირეში. ამავდროულად, გაგრაში გასულ სეზონზე ამუშავდა ოთხი ობიექტი. მომავალი სეზონისთვის, როგორც მინიმუმ, ხუთი ახლადაშენებული ან რეკონსტრუირებული ობიექტი დაიწყებს მუშაობას.

აღნიშნულ ვითარებას ობიექტური მიზეზები გააჩნია. საქმე ის არის, რომ ტურისტთა უმეტესი ნაწილი სწორედ გაგრაში და ბიჭვინთაში ჩადის. თავდაპირველად, ეს ყველაფერი უკავშირდებოდა იმას, რომ ომის შემდგომ, საკურორტო ინფრასტრუქტურის უმეტესი ნაწილი მხოლოდ აქ შენარჩუნდა. ამასთან, ახლოს არის საზღვარი რუსეთთან, ესე იგი, იოლია სატრანსპორტო მიმოსვლაც. ბოლო დროს აქ აქტიურად ვითარდება მომსახურების სფერო და დღეს, გაგრის და ბიჭვინთის სავაჭრო მარკა, უკვე საკმაოდ კარგად არის ცნობილი რუსულ ტურისტულ ბაზარზე. საერთოდაც, გაგრის გარე ანტურაჟიც, აფხაზეთის სხვა ყველა კურორტზე გაცილებით მიმზიდველია. ამასთან ერთად, ინვესტორთა მუშაობის პირობები, რესპუბლიკის სხვა რეგიონებისგან არაფრით განსხვავდება. ამის გამო, მათთვის უმჯობესია აქ ჩადონ ინვესტიციები და დარწმუნებული იყვნენ ტურისტთა სიმრავლეში.

ბოლო პერიოდის ყველაზე მასშტაბური პროექტი იყო სანატორიუმ "გაგრიფშის" (ყოფილი "საქართველო") აღდგენა კომპანია "ჩერნომორ-ავია"-ს მიერ. ასევე, ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმის აღდგენა, რომელშიც ჩადებულია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა კაპიტალი. სანატორიუმების - "ჟოეკვარას" და "კოლხიდას" აღდგენა მოსკოვის მერიამ ითავა. სანატორიუმი "უკრაინა" რუსეთის სტრუქტურების მიერ იჯარით არის აღებული, ასევე სხვა ობიექტებიც, მათ შორის, სანატორიუმი "არმენია."

ინვესტიციების რაოდენობაზე და რეალური ინვესტორის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის მიუხედავად, ტურისტული ობიექტების მფლობელები, საკუთარ მუშაობაში, გარკვეული პოლიტიკური ქვეტექსტის პოვნას ცდილობენ. მაგალითად, "გაგრიფში"-ს აღდგენა საწყის ეტაპზე გაფორმდა, როგორც აფხაზეთის და ყარაბაღის ერთობლივი პროექტი. რაც შეეხება პატარა სასტუმრო "მიდელის" მშენებლობას, რომელიც როსტოვის ერთ-ერთმა კომპანიამ დააფინანსა, მას აპიარებდნენ, როგორც გაგრის ადმინისტრაციისა და როსტოვის მხარის ქალაქ აკსაის ერთობლივ პროექტს. თავისთავად ცხადია, რომ არც ყარაბაღი და არც აკსაი აღნიშნულ პროექტებთან არანაირ კავშირში არ არიან. თუ არ ჩავთვლით, რომ ყარაბაღიდან წამოსულები მრავალ მშენებარე ობიექტებზე მუშებად მუშაობენ.

არის სხვა პრაქტიკაც. ძველი საბჭოთა გიგანტური სასტუმროების აფხაზი მეპატრონეები, პროექტში წილობრივი მონაწილეობისათვის, იწვევენ ინვესტორებს. მაგალითად, აფხაზური კომპანია, რომელიც ფლობს გარკვეულ ობიექტს, მზადაა პარიტეტულ საწყისებზე მოახდინოს ობიექტის ექსპლოატირება, მაგრამ, ინვესტორი მის სრულ ან ნაწილობრივ რეკონსტრუქციას საკუთარი სახსრებით ახდენს. აღნიშნული პრაქტიკა დიდი წარმატებით სარგებლობს. პირველ რიგში, ინვესტორს არ აწუხებს ჩინოვნიკებთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან ამ ყველაფერს ობიექტის მეპატრონე აგვარებს. ამასთან, როგორც წესი, მსგავსი ობიექტები, აფხაზეთში მოქმედი ტურისტული ფირმების კატალოგებშია შეტანილი, რის გამოც ინვესტორს მუდმივი კლიენტურა გარანტირებული ჰყავს. მსგავსი სქემით მუშაობს რამდენიმე მეგაობიექტი, როგორიცაა ბიჭვინთაში მდებარე პანსიონატი "სოსნოვაია როშჩა", რომლის მფლობელიც ბაშკირ ინვესტორთან თანამშრომლობს.

განსხვავებული ვითარებაა სხვა რეგიონებში, მაგალითად, ახალ ათონში. მომავალ საკურორტო სეზონზე, აქ ამოქმედდება ერთადერთი აღდგენილი ობიექტი – ყოფილი პანსიონატი "ახალი ათონი". რეალური ინვესტორის შესახებ ინფორმაცია "გასაიდუმლოებულია". მშენებლობა, "კურორტის გაუმჯობესების მიზნით," ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ ხორციელდებოდა. ტურისტული ინდუსტრიის ქალაქის, ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის დასასვენებელი ბაზის კიდევ ერთი მსხვილი ობიექტი, რომელიც მას ჯერ კიდევ 1995 წელს გადაეცა, საცოდავი სანახავია. ათვისებულია მხოლოდ რამდენიმე ნომერი და ჰოლი. რასაკვირველია, არანაირ კეთილმოწყობაზე საუბარი აქ არ არის. ახალი ათონის აქტიური მშენებლობის და საკმაოდ პრეზენტაბელური გარე ხედის მიუხედავად, ქალაქის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალი არ აისახება. ათონის ტურისტული ინდუსტრია მოიცავს მხოლოდ გამოქვაბულსა და მონასტერში ჩამომსვლელი ექსკურსანტების მომსახურებას. მხოლოდ გასულ წელს, გამოქვაბული ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა მოინახულა. ამის გამო, ადგილობრივი მეწარმეები, თანხის ინვესტირებას რესტორნებსა და მაღაზიებში ამჯობინებენ.

"სასტუმროების პრობლემა" სოხუმში ყოველ სეზონზე მძაფრდება. თუ არ გავითვალისწინებთ გასულ ორ წელიწადს, მაშინ ქალაქში ერთადერთი მომუშავე ობიექტი მოსკოვის სამხედრო ოლქის სანატორიუმი იყო. ომის შემდგომ, ქალაქში პირველი სასტუმროს - "სინოპ"-ის მშენებლობას აფინანსებდნენ თავდაცვის სამინისტროს რიგი მაღალჩინოსნები. სასტუმროების მშენებლობის ამჟამინდელი პროექტები უცხოური კაპიტალის ხარჯზე ფინანსდება, თუმცა, საერთო ჯამში, ბიზნესი ძალზე ნელა ვითარდება. კომპანია "ჩეგემი"-ს მიერ აშენებული "რიცა"-ს გარდა, ახალი წლის წინა დღეებში გაიხსნა სასტუმრო "იასემინი", რომელიც თურქული კომპანიის მიერ აშენდა. ზაფხულის სეზონის დაწყებამდე, იგეგმება კიდევ ერთი სასტუმროს გახსნა, რომელიც რუსული კომპანია "აურა"-ს მიერ შენდება. ზღვის სანაპიროზე, პატარა სასტუმროს მშენებლობის პროექტი შენიღბულია და ცხადდება, თითქოს მას აფხაზეთში ორიოლის მხარის წარმომადგენლობა ახორციელებს. ობიექტის სიმცირის მიუხედავად, ცხადია, რომ ორიოლის მხარის ინტერესების წარმოსაჩენად ამდენი შენობა საჭირო არ არის.

კიდევ შეიძლება რამდენიმე მშენებარე ობიექტის ჩამოთვლა, თუმცა ისევ დანგრეულია საბჭოთა პერიოდის მნიშვნელოვანი სასტუმროები. უპირველესად კი, ეს არის სასტუმრო "აფხაზეთი." ის უკვე არაერთხელ გადაეცა სხვადასხვა რუსულ კომპანიებს, თუმცა არც ერთ მათგანს მისი აღდგენითი სამუშაოები არ წამოუწყია. ჯერჯერობით, განსაზღვრულიც არაა აღნიშნული სასტუმროს რეკონსტრუქციისათვის საჭირო თანხების ოდენობა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია ისეთი სასტუმროების პერსპექტივები, როგორიცაა, მაგალითად, "სოხუმი" და "თბილისი." ხელისუფლების წარმომადგენლების მცდელობა, მოეძებნათ ინვესტორები, ფუჭი აღმოჩნდა. ინვესტორები, როგორიცაა, მაგალითად, კომპანია "იასემინი", რომელსაც ასევე სთავაზობდნენ აღნიშნულ ობიექტებს, აცხადებენ, რომ გაცილებით პერსპექტიულია ახალი სასტუმროების მშენებლობა, ვიდრე მსგავსი, საბჭოთა სტანდარტებით აშენებული ძველი სასტუმროების რეკონსტრუქცია.

ყველაფერ ამის შედეგად, უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში, სასტუმრო ბიზნესის განვითარების ნაცვლად, გაცილებით აქტიურად ვითარდება "ოთახის გაქირავების" ბიზნესი, ანუ - კერძო ბინების მესაკუთრეების მიერ ტურისტებისთვის საცხოვრებელი ფართის შეთავაზება. ბიზნესი იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ სოხუმი სამშენებლო მოედნად იქცა. ადგილობრივი მეწარმეები, უმეტესწილად, ორსართულიან შენობებს აშენებენ, რომელიც ერთდროულად 10-15 ადამიანის მიღებაზეა გათვლილი.

დამოუკიდებელი ექსპერტების გამოთვლით, აფხაზეთში, ტურიზმის გარდა, სხვა სფეროებში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არ აღემატება 100 მილიონ აშშ დოლარს. აღნიშნული ციფრი აშკარად მეტყველებს აფხაზეთში საინვესტიციო ბაზრის ამჟამინდელ მდგომარეობაზე. ინვესტორთათვის, როგორც ჩანს, ყველაზე მიმზიდველი სფერო ვაჭრობაა. თუმცა, ამ პროექტებმაც მხოლოდ წელიწადნახევარია, რაც ეფექტურად დაიწყო მუშაობა.

სამი წლის წინ აფხაზეთში, ვლადისლავ არძინბას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამებრძოლის, გენადი გაგულიას პროტექციით შექმნილი სავაჭრო-სამრეწველო პალატა ინვესტიციების მოძიებაზე იყო ორიენტირებული. უმჯობესი იქნებოდა, ორგანიზაციის მუშაობა გაცილებით ეფექტური ყოფილიყო, რადგან ის, ჯერჯერობით, მხოლოდ მის სტრუქტურაში შემავალი ორგანიზაციებიდან გადასახადების აკრეფით არის დაკავებული. თუმცა, ერთი წარმატებული პროექტის განხორციელება მაინც შეძლო – გაგრაში აშენდა მეგამარკეტი "კონტინენტი". შედეგად მოხდა ის, რომ გაგულია ურალის კომპანიის მიერ დაფინანსებული პროექტის თანამფლობელი გახდა. კიდევ ერთი დიდი სავაჭრო პროექტი იყო ქარხანა "სუხუმპრიბორის" ბაზაზე სასაქონლო ბაზრის შექმნა, რაც ურალის კიდევ ერთმა კომპანიამ დააფინანსა.

ეკონომიკის სხვა სფეროები ინვესტორების ყურადღებას თითქმის არ იქცევს. სოფლის მეურნეობაში, რომლის განვითარებაზეც ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი აკეთებდა აქცენტს, არის მხოლოდ ერთი ფართომასშტაბიანი პროექტი. მოსკოვის კონცერნმა "ბაბაევსკი"-მ თხილის დასათესად იჯარით აილო რამდენიმე ჰექტარი მიწა აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში. სოჭის ხის გადამამუშავებელმა კომპანიამ გულრიფშის რაიონში ააშენა ხის გადამამუშავებელი ქარხანა. უკვე ორი წელია, რაც მუშაობს სატელეფონო კავშირის მოდერნიზაციის ორი კერძო პროექტი.

აფხაზეთში მომუშავე უცხოელი ინვესტორები ქვეყანაში არსებულ პერსპექტივებზე ერთნაირად საუბრობენ. უმეტესობა ჩვენს ეკონომიკაში არ მუშაობს, ამიტომაც, ინვესტორთა კომპანიების უმრავლესობა ამა თუ იმ სფეროში მონოპოლისტი ხდება. ამის გამო, ბევრი მეწარმის აზრით, აქ, პროექტთა ღირებულება, რუსეთში, ანალოგიური პროექტებზე გაცილებით მაღალია.

თუმცა, ინვესტორებს ადგილობრივ რეალობასთან ადაპტირება მუდმივად უწევთ. საინვესტიციო ბაზრის რეგულირების კანონის მექანიზმების და მთავრობის მხრიდან ინვესტორის მუშაობის გარანტიების არქონის გარდა, მათთვის თავის ტკივილია საბაჟო კანონმდებლობის დაურეგულირებლობა. ბევრს შეექმნა პრობლემა "მმართველ კრიშასთან", რომელსაც ბიზნესის სტაბილურობის გარანტირება ძალუძს.

სულ რამდენიმე წლის წინ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ინვესტორები თავს იკავებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკების მადის გამო. ჩინოვნიკები საჭირო დოკუმენტთა გასაფორმებლად, ამა თუ იმ ობიექტის აღდგენისათვის საჭირო თანხის მეათედს ითხოვდნენ. სერიოზული პრობლემები იქმნება მუშაობის პროცესშიც. იგივე ხის გადამამუშავებელი ქარხანა, ტყით მდიდარ ქვეყანაში, დაუმუშავებელი პროდუქციის უკმარისობის პრობლემის წინაშე დადგა. ამ პრობლემას ყველა ერთად აგვარებდა და მისი დარეგულირება მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როდესაც ხელისუფლებამ, ტყის გადამამუშავებელ სახელმწიფო საწარმოებს ქარხნისთვის გარკვეული რაოდენობის პროდუქციის მიწოდება დაავალა. ესეც მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ინვესტორები მუშაობის შეწყვეტით დაიმუქრნენ, თუ საჭირო პროდუქციის მიწოდების სტაბილური სისტემა არ შეიქმნებოდა.

ერთი სიტყვით, აფხაზეთში რეალური საინვესტიციო გარემო მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება, როდესაც თამაშის ცივილიზებული წესები შეიქმნება და მას კანონი დაარეგულირებს, და არა ჩინოვნიკებთან პირადი ურთიერთობები.

## გალაკტიონი და სხვები



B2

## კიდევ ერთხელ მაიკლ მურის შესახებ "ოსკარის" გარიჟრაჟზე



B3

## 60 წელი ქალისთვის არაფერია



B8

რაც გინდათ, თქვით, მაგრამ **მიხეილ სააკაშვილი** ნამდვილად მაძლევს სტიმულს. ჩემი მუზა როგორ დავარქვა, თანაც არც ჩემი პუბლიკაციებია სმენის საამებელი მუსიკობა, თუმცა ეს უკანასკნელი მკითხველის გემოვნებაზეა დამოკიდებული...

ერთი სიტყვით, დღევანდელი სტიმული 18 იანვრის ერთი მოკლე შენიშვნიდან მომდინარეობს, რომლითაც "24 საათმა" გვამცნო, რომ პრეზიდენტს ევროსაბჭოს შენიშვნები საგანგაშოდ არ მიაჩნია. შენიშვნები, შესაძლოა, მართლაც არ იყოს საგანგაშო, მაგრამ აქ ნამდვილად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფორმას. შენიშვნა გვამცნობს, რომ მიხეილ სააკაშვილმა **"ქართველი პარლამენტარების მიერ აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გამოთქმულ შეშფოთებას "პროვინციული და სასაცილო გნიასი" უწოდა"**.

რაც შეეხება საქართველოში პროვინციალიზმის გავრცელების დონესა და სიმძლავრეს, ამაზე მჭევრად მეტყველებს 20 იანვარს **აკა მორჩილაძის** მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომელმაც კითხვაზე, არის თუ არა ქართული ტელევიზია დილეტანტური, უპასუხა: "**საქართველოს პირობაზე ალბათ არა**". მწერალი იცნობს თავის სამშობლოს, მწერალი მისგან კარგს არაფერს მოელის...

მაშ ასე, პროვინციალიზმი ჩვენში ბლომად უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ საკითხის გარკვევა მართლაც ღირს. რა არის პროვინციალიზმი, დეპუტატების შეშფოთება ევროსაბჭოს შენიშვნებით, თუ თვალებპრიალა ოპტიმიზმი, რომლის დამკვიდრებას ცდილობს ხელისუფლება?

აბა, ეს ციტატა წავიკითხოთ: **"მე მათ ვაფრთხილებ (მღვდლებს, სტუდენტებს, არასამთავრობოებს): ჩემნაირად, დალაგებულად მათ სხვა არ დაელაპარაკება. თუ არ შეჩერდებიან, ხალხი ქვებს აიღებს ხელში, თავგატეხილები ისევ ჩემი და ჩემნაირების გადასარჩენი გახდებიან. ბევრი სახლში მეყოლება დასამალი, რომ არ დახოცონ."** საქმეში ჩახედულ მკითხველს არ გაუჭირდება მიხვედრა, რომ ამ ცუდად შენიღბული მუქარის ობიექტები ისინი არიან, ვინც ცდილობს, ტაბუ მოეხსნას საპატრიარქოში მიმდინარე პროცესების გაშუქებას. მაგრამ ვინ და საიდან იმუქრება? — "ტრადიციონალისტთა" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **გუბაზ სანიკიძე** გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებიდან (24.12.2004). სწორედ ამგვარი ფაქტების გამო წერდა 20 იანვარს **ეკა კვესიტაძე** თავის სვეტში, რომ მათი საზრისის გაგებას "**სულაც არ სჭირდება ევროსაბჭოს მონიტორინგის კომისიის დასკვნა**".

განა მარტო შარშანდელი კონსტიტუციური ცვლილელები, ეჭვმიტანილთა წამება, სასამართლო რეფორმის დაგვიანება და სხვა მრავალი გვაღელვებს — ისიც გასათვალისწინებელია, რა საბაბით ისმის სულ უფრო ხშირად ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა. მე, მაგალითად, არ მჯერა, რომ ყოველ წელიწადს მდინარე იორდანე იერუსალიმის პატრიარქის ლოცვით აღმა მიედინება. სამაგიეროდ, ის ვიცი, რომ იერუსალიმის პატრიარქი **ირენეოსი**, მიტროპოლიტობის დროს, საბერძნეთში სასამართლო პასუხისმგებლობაში იყო მიცემული კორუფციის ბრალდებით, რის გამოც საპატრიარქო საყდარზე ასვლისას ისრაელისგან აკრედიტაციის მიღება გაუჭირდა. მსოფლიოში არ არსებობს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ამ თვალსაზრისისა და ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის მისაყვედურებდა. საქართველოში კი ალბათ მომიწევს თავგატეხილს გუბაზ სანიკიძის "დალაგებული" ნოტაციების მოსმენა.

მართლაც არაა საჭირო ევროსაბჭოს მონიტორინგი იმის მისახვედრად, რომ ამგვარ პირობებში ყოფნა სამარცხვინოა.

ახლა კი "არაპროვინციელ" პოლიტიკოსებს მოვუსმინოთ. აი, რას გვაუწყებს 20 იანვრის ნომერში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, **მაია ნადირაძე**: **"ევროსაბჭოს პოზიციას, რომ ყველა ძალა დაბალანსებული არ არის, ჩვენც ვიზიარებთ. ეს ნათლად ჩანს კონსტიტუციაში, სადაც ვამბობთ: მაქსიმუმ, შვიდ წელიწადში ეს უნდა შევცვალოთ. რატომ არ გავაკეთეთ ასე და არ მივბაძეთ 200-წლიანი გამოცდილების დემოკრატიულ ევროპულ ქვეყნებს? იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა არის დაშლილი, აქვს საბჭოეთის ძალიან ცუდი, ასევე კორუფციული ხელისუფლების საშინელი გამოცდილება და არსებობს რაღაც სტერეოტიპები, რომლის შეცვლასაც განსაკუთრებული ზომები სჭირდება**".

სულ მცირე, ორი შენიშვნა მაქვს. შენიშვნა პირველი: წარმოვიდგინოთ, რომ "200 წლის წინათ" ევროპის ქვეყნებში ასეთი მსჯელობა გაემართათ: ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ფეოდალიზმის ექვსასწლიანი და აბსოლუტიზმის საუკუნოვანი გამოცდილება, თან რაღაცრაღაც სტერეოტიპებიც გვაწუხებს... შენიშვნა მეორე: რაო, შარშან იანვარში, როდესაც რევოლუციური სამეული ჩაიკეტა და კონსტიტუციური ცვლილებები შვა, დავიჯეროთ, მართლა ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში? როდემდე ვერ გავიგებთ მოვლენათა რეალურ ანალიზს?

თუმცა ერთი ჭეშმარიტება მაია ნადირაძესაც წამოსცდა: **"იმ პრეზიდენტს, რომელიც დღეს გვყავს, ჰქონდა ძალიან მაღალი რეიტინგი და ძალაუფლების განხორციელების სერიოზული მოტივაცია"**. ამ წინადადებაში ყველაზე მომხიბლავი წარსული დროა, მაგრამ ახლა სხვა რამეზე ვამახვილებთ ყურადღებას — გავიხსენოთ იმავე ნომერში გამოქვეყნებული ეკა კვესიტაძის უკვე ნახსენები სვეტი: **"ამ ქვეყანას კანონების მაგიერ ჯერ კიდევ ადამიანები მართავენ"**. აჰა, განა თვით უმრავლესობის ლიდერმა არ აღიარა იგივე, რითაც, ერთი მხრივ, გააუქმა საკუთარი არგუმენტაცია და, მეორე მხრივ, პრეზიდენტის ლექსიკა რომ გამოვიყენოთ, შეუერთდა "პროვინციულ და სასაცილო გნიასს".

უმრავლესობის ლიდერს აქ ისევე მოუვიდა, როგორც ჩვენს უნიტარისტებს, რომლებმაც 21 იანვარს თავიანთი დეკლარაცია გამოაქვეყნეს, სადაც გამოყენებულია ერთი ფრიად უცნაური ტერმინი — "დეცენტრალისტური უნიტარიზმი". მართალია, უნიტარისტებმა აჯობეს: აქ წინააღმდეგობა ორი სიტყვის სივრცეზეა გამოვლენილი. დიდხანს ვფიქრობდი, რას უნდა ჰგავდეს ეს "დეცენტრალისტური უნიტარიზმი". ერთი პირობა, ფუტკრების ნაყარი წარმოვიდგინე, მაგრამ გამახსენდა, რომ მწერების "სოციუმი" განაყოფიერებული დედა-ფუტკრის, როგორც ცენტრის, გარშემო იყრის თავს. ასე რომ ამ "არაპარტიულ დროებით საზოგადოებრივ გაერთიანებას" თავის ძირითად იდეად ოქსიუმორონი აურჩევია — სიტყვიერი კონსტრუქცია, სადაც მსაზღვრელი საზღვრულს ეწინააღმდეგება.

ამით რომ ამოიწურებოდეს საქმე, რა გვიჭირს. იქვე, 20 იანვარს ვკითხულობთ აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** სტატიას, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*. აქ ვკითხულობთ, რომ **"მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიები და უმაღლესი განათლების სათანადო დაწესებულებები არის თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ის ძირითადი კერები, სადაც ხდება ამგვარი მეცნიერული იდეების ჩასახვა და განვითარება"**. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ცოტა ქვემოთ საოცარი რამ გველის: **"საქართველოში სწორედ ამ ტიპის დაწესებულებებს წარმოადგენდნენ ცნობილი ძველი აკადემიები, მათ შორის დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის აკადემია"**. მაინც რა არის საოცარი? — ის, რომ კაცი, რომელიც 21 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს, ვერ ამჩნევს პრინციპულ განსხვავებას ჰუმანიზმის მიწურულის ევროპასა და ბიზანტიას შორის. გამგები გაიგებს, მე კი ერთს ვიტყვი: "მეცნიერული იდეების ჩასახვა" როგორც ძირითადი მიზანი გელათის აკადემიის დამაარსებლებსა და მონაწილეებს აზრადაც არ მოუვიდოდათ.

ეს მარტივი აზრი სრულიად ცხადია შუა საუკუნეების ნებისმიერი ოდნავ მაინც გონებაგახსნილი მცოდნისათვის. მაგრამ საქართველოში მისი ხმამაღლა გამოთქმისთვის ალბათ გუბაზ სანიკიძის მოსავლელი გახდები. რატომ?

ო, ეს გრძელი ამბავია, მაგრამ გასული კვირის "24 საათი" ნამდვილად გვაძლევს მისი მცირედ მაინც გარკვევის საბაბსა და შესაძლებლობას...

ყველაფერი იწყება 18 იანვარს გამოქვეყნებული მცირე ხელმოუწერელი შენიშვნით *ხმაურიანი კინოპროექტი*. გასაგებია, რომ საქმე ეხება ფილმს დავით აღმაშენებლის შესახებ.

გამოვტოვოთ დავით ტურაშვილის იმავე ნომერში გამოქვეყნებული სვეტი *ყოველ სამშაბათს* და ისე ვცადოთ პასუხი კითხვაზე: რატომ ახმაურდა ყველა?

დამხმარე შეკითხვა: რას ნიშნავს ფილმი დავით აღმაშენებლზე? — უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ისტორიული პერსონაჟი და, შესაბამისად, საქართველოს ისტორია ღიად გადაიშლება მაყურებლის, უფრო მეტიც, ნებისმიერი მაყურებლის თვალწინ. მაგრამ სულ ტყუილად ფიქრობენ, რომ ჩვენი წარსული ჩვენი სიამაყის საფუძველია. სიამაყე, სულ მცირე, ობიექტურობის გარკვეულ დონეს გულისხმობს (ამაყობ იმით, რასაც მხოლოდ შენ არ აღიარებ), ჩვენთვის კი საკუთარი წარსული მხოლოდ თვითშეფასების ასამაღლებელი საშუალებაა. იმუშავებს თუ არა ეს საშუალება მაშინ, როცა ყველას მიეცემა ცხადი საბაბი, თვითონ იმსჯელოს ამ წარსულზე?

დღეს ჯერ კიდევ მათ ეკუთვნით უმრავლესობა, ვინც ვერც კი წარმოიდგენს, რომ ჩვენი ქვეყნის გარეთ უფრო მეტი ადამიანისთვის საქართველო რუსთველის კი არა, ფარაჯანოვის ქვეყანაა. ხსენებული საგაზეთო შენიშვნა გვამცნობს, რომ იდეის ავტორები დარწმუნებული არიან, რომ ფილმი სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ისეთ ფილმებს, როგორებიცაა "მამაცი გული", "ტროა" და "ალექსანდრე". სერიოზულ კონკურენციას გაუწევს — ჰმ, რას ნიშნავს ეს წინადადება. რა თქმა უნდა იმას, რომ კონკურენციას გაუწევს როგორც ფილმი. მაგრამ გამოიწვევს თუ არა რაიმე შთაბეჭდილებას **პერსონაჟი**? აი, ეს გვაწუხებს ყველაზე მეტად, თუმცა კი საკუთარ თავს არ ვუტყდებით. ადვილია "იმედის" "რეაქციაში" იძახო, რომ ბიბლიური დავითის შემდეგ დავით აღმაშენებლის მსგავსი არავინ დაბადებულაო, მაგრამ უფრო ფართო ასპარეზზე იგივე აზრის გამოთქმა გაცილებით სახიფათოა.

სხვა თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, რადგან, მაგალითად, "შერეკილები" ბევრად ჯობია "მამაც გულს", "ალექსანდრეს" და "ადამიან ობობასაც". მაინც საინტერესოა, რატომ ვადარებთ ამ გადაუღებელ ფილმს მაინცდამაინც "ტიტანიკს", "ტროას", "ბენ ჰურს" და ასე შემდეგ, როგორც არაერთხელ ისმის გიგა გურასაშვილის სტატიაში *ცუდი გნიასი კარგი საქმის გამო*? რატომ ავირჩიეთ ასეთი ეტალონები, რა გვიზიდავს, მილიონიანი შემოსავლები თუ წარმატების მასშტაბი?

მგონი, იგივე სულიერი მიდრეკილება უნდა იყოს, რომელმაც რომელიღაც კანონშემოქმედს აფიქრებინა, წყალტუბოში ქართული ლას-ვეგასის შექმნა. 21 იანვარს **გიორგი ასანიშვილმა** გვარიანად იხალისა ამ განზრახვაზე, რომლის მიხედვით ქართული სათამაშო ბიზნესი რატომღაც წყალტუბოში გადააქვთ. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ზურაბ ტყემალაძის** "არგუმენტაცია": **"ამერიკელებმა ლას-ვეგასი უდაბნოში გააშენეს, ჩვენ კი ვაპირებთ სათამაშო ბიზნესი პირდაპირ წალკოტში შევუშვათ, სადაც მისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მზა სახით უკვე არსებობს"**. საინტერესოა, რომელ ინფრასტრუქტურას გულისხმობს ბ-ნი ტყემალაძე? კოპიტნარის აეროპორტს? თუ იმ გაუბედურებულ კუთხეს, სადაც ინფრასტრუქტურად აფხაზეთიდან დევნილებით დასახლებულ საბჭოთა სანატორიუმების ნამუსრევს თუ მონათლავს გაბედული ფანტაზიის მქონე კაცი. გარდა ამისა, რატომ არც ერთი დეპუტატი არ შეეხო იმ საკითხს, რომ "ლას-წყალტუბოში" ყველაზე დიდი პრობლემა მოგებული თანხის მშვიდობიანი გამოტანა იქნება. მათ მაინც უნდა იცოდნენ, რომ იმერეთის რეგიონში ორმოცდაათამდე "კანონიერი ქურდი" ცხოვრობს...

მაგრამ პროვინციალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება, მიმიკრიისკენ მისწრაფება თვით საღ გონებაზე ძლიერია. დავით აღმაშენებლის შესახებ ფილმი — აუცილებლად ბლოკ-ბასტერი, წყალტუბო — აუცილებლად ლასვეგასი.

ამასობაში კი პროვინციალიზმის აყვავებას "24 საათიც" უწყობს ხელს, მაგალითად, ასეთი სათაურებით: *ქართველთა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოსი კრიმინალი დაკავებულია* (20 იანვარი). თუ მკვლელობა კრიმინალის ჩარჩოებში თავსდება, არც ეჭვმიტანილის, არც დაზარალებულთა ეთნიკურ წარმოშობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს; თუ მკვლელობა ეთნიკური კონფლიქტის ფარგლებში მოხდა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს და მით უმეტეს გაზეთს ამ კონფლიქტის დაძლევა უნდა ჰქონდეს მიზნად დასახული და არა მისი გამწვავება. **"სოფელ თამარაშენში მომხდარი საზარელი მკვლელობა გახსნილია"** — გვახარებს ტექსტი, მე კი არ მიხარია, რადგან არ ვიცი, არსებობს თუ არა "არასაზარელი" მკვლელობები.

ერთი სიტყვით, პროვინციალიზმი მართლაც ბევრია ჩვენში, მაგრამ პრეზიდენტი სხვაგან ეძებს მას. ვერ ვიტყვით, რომ მდგომარეობის გამოსწორება ადვილია, მაგრამ ამისთვის ნამდვილად არ იქნება საჭირო საქართველოში ორმოცი ათასი ჰოლანდიელის ჩამოსახლება: ამგვარი სახით არ ვთხოვთ მიხეილ სააკაშვილს დავითის გზაზე სიარულს — ჯერჯერობით ოდნავი დასერიოზულებაც საკმარისია.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge






ნესტან კვინიკაძის სვეტი

# The End



როდესაც ქართულ კინოში 50-იანელთა თაობა მოვიდა, შიშმა შეძრა მეზობელი რუსეთი. მოსკოვს ხელში ეჭირა ერთი უტყუარი ფაქტი: საქართველოში კომედიების და უპოზიციობის ხანა დამთავრებულიყო (აქ ქართული კინოს დეკადანსს ვგულისხმობ) და ახალ ტალღას ფეხქვეშ გაეთელა ის, რაც ნიკოლოზ შენგელაიას "ელისოს" შემდეგ გაბატონებულიყო.

დრამატურგია, ირონია და თვითირონია; გმირი; მხატვრების, არტისტების და კომპოზიტორების ბასტიონები. კინოდარბაზებში შუქის ჩაქრობა და ეკრანზე, ერთს მეორეზე უკეთესი ფილმი ცვლიდა. ფესტივალებიდან დაბრუნებული ხელდამშვენებული რეჟისორები და ქართული საზოგადოების ლექსიკონში დამკვიდრებული გარდაუვალობა - საყვარელი დიალოგების ციტირება.

პირდაღებული ახლოსაზღვარგარეთი სიბრაზეს ვეღარ ფარავდა. არა იმიტომ რომ კინოში სათქმელი გაბატონებულ სისტემას ებრძოდა, პირიქით - ქართველი რეჟისორები ისეთ კინოს აკეთებდნენ, თითქოს საერთოდ არ არსებობდა ის სისტემა, რომელიც თავისი იდეოლოგიით, ერთი სიტყვით, შოკში აგდებდა შემოქმედს.

ომის შემდეგი თაობა თუ რაღაც ამის მსგავსი სავსე იყო დაუმორჩილებლობით, ნიჭით და გემოვნებით. მაგრამ...

როდესაც მე მოვისურვე ამ ჯადოქრობასთან ზიარება (კინოს ვგულისხმობ), 1997 წელი იდგა. კინოსახლთან პრინტერიდან ამობეჭდილ აფიშაზე რაინერ ვერნერ ფასბინდერი და ვერნერ ჰერცოგი რომ ვიხილე, იმ წამსვე ბილეთი შევიძინე და შუადღის სეანსს დაველოდე. ჩემი თანატოლი გოგონა, ბიჭი და ასაკოვანი მამაკაცი, - ეს ის შემადგენლობაა, ვისაც "პეტრა ფონ კანტის ცხარე ცრემლების" და "ყველა თავისთვის, ღმერთი ყველას წინააღმდეგ" ნახვა სურდა. ოთხი კაცისთვის დარბაზს ვერ გავაღებთო, გვითხრეს და მეორე დღეს კინო სახლიც კაზინოდ იქცა.

ახლა ქრონოლოგიის დაცვას და იმის გამეორებას არ დავიწყებ, რის შესახებაც უფრო მეტი დაიწერა, ვიდრე რეცენზიები ფილმებზე. მე, უბრალოდ, გულწრფელად ვერ ვგებულობ ამ თაობის გულისტკივილის მიზეზს დღეს, და ამის გამო ვცდილობ ისევ ღრმად, წარსულში ვეძებო მოტივი.

ვინ დატოვა რეკვიზიტების ამარა კინოსტუდია? ვინ აქცია კაზინოებად კინოთეატრები? ვინ გააკეთა არჩევანი "სკამებს" შორის? - ამაშიც ჩემი თაობის ე.წ. "უნიჭო რეჟისორები" ხომ არ არიან ეჭვმიტანილები?!

ახლა სხვა დრო დგება. უგმირო, დეკორაციის გარეშე. დავალებაც ასეთია - რაც გინდა ის აკეთე. მაგრამ მიუხედავად სიახლისა, კინოს ისევ იგივე მტრები ჰყავს, რაც ოდითგანვე ჰყავდათ ადამიანებს: ცეცხლი, წყალი, დრო და მათივე საკუთარი შინაარსი.

სადაც ვიწროა, იქ წყდებაო და მათაც, ერთ დროს "ცეცხლითა და მახვილით" მოსულ თაობას, ერთდროულად შეეყარა "ბატონების" ყველანაირი სახეობა, ბავშვობაში რომ არ მოუხდიათ. კიდევ იყო ერთი რაღაც - სიჭაბუკე დასრულებულიყო.

ახლა ერთი კითხვა მაქვს აკვიატებული. რა უფრო მნიშვნელოვანია - მოსვლა თუ წასვლა? მოსვლა, ალბათ, უფრო შთამბეჭდავია, წასვლა კი მაინც ღირსების შენარჩუნებასთან ასოცირდება.

ვიღაცა იტყვის: რა დროს კინო იყო, ქვეყანა თავზე გვექცეოდაო. ასეთ დროს გოეთეს ლექსი მახსენდება - "თავის სახლის წინ დახვეტოს ყველამ, სუფთა იქნება მთელი ქალაქი".

და მაინც, რაღაც სიმბოლური იყო კინოფირების აორთქლებაში. რაღაც მინიშნება, და მჯერა ეს ჩემზე უკეთ იცის იმ თაობამ, რომელთა შემოქმედებას მხოლოდ რევერანსებს ვუძღვნი. და სწორედ იმიტომ, რომ მათნაირი კინო შეიძლება ვეღარასდროს შეიქმნას ჩვენს რეალობაში, მიჭირს ვიპოვო ლოგიკა. მათ ხომ თავიანთივე ხელით გამოუტანეს განაჩენი ქართულ კინოს. ეს ფინალია... არც ბედნიერი, არც ტრაგიკული, ღია თუ გაუგებარი, ეს ადამიანური ფინალია.

ახლა დავით აღმაშენებლის თემას რომ შევეხო და ფილმის გადაღების იდეას ქება-დიდება უთხრა, ერთდროულად დამდებენ ბრალს თავხედობასა და დათო ტურაშვილთან მეგობრობაში. გადიდებული თვალებით შემომხედავენ და მეტყვიან: ნუთუ შენც გჯერა, რომ ირლანდიელების ნათესავები ვართო. ამ კითხვის ავტორები კი ისინი იქნებიან, ვისთან ნათესაობასაც, გულწრფელად მირჩევნია უილიამ ტრევორის, ანდა ბონოს ნათესავი მერქვას და ჩემი რელიგიაც, გააზრებული მქონდეს როგორც არჩევანის თავისუფლება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაუვა ვადა ნაქირავებ მოლოდინს და ჩვენი გაცრეცილი მდინარის ბედი, ჩვენდა სასიკეთოდ გადაწყდება.

The End... სასოწარკვეთა დაუშვებელია! ეს, უბრალოდ, ერთი ეპოქა დასრულდა ქართულ კინოში. ჩვენ კი მაინც აქ ცხოვრება განვიზრახეთ, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველაფერს ვიწყებთ თავიდან. მოვაწყობთ "კაპუცინების ბულვარს" და იმ კინოს ვუჩვენებთ, მთელი ეს დრო რომ ველოდით.

კაპუცინების ბულვარზე გამახსენდა. სულ ახლახანს პარიზიდან დავბრუნდი, სავსე სიახლით და სიყვარულით. მინდა მოგიყვეთ, როგორ კარგავს იერსახეს ევროპა, როგორ დუღს "პომპიდუს" ცენტრი ულტრათანემედროვეობით, როგორია ახალი წლის შემდეგ პარიზი და ბევრი სხვა. ეს ყველაფერი შემდეგი სვეტის თემა იყოს.

# გალაკტიონი და სხვები

*გამოვიდა ცნობილი ლიტერატორის გიზო ზარანაძის ახალი წიგნი "გალაკტიონი, ოკუჯავები და სხვები", რომლის წინათქმა ეკუთვნის ვახუშტი კოტეტიშვილს. ალბათ ძალიან ძნელია ამ წიგნზე უფრო უკეთ მოუთხრო მკითხველს, ვიდრე ეს ბატონმა ვახუშტიმ მოახერხა, ამიტომ გთავაზობთ მის წინათქმას უცვლელი სახით.*

ვახუშტი კოტეტიშვილი

ამ წიგნის ავტორს სტუდენტობიდან ვიცნობ და ათწლეულების მანძილზე თვალს ვადევნებ მის მწერლურსა და წარმატებულ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თუ რადიო-ტელევიზიის გადაცემებში. ამჟამად კი ჩვენს ხელთ არის მისი ესსეების წიგნი, რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ განსახილველ საკითხთა ღრმად პროფესიული ცოდნით, არამედ დიდი სიყვარულითა და სიხარულით, რაც ესოდენ გაიშვიათებულია ჩვენს ბოღმა-ღვარძლიან ქილიკით დამუხტულ ხანაში.




წიგნის თითქმის ნახევარი ეთმობა დიდი გალაკტიონისა და მისი უსაყვარლესი მეუღლის, ქ-ნ ოლია ოკუჯავას ტრაგიკული სიტუაციებით აღსავსე სიყვარულის ისტორიას.

მე მიჭირს კიდეც იმ სტილის განსაზღვრა, რომლითაც არის დაწერილი ეს უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ-ისტორიული ესსე, რომელშიც რელიეფურად იკვეთება მთელი ეპოქის შემზარავი სურათი.

წიგნის მეორე ნახევარი ეთმობა თანამედროვე ქართული მწერლების აწგარდაცვლილსა თუ ცოცხალ წარმომადგენლებს, რომლებთანაც ავტორს პირადი ნაცნობობა თუ მეგობრობაც აკავშირებდა, ამდენად, იგი, ხშირ შემთხვევაში, თავადვე გვევლინება ერთ-ერთ მოქმედ პირად, მწერლის თანამოსაუბრედ, რაც მის თხრობას, ობიექტურობის პარალელურად, გარკვეულ ინტიმურ სითბოსაც ჰმატებს.

დარწმუნებული ვარ, მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა გიზო ზარნაძის ამ წიგნს, რომელიც სავსებით ამართლებს მის თავში წამძღვარებულ საბას პერიფრაზს. ეს წიგნი მართლაც გახლავთ "სიხარული სხვისა კეთილსა ზედა".

# "პროდილანისტი" სკორსეზე

მარტინ სკორსეზემ დაიწყო მუშაობა ბობ დილანისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმზე. იდეის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ რეჟისორს გადაწყვეტილი აქვს, არ იქონიოს საქმიანი კონტაქტი თავად გმირთან - ლეგენდარულ ამერიკელ მუსიკოსთან. სკორსეზემ ჟურნალისტებს ამის მიზეზიც განუმარტა: მას სურს, მოახდინოს ბობ დილანის პიროვნების შესახებ მისეული შეხედულების ფორმულირება.



ფილმი ბობ დილანის შემოქმედების ადრეული წლების შესახებ მოგვითხრობს და მოიცავს პერიოდს 1961-დან 1966 წლამდე. სურათის სახელწოდება სავარაუდოდ იქნება "ბობ დილანის ანთოლოგია" და ზაფხულში იხილავს დღის შუქს. ფილმზე მუშაობისას სკორსეზეს განკარგულებაშია ათსაათიანი ინტერვიუ, რომელიც მუსიკოსის მენეჯერმა გადაიღო. "ვცდილობ, შევქმნა იმდენად სამართლიანი ფილმი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება", - ამბობს რეჟისორი. დაბოლოს, სკორსეზე კიდევ ერთხელ ადასტურებს დილანისადმი საკუთარ სიმპათიებს და ამბობს, რომ ეს იქნება "პროდილანისტული" კინონამუშევარი.

ამასობაში მუსიკოსს, რომელსაც აქამდე როკ-ენ-როლის თაობის არაოფიციალურ პოეტს უწოდებენ, ახლა უკვე ოფიციალურად აღიარებენ პოეტად და ისეთი ცნობილი მწერლების გვერდით აყენებენ, როგორიც თანამემამულეები - ფილიპ როტი და ადრიან რიჩია. შაბათს დილანი მათთან ერთად წიგნის კრიტიკოსთა ნაციონალური წრის პრიზების ნომინანტად აირჩიეს.

ამ ნომინაციას დილანი თავის მემუარებს "ქრონიკები, ნაწილი 1" უნდა უმადლოდეს. წიგნი კრიტიკოსებისთვისაც და მკითხველისთვისაც ნამდვილი ფავორიტი აღმოჩნდა. ნაციონალური წიგნის ჯილდოზე ის ბიოგრაფია/ავტობიოგრაფიის ჟანრშია წარდგენილი. მას კონკურენციას ორი სხვა ბესტსელერი გაუწევს: ალექსანდერ ჰამილტონის ბიოგრაფია რონ ჩერნოუს ავტორობით და შექსპირის ბიოგრაფია (ავტორი: სტივენ გრინბლეტი). ნომინანტთა შორის ასევე არიან: ჯონ გაი წიგნით - "სკოტების დედოფალი: მერი სტიუარტის ნამდვილი ცხოვრება" და მარკ სტივენსი და ენელინ სუენი გამოცემით - "ვილემ დე კანინგი: დიდი ამერიკელი მხატვარი".

ამგვარ დაფასებას ბობ დილანი ნამდვილად იმსახურებს. ის თითქმის ერთადერთი როკ-მუსიკოსია, რომლის პოეზიასაც კრიტიკოსები სერიოზულად განიხილავენ. იგივე ეს ნამდვილად ვერ ვიტყვით "ქინქსის" რეი დევისის ანდა "სმეშინგ ფამფქინსის" ბილი კორგანის შემოქმედებაზე - რეცენზენტები, როგორც წესი, ორივეს დასცინიან ხოლმე.

ასე რომ, საინტერესოა, დაჯილდოვდება თუ არა ბობ დილანი წიგნის ნაციონალური პრიზით. საზეიმო ცერემონიალი 18 მარტს გაიმართება.

ცნობისთვის: წიგნის კრიტიკოსთა ნაციონალური ჯგუფი 1974 წელს დაფუძნდა. ეს ორგანიზაცია ფინასნსურ მოგებაზე გათვლილი არ გახლავთ და მასში დაახლოებით 600 რედაქტორი და კრიტიკოსია გაწევრიანებული - სრულიად საკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ 18 მარტს ღირსეულ ნომინანტთა შორის კომპეტენტური არჩევანი გაკეთდეს.

# ვებერს საქმოსნობა მობეზრდა

თეატრალური იმპრესარიო, კომპოზიტორი და მულტიმილიონერი ენდრიუ ლოიდ ვებერი მოლაპარაკებებს მართავს მის მფლობელობაში არსებული თერთმეტიდან ოთხი თეატრის გასაყიდად. საუბარია უესტ-ენდზე მდებარე შემდეგ თეატრებზე: The Apollo, The Garrick, The Duchess და The Lyric.



როგორც კომპოზიტორის წარმომადგენლები აცხადებენ, მოლაპარაკებები ამჟამად ადრეულ ეტაპზეა, ამიტომაც არ ხმაურდება დეტალები და არც პოტენციური მყიდველების ვინაობა სახელდება.

ჭორების მიხედვით, ვებერის სამი თეატრი გაკოტრების პირზეა. ამის მიზეზად იმასაც ამბობენ, რომ ვებერის ყველა თეატრში როგორც წესი, ერთი და იგივე წარმოდგენა მიდის, არ იყიდება ბილეთები. სამაგიეროდ, ცოტაა სადადგმო ხარჯები. დასავლური წყაროები იმასაც ავრცელებენ, რომ ვებერი საკუთარი კომპანიის - Really Useful Group-ის გაყიდვაზეც ფიქრობს. ამ შემთხვევაში, ვებერი შეელევა საკუთარი ნაწარმოებების გავრცელებიდან აღებულ შემოსავალსაც. ერთ-ერთი ვერსიით ეს გარიგება კომპოზიტორს 500 მილიონ ფუნტ-სტერლინგს მოუტანს.

56 წლის ენდრიუ ლოდ ვებერმა თავისი 35 წლიანი კარიერის განმავლობაში შექმნა მთელ მსოფლიოში აღიარებული ნაწარმოებები: როკ-ოპერა "იესო ქრისტე - სუპერვარსკვლავი", ასევე მიუზიკლები - "ევიტა", "კატები" და "მოჩვენება ოპერაში". როგორც ამბობენ, ვებერს მობეზრდა საქმოსნობა და სურს მეტი დრო შემოქმედებას დაუთმოს.

# კოსტელოს საიდუმლო არიები

ცნობილმა შემსრულებელმა ელვის კოსტელომ გადაწყვიტა დაწეროს ოპერა, რომლის სიუჟეტიც აკინძული იქნება ჰანს ქრისტიან ანდერსენისა (რომლის დაბადებიდან 200 წლისთავსაც დანიაში წელს აღნიშნავენ) და შვედი ჯენი ლიდის ბიოგრაფიული ისტორიებით.



ოპერაში "საიდუმლო არიები" (The Secret Arias) გაიჟღერებს სიმღერები, რომლებიც ანდერსენმა შეყვარებულს მიუძღვნა. კოსტელოსთან ერთად ნაწარმოებზე მუშაობს სამეფო თეატრის თანამშრომელი ჰენრიკ ენგელბრეხტი.

ოპერის პრემიერა 2006 წლისთვის იგეგმება. სპექტაკლს პატარა ექსპერიმენტული დადგმებისთვის განკუთვნილ 200 მაყურებელზე გათვლილ დარბაზში აჩვენებენ. ჯერჯერობით უცნობია მსახიობთა შემადგენლობა. ოპერის ავტორთა გეგმებშია ნაწარმოების გამოშვება კომპაქტ-დისკებსა და ციფრულ ვიდეოდისკებზე, ასევე მსოფლიო ტურნე.

# კიდევ ერთხელ მაიკლ მურის შესახებ "ოსკარის" გარიყრაყზე

"ოსკარის" ნომინაციების გამოცხადებამდე საათების დათვლაც შეიძლება. 25 იანვრამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. "ოსკარის" ვებ-გვერდზე კი არც უფრო მასშტაბურ არითმეტიკას დაგზარდებიან და იმასაც გამოგითვლიან, თუ რამდენი დღე, საათი, წუთი და წამი გვაშორებს 27 თებერვლამდე - კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალამდე. ამ წინადადებისას დრო ასე ნაწილდება: "ოსკარამდე" რჩება 35 დღე, 3 საათი, 58 წუთი და 41 წამი.

მოკლედ, დრო გარბის და რაც უფრო გარბის, მით უფრო მალე მოუწევს დაკმაყოფილება კრიტიკოსების ცნობისმოყვარეობას - ბოლოს და ბოლოს, იზეიმებს თუ არა მორიგ ტრიუმფს მაიკლ მური ჰოლივუდის უმნიშვნელოვანეს წვეულებაზე?

მანამდე კი, სანამ კითხვა უპასუხოდ რჩება, 25 იანვრამდე კი ბოლო საათები უსაშველოდ იწელება (ბევრისთვის ზუსტად ასეა), მკითხაობა სკანდალისტი რეჟისორის ხელის გულზე გრძელდება.

მაიკლ მური კი არ იცვლება. ის ასეთია: პოლემიკაში - დაუმარცხებელი, სკანდალების შექმნაში - შეუდარებელი, პროვოკაციების დაგებაში - უბადლო, ბუშის ზიზღში - უმაგალითო, საერთოდ კი - მიზანდასახული, ნიჭიერი და რადიკალი.

ის კვლავაც რჩება რეჟისორად, რომელიც, ზოგის აზრით, ამერიკული ფასეულობებისა და ცხოვრების წესის გარდასაქმნელად ძალებს არ იშურებს, ზოგის აზრით კი - ამერიკული მანკიერებების გამოვლენას საკუთარი პოპულარობის გასაზრდელად იყენებს; ისე, როგორც ყოველი რიგითი შარლატანი.

მოკლედ, რაც უფრო ახლოვდება "ოსკარი", მით უფრო მძაფრდება აზრთა სხვადასხვაობა მურის თემაზე.



თუ "ფარენჰეიტი 9/11" - დოკუმენტური ფილმი ბუშის ადმინისტრაციის უმოწყალო კრიტიკით, მთავრობისა და არაბული ბიზნესკავშირებისა და ერაყული ომის შესახებ - საუკეთესო ფილმის ნომინაციაზე წარადგინეს, გამოდის, რომ მური სცენაზე კიდევ დიდხანს დარჩება, აპლოდისმენტებიც ყოველი კუთხიდან წამოვა, ყვავილებიც და სიხარულის შეძახილებიც. მაგრამ თუ "ფარენჰეიტი 9/11" ამ მთავარი "ოსკარის" მიღმა დარჩა, მყვირალა, ბუზღუნა და აგრესიული მურის დავიწყება არც ამ შემთხვევაში იქნება იოლი.

რეჟისორი 1954 წელს ფლინტში, მიჩიგანის შტატში დაიბადა. კინოდოკუმენტალისტიკაში ძალიან უცნაური მიზეზის გამო მოხვდა - მის მშობლიურ ქალაქში "ჯენერალ მოტორსის" ქარხანა დახურეს და... მურმაც რეჟისორობა გადაწყვიტა. ალბათ, იმიტომ, რომ უმუშევრად დარჩენილი ამერიკელების უფლებები დაეცვა. 1989 წელს გადაიღო "როჯერი და მე" - ფილმი, რომელშიც მაშინვე გამჟღავნდა მურის მთავარი თვისებები (თუ ღირსებები): ზოგჯერ სარკასტული, ზოგჯერ იუმორისტული მიდგომა, უხეში, თავხედური და რადიკალური ხედვა. ამავე ფილმმა მურს დღემდე უცვლელი იმიჯი შეუქმნა. იმიჯი კაცის, რომელიც რიგითი ამერიკელების მხარეს დგას და კორპორატიულ სიხარბეს მთელი ხმით ლანძღავს.

ამ ეტაპზე მაიკლ მური ამ იმიჯის "გაფართოებაზე" მუშაობს. მას სურს ამერიკაში ბევრი მაიკლ მური ცხოვრობდეს. მას სურს, ახალი, "სხვა ამერიკა" შექმნას. ამ მიზანს ემსახურება დოკუმენტური ფილმითაც, პუბლიცისტიკითაც და ტელემაუწყებლობითაც. მისი წიგნები "სულელი თეთრკანიანები" და "შეამცირე ეს" ბესტსელერები გახლავთ. მის სატელევიზიო შოუსაც "ტელე-ნაცია" უამრავი მაყურებელი ჰყავდა.

ამ ფონზე კრიტიკოსები სულ უფრო დიდ საფრთხედ აღიქვამენ მას და განქიქების მიზნით ამბობენ, რომ მურის არგუმენტები ძალიან მარტივია და რომ ის საკუთარ პროექტებს ხშირად აფინანსებს იმ ძალებისგან, რომელთაც თვითონ აკრიტიკებს.

მური ასეთ ბრალდებებზე დიდად არ ღიზიანდება. ამ დროს ინდეფერენტულ გამომეტყველებას იღებს და მოკლედ ჭრის - "რაც უნდათ, ის იფიქრონ, მათი პრობლემაა".

ფიქრით კი ყველა ფიქრობს, მისი კრიტიკოსებიც და მისი მხარდამჭერებიც. ყველა ერთად კი 25 იანვრის დადგომას ელის, როცა, საბოლოო ჯამში, გაირკვევა, მოხვდება თუ არა სკანდალური დოკუმენტალისტი "ოსკარების" ნომინაციებში.

შეგახსენებთ, რომ მურის დებიუტი ჰოლივუდის მთავარ "ფართიზე" 2002 წელს უკვე შედგა: მაიკლ მურმა ერაყის ომის გარიჟრაჟზე ფილმისთვის "ბოულინგი კოლუმბინისთვის" "ოსკარი" მიიღო საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ნომინაციაში. ცხადია, ბუშისა და ერაყის ომის წინააღმდეგ აჯანყებული ჰოლივუდელების გარემოცვაში მოხვედრილმა მურმა ეს შემთხვევაც პროტესტისთვის გამოიყენა. დარბაზიდან სცენისკენ მისი სვლა თავშეკავებულ ამბოხს დაემსგავსა. მური წელშიგამართული, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, სცენისკენ მიემართებოდა, გარშემო კი ტალღასავით იშლებოდა ვარსკვლავთა რიგები, ყველა ფეხზე დგებოდა და მას ტაშით მიაცილებდა "ბრძოლის ველისკენ". მურმაც არ დააყოვნა და მადლობის გადახდის მაგიერ დრო ბუშის გაკრიტიკებას მოახმარა, თან თავისი ცნობილი ტირადა წარმოთქვა, რომელშიც ბუშს ამერიკის "ფიქტიური პრეზიდენტი" უწოდა.

წელს რეჟისორს უფრო დიდი ამბიციები ამოძრავებს. ის დოკუმენტური ფილმების კატეგორიას აღარ სჯერდება და სურს, ჰოლივუდშიც ის გაიმეოროს, რაც ამ ზაფხულს კანში მოხდა, ანუ ოქროს პალმის რტოს ამერიკული ვარიანტი მოიპოვოს ფილმმა, რომელიც ფიქტიური და მაინც მეორედ არჩეული ბუშის ლანძღვას ეძღვნება. რას ვიზამთ, ასე ნელ-ნელა შენდება მურის საოცნებო "სხვა ამერიკა"...

მანამდე კი, ამ ბოლო წინადადების დაწერისას, დრო "ოსკარამდე" ამდენი რჩება: 35 დღე, 2 საათი, 50 წუთი და 05 წამი.

მაიკლ მური



▶ 1954 წ. 23 აპრილი: დაიბადა მიჩიგანის შტატში, ქალაქ ფლინტში.

**კინოჯილდოები**

▶ 2004-05: "ფარენჰეიტი 9/11" - კანის ფესტივალზე ოქროს პალმის რტო, ხალხის არჩევანის დაჯილდოების ცერემონიალზე - ფავორიტი ფილმის პრიზი.

▶ 2002-03: "ბოულინგი კოლუმბინისთვის" - კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალზე "ოსკარი" საუკეთესო დოკუმენტური ფილმის რანგში. კანის კინოფესტივალის საგანგებო პრიზი. ამერიკის სცენარისტთა გილდიის პრიზი საუკეთესო სცენარისთვის. "ცეზარი" (საფრანგეთი) საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში.

▶ 1988: "როჯერი და მე" - ნიუ იორკის კინოფესტივალზე კრიტიკოსების მიერ არჩეული საუკეთესო დოკუმენტური ფილმი.

© GRAPHIC NEWS

# U2-ს გარშემო და ში

შაბათს გვიან საღამოს კანში ფრანგული მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც ყოველწლიურად აწყობს ევროპული რადიო-ჯგუფი NRJ.

მართალია, ღონისძიებას ფრანგული ერქვა, მაგრამ ცხადია, გამარჯვებულები დიდი საერთაშორისო სახეები იყვნენ. მთავარი პრიზები ბრიტანულმა ჯგუფმა Blue-მ, ირლანდიურმა U2-მ, ამერიკულმა "მარუნ 5"-მა და "ბლექ აიდ ფიზ"-მა მოიპოვეს. სცენაზე რიტმ-ენ-ბლუზის ვარსკვლავი აშერიც გამოჩნდა და ჯენიფერ ლოპესიც, რომელმაც პუბლიკას თავისი ახალი სიმღერა Get Right შესთავაზა - სკოლის ფორმებში გამოწყობილი მოცეკვავეების თანხლებით.

შეიძლება ბევრს ირონიულად გაეღიმოს, მაგრამ ფაქტია, რომ Blue-მ U2 მთავარ ნომინაციაში - საუკეთესო საერთაშორისო ჯგუფი დაამარცხა და ტიტული თვითონ მოიპოვა. თუმცა, ბონოს და მის ბიჭებს ნაომი კემპბელმა გადასცა ჯილდო განსაკუთრებული დამსახურებისთვის.

"მე საფრანგეთიდან არ ვარ, მაგრამ ერთი რამ უნდა გაგანდოთ - ის ადგილი, სადაც თავს შინ ვგრძნობ კოტ დ`აზურია", - თქვა ბონომ ფრანგულად და, ალბათ, მისი ნათქვამის დასტურია ისიც, რომ U2-ს რამდენიმე წევრი კანის ცენტრში მშვენიერ ვილას ფლობს...

მერე სცენაზე "მარუნ 5"-ის ორმა ბიჭმა დაიკავა, ჯგუფის დანარჩენმა სამმა წევრმა კანში ჩასვლა ვერ მოახერხა. ლოს ანჯელესელმა მუსიკოსებმა ორი მთავარი პრიზი მოიპოვეს: საუკეთესო ახლადგამოჩენილი საერთაშორისო შემსრულებლისა და საუკეთესო საერთაშორისო სიმღერის ნომინაციებში. "მარუნ 5"-ის გიტარისტმა ჯეს კარმაიკლმა დარბაზში მყოფებს ბასისტ რაიან დესიკის ავადმყოფობის მიზეზიც აუხსნა, ის დაცემულა და მხარი უტკენია. "გიჟური ტურნე გვქონდა... იმედია, გაზაფხულისთვის რაიანი ჩვენთან ერთად გამოსვლას შეძლებს", - თქვა კარმაიკლმა.

საუკეთესო საერთაშორისო ალბომის ნომინაციაში კი "ბლექ აიდ ფიზმა" ივაჟკაცა. მათი კრებული Elephunk ევროპელებს ყველაფერზე მეტად მოსწონებიათ.

რაც შეეხება ლოკალურ რჩეულებს - შინ ორი პრიზით ხელდამშვენებული დაბრუნდა ფრანგი მომღერალი ჯენიფერი. მისი ალბომი საუკეთესო ფრანგული ალბომი გახდა, თვითონ ჯენიფერი კი - საუკეთესო ფრანგი მომღერალი.

. . .

ახლა კი უფრო დავაკონკრეტოთ თემა, რომელიც უცვლელია - U2. ვისაც ამ სახელის გაგება უკვე მობეზრდა, სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვით, ბონოს რაზმის ასე ხშირად და ასე ყველა ბრუნვაში ხსენებას ლოგიკური ახსნა აქვს: ესაა ნოემბერში გამოსული ალბომი, რომელიც ჩარტებში დღემდე ლიდერობს. თუმცა, U2-ს ხსენებას მიზეზებისა და არგუმენტების მოძებნა არც სჭირდება. ისინი "ნიუსმეიქერები" ყოველთვის არიან, თუ მუსიკის არა, ბონოს აქტიური სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების გამო მაინც.

მოკლედ ასე, ვისაც თემა მობეზრდა, ჯობს, აქვე დაგვემშვიდობოს. ვისაც - არა, შეგახსენებთ, რომ ვლაპარაკობთ ისევ U2-ზე, უფრო სწორად ჯგუფის ბოლო დიდ სიახლეზე. ჟურნალი "ბილბორდი" ჯგუფის ახალი ტურნეს "ვერტიგოს" ("თავბრუსხვევა") დეტალებზე მოგვითხრობს.

როგორც ირკვევა, ბონოს ბიჭები გზას მარტის ბოლოს დაადგებიან.

ესეც დროის ძალიან ზუსტი გათვლაა - დიდი გასტროლები ხომ, როგორც წესი, ამ დროს იწყება ხოლმე (სხვათა შორის, ასევე ძალიან დროულად გამოვიდა U2-ს ალბომიც, საშობაო ვაჭრობის ბუმის ატეხვამდე რამდენიმე ხნით ადრე).

მოკლედ ასე - საერთაშორისო ტურნე 28 მარტს სტარტს "სან დიეგო სპორტს არენაზე" აიღებს, მისი ამერიკული ნაწილი კი ბოსტონში მაისის ბოლოს დასრულდება. პირველ კონცერტს ტენესელი როკერები "ქინგს ოფ ლეონი" გახსნიან. სხვა დეტალები კი ჯგუფის ოფიციალურ განცხადებაში გამჟღავნდება, რომელსაც ბონო დღეს გააკეთებს.



რაც შეეხება ციფრებს, "თავბრუსხვევამ" ჯგუფს დაახლოებით 110 კონცერტიდან 225-250 მილიონი დოლარის მოგება უნდა მოუტანოს. ეს რიცხვი გადაჭარბებული არ გახლავთ. 2001 წელს ტურნე Elevation 143 მილიონი დოლარის მოგებით დასრულდა. ჯგუფმა მაშინ 113 შოუ ჩაატარა და 2.1 მილიონამდე მსმენელის წინაშე გამოვიდა. ანუ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯგუფის პოპულარობა იზრდება, შესაბამისად, დოლარების რაოდენობამაც უნდა იმატოს.

ამის გარანტიას წარსული მაჩვენებლებიც იძლევა. 2001 წელს ჩიკაგოში ჯგუფმა ექვსი კონცერტი ჩაატარა ანშლაგით და 9.6 მილიონი დოლარი ჩაიჯიბა. იმავე წელს მათ ბოსტონის "ფლიტ ცენტრშიც" მოაწყვეს ოთხი კონცერტი - 5.6 მილიონი დოლარის მოგებით. მერე ლონდონის ერლს ქორტთზე ჩატარებული შოუდან 4.5 მილიონი დოლარით გაიმდიდრეს ქისა, ორი დუბლინური კონცერტიდან კი 6.7 მილიონი დოლარი მოიგეს.

ასე რომ, "თავბრუსხვევა" U2-ს თაყვანისმცემლებსა და მათ ჯიბეებს თავბრუს ნამდვილად დაახვევს. ბოსტონში ამერიკული ნაწილის დასრულების შემდეგ ირლანდიელები უკვე ევროპას შეესევიან. ტურნე 30-მდე ევროპულ სტადიონზე გავრცელდება. სტარტს კი 10 ივნისს ბრიუსელში აიღებს. კონტინენტზე ირლანდიელები აგვისტოს შუა რიცხვებამდე დარჩებიან, მერე კი ისევ გადაცურავენ ოკეანეს, ჩრდილოეთ ამერიკას დაუბრუნდებიან და დარჩენილ 30 კონცერტს გამართავენ. ბილეთის ფასი საშუალოდ 90 დოლარი იქნება, ყველაზე იაფფასიანი - 49.50 დოლარი, ყველაზე ძვირი კი - 165 დოლარი.

კიდევ ერთი დეტალი: U2 ევროპელებს სტადიონების გავსებას აიძულებს, ამერიკელებს კი - გადახურულ არენებზე მოუყრის თავს. ჯგუფის მენეჯერი პოლ მაკგინესი ამას იმით ხსნის, რომ სრულყოფილი არენები ევროპაში არ არის. "ამერიკაში კი ეს ცენტრები როკ-ენ-როლისთვის უბრალოდ იდეალურია. ნეტა, მსგავსი რამ ევროპის თითო დიდ ქალაქში მაინც იყოს".

მსოფლიო მუსიკალურ მოგზაურობაში ირლანდიელ ოთხეულთან ერთად 150-კაციანი ეკიპაჟი და 19-მდე სატვირთო მანქანა გაემგზავრება. მაკგინესი აცხადებს:

"კონცერტები Elevation-ის ტურნესგან განსხვავებული იქნება. გამხსნელ შოუზე ბევრი სიურპრიზი მოხდება. თუმცა, ამჯერადაც სადა, მაგრამ დახვეწილ დიზაინს ავირჩევთ. რაც შეეხება ევროპაში დაგეგმილ ზაფხულს, ამ კონცერტების წესები აბსოლუტურად გადასხვაფერდება, რადგანაც ის, რაც კარგია მუსიკალურ ცენტრში, არაფრით არ ივარგებს სტადიონზე. ამიტომ კონცერტების დადგმა, ფაქტობრივად, ხელახლა მოგვიწევს".

რაც მთავარია, მენეჯერი მაკგინერსი დარწმუნებულია, რომ ტურნე სრული ტრიუმფით ჩათავდება. "ტყვიაგაუმტარი არავინ არის, მაგრამ ბილეთების გაყიდვაზე საერთოდ არ ვნერვიულობ. ჩვენმა მსმენელმა კარგად იცის, რომ ყოველთვის ფანტასტიკურ შოუებს ვაწყობთ, ისეთებს, ცოცხალი შესრულების ისტორიას იშვიათად რომ ახსოვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ტურნე ბიჭების უდიდეს ალბომს ეძღვნება".

ცნობისთვის: ალბომი Hot To Dismantle an Atomic Bomb ("როგორ გავაუვნებელყოთ ატომური ბომბი") ნოემბერში გამოვიდა და "ნილსენ საუნდ სქენის" მონაცემებით, შტატებში 2.26 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა.

ინფოთეკა

### სკოლარისთვის მოურინიო საუკეთესო მწვრთნელია

ბრაზილიელმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა, რომ ინგლისური კლუბის "ჩელსის" თავკაცი ჟოზე მოურინიო მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელია.

"რა თქმა უნდა, არსებობენ დიდებული მწვრთნელები, როგორიც, მაგალითად, ფაბიო კაპელოა ("იუვენტუსი"), მაგრამ მოურინიოს მაინც ბადალი არ ჰყავს. იგი განათლებულია, სამუშაოს საუკეთესოდ ასრულებს და, რაც მთავარია, ლოგიკურად მსჯელობს", - აღნიშნა სკოლარიმ ბრაზილიურ ყოველდღიურ გაზეთ "Jornal de Noticias"-სთან საუბარში.

რაც შეეხება თავად მოურინიოს, მან, რომელმაც 2004 წლის ივნისში პორტუგალიური "პორტო" დატოვა და ინგლისურ "ჩელსისთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, განაცხადა, რომ ინგლისური კლუბიდან წამოსვლის შემდეგ დიდი სიამოვნებით გახდება პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი.

გარდა ამისა, მოურინიომ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს კლუბში დევიდ ბექჰემის მიწვევას გეგმავს და განაცხადა, რომ მას არასოდეს უნდოდა და არც ახლა უნდა, გუნდში "სუპერვარსკვლავები დაპატიჟოს". "ჩვენ ძლიერი ფეხბურთელები გვჭირდება და არა ჰოლივუდის ვარსკვლავები. "სუპერვასკვლავებს" არ ვენდობი. ყველამ იცის, რომ მათ ისეთი ფეხბურთელები მირჩევნია, როგორებიც პაულუ ფერეირა და დიდე დროგბა არიან," -განაცხადა მწვრთნელმა "Skysports"-თან საუბარში.

### "ჩელსის" ყოფილი პატრონი "ლიდსის" ახალი მფლობელი გახდა

73 წლის კენ ბეიტსმა კლუბის აქციების 50 პროცენტი შეიძინა.

"მიმაჩნია, რომ "ლიდსი" ბრწყინვალე გუნდია, რომელსაც რთული დრო დაუდგა. საკმაოდ დიდი სამუშაოს შესრულება დაგვჭირდება იმისთვის, რომ კლუბი თავის ადგილს დაუბრუნდეს. იმედი მაქვს, ჩვენი და, რა თქმა უნდა, გულშემატკივრების დახმარებით ამას აუცილებლად შევძლებთ, თანაც, ძალიან მალე," - განაცხადა ბეიტსმა.

გასული სეზონის შედეგების მიხედვით, "ლიდსი" პრემიერლიგიდან გამოვარდა. ორი წლის წინათ კი გუნდი ნახევარფინალში გავიდა.

გუნდი, ფაქტობრივად, მას შემდეგ დაიქსაქსა, რაც 2002 წლის ივნისში ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი დევიდ ო`ლირი გაათავისუფლა. ამასთან, კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემებიც გაუჩნდა - ვალებში ჩავარდა, რადგან ფეხბურთელების შესაძენად დიდძალ თანხებს ხარჯავდა.

ბეიტსმა "ჩელსი" 1982 წელს იყიდა. 22-წლიანი მმართველობის დასასრულს კლუბი ფინანსურად დაკნინდა. ახალმა მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა, რომელმაც "ჩელსი" 2003 წელს შეიძინა, შეძლო დაეფარა ვალები, რომელიც 130 მილიონამდე დოლარს შეადგენდა.

### მარადონა უეინ რუნით აღფრთოვანებულია

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ ძალიან დიდ პატივს სცემს ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ფორვარდს უეინ რუნის. გარდა ამისა, არგენტინის ნაკრების ყოფილ კაპიტანს დევიდ ბექჰემი მსოფლიოს საუკეთესო მარჯვენა ნახევარმცველად მიაჩნია.

"უეინ რუნი ფენომენალური ტალანტით გამოირჩევა და, რაც მთვარია, მას სათანადოდ იყენებს. ამ ფეხბურთელს შეუძლია, ინგლისს 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოაგებინოს, მაგრამ ამისთვის საკუთარი თავი მთლიანად ფეხბურთს უნდა მიუძღვნას, თუმცა, ეს არც ისე ადვილი იქნება. რაც შეეხება ბექჰემს, ის საუკეთესო ნახევარმცველია. მან კარგად იცის, ბურთს როგორ უნდა მოექცეს, მაგრამ ახლა ფორმაში არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მას მადრიდში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებენ. გარდა ამისა, დევიდი დიდ დროს უთმობს არა ფეხბურთს, არამედ საკუთარი იმიჯის შენარჩუნებას. ეს კი მის კარიერაზე აისახება. პრობლემა ისაა, რომ "რეალში" თითქმის ყველა ვარსკვლავია, თუმცა, იმდენს მაინც არავინ აკეთებს, რაც რეალურად შეუძლიათ," - განაცხადა მარადონამ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოწერეს ნარკომანებისთვის განკუთვნილი კლინიკიდან, სადაც მკურნალობის კურსს გადიოდა.

ფეხბურთი

# "დინამო" კვიპროსზე გაანწითლეს

## "ცრვენა ზვეზდა" - "დინამო" 5:1

მიხეილ აბაიშვილი

კვიპროსზე, ქალაქ აიანაპაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" 22 იანვარს გამართა პირველი ამხანაგური სპარინგმატჩი ბელგრადის "ცრვენა ზვეზდასთან". "დინამო" მოუმზადებელი შეხვდა ამ მატჩს და დიდი ანგარიშით დამარცხდა. მან სუსტი წინააღმდეგობა მხოლოდ მეორე ტაიმში გაუწია მეტოქეს. ისიც ალბათ იმიტომ, რომ სერბებმა პირველივე ტაიმში მოათავეს საქმე, მეორე ტაიმი კი მეორე შემადგენლობით ითამაშეს.

| | | |
|---|---|---|
| **"დინამო"** | 1 | |
| **"ცრვენა ზვეზდა"** | 5 | (0:4) |

**"დინამო":** ზოიძე (თოთლაძე, 75`), შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, ნოზაძე (ქუცურუა, 66`), კანკავა (გრიგალაშვილი, 60`), ნემსაძე (კანდელაკი, 60`), ბაბუნაშვილი (რომერო, 60`), დვალი (დვალიშვილი, 68`), კაკალაძე.

**მთავარი მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე.

მატჩი სერბი ფეხბურთელების სრული უპირატესობით დაიწყო და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ეს უპირატესობა არც დაუკარგავთ. შეხვედრის ბედი მე-10-დან მე-15 წუთამდე მონაკვეთში გადაწყდა. მე-11 წუთზე ანგარიში გახსნა ჟიგიჩმა, რომელმაც "დინამოს" საჯარიმოს მისადგომებთან თანაგუნდელს "კედელი" გაუთამაშა, შეიჭრა მოედანში, გზად ზოიძე მოატყუა და შეუფერხებლად შეაგორა ბურთი კარში. დინამოელებმა ცენტრიდან განაახლეს თამაში, მაგრამ უცებვე დაკარგეს ბურთი და მე-12 წუთზე პანტელიჩმა 23 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით მეორე გოლი გაიტანა. კიდევ ორ წუთში იანკოვიჩის ჩაწოდების მოსაგერიებლად ამხტარი კვირკველია შეცდა და თავური დარტყმით ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მე-15 წუთისთვის ანგარიში გახდა 3:0, რასაც 38-ე წუთზე ჟიგიჩმა კიდევ ერთი გოლი დაუმატა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდმა განახორციელა ცვლილებები, თუმცა, მატჩის ბედზე ამას დიდად აღარ უმოქმედია. სერბები დამშვიდდნენ და ერთხელლა შეიწუხეს თავი საგოლე შეტევის ორგანიზებისთვის. ეს მოხდა 70-ე წუთზე და სტანჩიჩის გოლით დასრულდა. "დინამომ" მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო მეტოქის კართან სახიფათო მომენტების შექმნა. 82-ე წუთზე კანდელაკის შორიდან დარტყმული ძელმა მოიგერია, ხოლო 86-ე წუთზე კვირკველიამ დახლოებით 27 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით "ცრვენა ზვეზდას" კარის "ცხრიანში" გაახვია ბურთი და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**გია გეგუჩაძე:** "კვიპროსზე ჩატარებულმა პირველივე მატჩმა ჩვენს თამაშში უამრავი ხარვეზი გამოავლინა. ეს არცაა გასაკვირი. მოსამზადებელი შეკრების საწყის ეტაპზე ფიზიკური და ტაქტიკური სრულყოფისგან შორს ვართ. შეკრება სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ ეს ხარვეზები აღმოიფხვრას. დარწმუნებული ვარ, სწორ გზას ვადგავართ. ასეთი თამაშები ჭკუის სასწავლი გაკვეთილია და ვეცდებით, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. თუმცა, ისეთიც არაფერი მომხდარა, ტრაგედია შევქმნათ."

აქვე გეტყვით, რომ "ცრვენა ზვეზდასთან" მცირე ტრავმების გამო ვერ ითამაშეს პირველი ორი წრის შედეგების მიხედვით გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა მელქაძემ და სილაგაძემ. მელქაძეს კისერი ჰქონია გაშეშებული, ხოლო სილაგაძეს ვარჯიშის დროს ფეხი ეტკინა.

"ცრვენა ზვეზდასთან" მატჩის შემდეგ "დინამო" სრული შემადგენლობით გაემგზავრა ლიმასოლის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც კვიპროსის ეროვნული ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ქეცბაიას გაწვრთნილმა "ანორთოსისმა" "ომონიას" უმასპინძლა. მატჩი დასრულდა ქართველთა გუნდის გამარჯვებით, 2:0. მოგეხსენებათ, ქეცბაია მოთამაშე-მწვრთნელია. მასთან ერთად ამ მატჩში "ანორთოსისის" რიგებში კიდევ ორმა ქართველმა (ქინქლაძემ და წიტაიშვილმა) ითამაშა.

დღეს "დინამო" კიდევ ერთ სპარინგმატჩს გამართავს. მისი მეტოქე იქნება რუსეთის პირველი დივიზიონის წარმომადგენელი, ვლადივოსტოკის "ლუჩ ენერგია".

სავარაუდოდ, სწორედ ამ შეხვედრაში იგეგმება ახალწვეულების - შალამბერიძისა და ჭელიძის საქმეში ნახვა.

ჩემი მხრიდან დავძენ, რომ "ცრვენა ზვეზდასთან" მარცხი მართლაც არ არის ტრაგედია. მით უმეტეს, რომ ეს მარცხი "დინამომ" მოსამზადებელ ეტაპზე, ამხანაგურ სპარინგმატჩში განიცადა. თუმცა, მეორე მხრივ, წაგებაცაა და წაგებაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკლუბო პრესტიჟს გაფრთხილება უნდა. სამწუხარო და დასაფიქრებელია, რომ, ოქტომბრიდან მოყოლებული, "დინამო" ზედიზედ ხუთ საერთაშორისო მატჩში დამარცხდა, 18 გოლი გაუშვა და 3 გაიტანა. იმედია, "ლუჩ ენერგიასთან" შეხვედრაში ეს სამწუხარო ტრადიცია დაირღვევა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ჩოგბურთი

# ფედერერი VS აგასი





ჩოგბურთის გულშემატკივარი ნამდვილად არ მოიწყენს. ავსტრალიის ღია პირველობაზე ისე მოხდა, რომ მეოთხედფინალში თანამედროვეობის ორი უდიდესი ჩოგბურთელი - შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ამერიკელი ანდრე აგასი შეხვდა ერთმანეთს. სპეციალისტთა და ჩოგბურთის მოყვარულთა აზრით, ეს მატჩი ტურნირის ფინალსაც დაამშვენებდა, მაგრამ ფორტუნამ და ტურნირის ორგანიზატორებმა ასე ინებეს... ფინალისთვის კი ავსტრალიელებს სხვა გეგმები აქვთ. ისინი მოელიან, რომ ერთ-ერთი ფინალისტი მათი თანამემამულე ლეიტონ ჰიუიტი იქნება. თუ ასე მოხდა, თამაში მაშინ ნახეთ.

აგასისა და ფედერერის ბედი კი მაშინ გადაწყდა, რაც ამერიკელმა დაძაბულ ბრძოლაში აჯობა შვედ იოაკიმ იუჰანსონს, ხოლო შვეიცარიელმა შანსი არ დაუტოვა კვიპროსელ მარკოს ბაგდატისს, რომელმაც მერვედფინალში გასვლით ისედაც გმირობა ჩაიდინა.

საინტერესოა, რომ მეოთხედფინალს უპრობლემოდ უწია სლოვაკმა დომინიკ ჰრბატიმ. მან სამ სეტში დაამარცხა შვედი ტომას იუჰანსონი. არადა, ჰრბატი ტურნირის დაწყებამდე რეიტინგის მიხედვით 53-ე საფეხურზე იყო და მისგან ასეთ თამაშს სპეციალისტები არ მოელოდნენ.

ამ გამარჯვების შემდეგ ჰრბატი აშკარად უნდა დაინტერესებულიყო რუსი მარატ საფინისა და ბელგიელი ოლივიე როხუსის შეხვედრით, სადაც მისი მომავალი მეტოქის ვინაობა ირკვეოდა.

საფინს დიდი ოფლისღვრა მოუხდა იმისთვის, რომ დომინიკ ჰრბატისთან თამაშის უფლება მოეპოვებინა. თითქმის მთელი მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიილია. პირველი სეტი საფინმა დათმო იმის მიუხედავად, რომ ამბიციურ ბელგიელს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. საინტერესოა, რომ ამ მატჩში რუსმა მხოლოდ ტაი-ბრეიკებით მოახერხა მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა. თამაშით კი მეტოქეზე უკეთ ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

ანგარიშის გასათანაბრებლად ტურნირის მეოთხე ნომერს მეორე სეტში უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდა. საფინმა საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და იქ უკვე აშკარად აჯობა მეტოქეს - 7:1. საფინს სულ იოლად შეეძლო მესამე სეტის წაგება, რადგან დებიუტში ბელგიელს თავისი მოწოდება დაუთმო. ამის მიუხედავად, მოახერხა, თამაში თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიეყვანა, სადაც თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. სეტი ამჯერადაც რუსის სასარგებლოდ დასრულდა - 7:5.

საფინმა მესამე სეტიც ტაი-ბრეიკით მოიგო და დაადასტურა, რომ საჩოგბურთო ხელოვნების ამ კომპონენტში მას თითქმის ბადალი არ ჰყავს. მატჩის განმავლობაში საფინმა 29 ეისი გაახერხა. მისმა მეტოქემ კი - მხოლოდ ერთი. რუსებს ძალიან ახარებთ, რომ მათმა საუკეთესო ჩოგბურთელმა სწორედ ბელგიელი დაამარცხა, იმ ადამიანის თანამემამულე, რომელმაც რუსი სვეტლანა კუზნეცოვა დოპინგის მოხმარებაში ამხილა. "სიმბოლურიაო", - ხარობენ რუსი კოლეგები.

რაკი კუზნეცოვა ვახსენეთ, ბარემ ქალთა ნაწილზეც ვისაუბროთ. სხვათა შორის კუზნეცოვა მეოთხედფინალში თანამემამულე მარია შარაპოვას შეხვდება და შეეცდება დაამტკიცოს, რომ რუსეთის ქალთა ნაკრების კაპიტანი შამილ ტარპიშევი არ შემცდარა, როცა გუნდში ის აიყვანა. შარაპოვა კი დევისის თასის გათამაშების მიღმა დარჩა.

მეორე მეოთხედფინალს ამერიკელი სერენა უილიამსი და ფრანგი ამელი მორესმო გაითამაშებენ. უილიამსი რუს ნადეჟდა პეტროვას ხვდებოდა. მან 2004 წლის სეზონი თითქმის მთლიანად გამოტოვა და ამიტომ რუსები იმედოვნებდნენ, რომ ახალგაზრდა პეტროვა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას მოახერხებდა.

თუმცა, უილიამსმა დაამტკიცა, რომ, რაც არ უნდა ფორმაში არ იყოს, პეტროვას მსგავს ჩოგბურთელებს კიდევ ეყოფა. მართალია, რეიტინგში ჩამოქვეითდა, მაგრამ მეტოქეებზე ძველებურად დამთრგუნველად მოქმედებს. პეტროვამაც პირველი სეტი სწორედ იმიტომ წააგო, რომ ძალიან ნერვიულობდა. მეორეში რუსმა თითქოს გამოასწორა თამაში, მაგრამ უილიამსი მაინც უილიამსია. ის უფრო გამოცდილია და იცის, გადამწყვეტ მომენტებში როგორ მოიქცეს. ამერიკელმა მეორე სეტი დათმო, მაგრამ მესამე სწორედ გამოცდილების გამო მოიგო. სერენამ დებიუტშივე მოიგო მეტოქის ორი მოწოდება და გადაწყვიტა, რომ საქმე მოთავებულია. ის ოდნავ მოეშვა, მაგრამ, როგორც კი პეტროვამ თამაში გამოსწორა, სერენამ მაშინვე მოუმატა თამაშს და დამაჯერებლად მიიყვანა საქმე ბოლომდე.

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) | 6:2, 6:2, 7:6 |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 20) - ტომას იუჰანსონი (შვედეთი, 30) | 7:5, 6:3, 6:1 |
| ანდრე აგასი (აშშ, 8) - იოაკიმ იუჰანსონი (შვედეთი, 11) | 6:7, 7:6, 7:6, 6:4 |
| მარატ საფინი (რუსეთი, 4) - ოლივიე როხუსი (ბელგია) | 4:6, 7:6, 7:6, 7:6 |
| **ქალები:** | |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 5) - ვერა დუშევინა (რუსეთი) | 6:4, 6:2 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 2) - ევგენია ლინეცკაია (რუსეთი) | 6:2, 6:4 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - სილვია ფარინა-ელია (იტალია, 15) | 4:6, 6:1, 6:2 |
| სერენა უილიამსი (აშშ, 7) - ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 11) | 6:1, 3:6, 6:3 |

ინფოთეკა

### "მანჩესტერ იუნაიტედი" ნახევარმცველების გასხვისებაზე უარს არ იტყვის

"მანჩესტერ იუნაიტედი" მზადაა გაყიდოს ორი ნახევარმცველი: კლებერსონი და ჯემბა-ჯემბა.

"რამდენიმე კლუბი დაინტერესებულია კლებერსონით, თუმცა, მოლაპარაკებები ფეხბურთელის ტრავმის გამო დროებით შეჩერდა. ნახევარმცველი რეჟიმში ჩადგება თებერვლის შუა რიცხვებში ან თებერვლის ბოლოს. დაინტერესებულები არიან ასევე ჯემბა-ჯემბათი. აი, ეს არის ის, რისი თქმაც ამ ეტაპზე შემიძლია. თუ წინადადებები უფრო კონკრეტული გახდება, კლუბი მას აუცილებლად განიხილავს და თავად ფეხბურთელსაც აცნობებს," - განაცხადა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა "Independent"-თან საუბარში.

### ვენგერი: თუ ედუ წავა, ახალ ფეხბურთელებს ვიყიდი

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ედუ ესპანურ კლუბ "ვალენსიაში" გადავა.

"მინდა, რომ ედუ დარჩეს, მაგრამ ჩვენ ეს საკითხი ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, რათა კონცენტრაცია მოვახდინოთ მხოლოდ იმაზე, რისი მიღწევაც ასე ძალიან გვინდა. თუ ბრაზილიელი ფეხბურთელი წავა, მაშინ შევძლებ, ჩემი გეგმები ახალი ფეხბურთელების შეძენასთან დაკავშირებით განვახორციელო. ჩვენ ძვირად ღირებულს კი არა, არამედ კარგ ფეხბურთელებს შევიძენთ," - აღნიშნა მწვრთნელმა.

### დელ პიეროს შეთავაზებებით თავგზა აებნა

იტალიელი ფეხბურთელის, ტურინის "იუვენტუსის" ფეხბურთელის ალესანდრო დელ პიეროს აგენტმა განაცხადა, რომ ნახევარმცველის შეძენით ისეთი კლუბები არიან დაინტერესებული, როგორიც "ჩელსი" და "მანჩესტერ იუნაიტედია": "პირველ რიგში, ჩვენ განვიხილავთ მადრიდის "რეალის", "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" წინადადებებს და მხოლოდ ამის შემდეგ შევხვდებით იაპონიის J-ლიგის კლუბებს".

ცნობილია, რომ ორმა იაპონურმა გუნდმა - "იოკოჰამამ" და "კასიმამ" დელ პიეროს კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა.

ფეხბურთელს "იუვენტუსთან" 2008 წელს უთავდება ვადა.

### ექიმები ტევესს საავადმყოფოდან არ უშვებენ

ბრაზილიური კლუბის "კორინთიანსის" არგენტინელი თავდამსხმელი კარლოს ტევესი კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება საავადმყოფოში. ფეხბურთელის მკურნალმა ექიმმა განაცხადა, რომ ტევესის მარჯვენა ფეხის ანთება "სერიოზული აღარაა", მაგრამ, ამის მიუხედავად, ფეხბურთელს ადრე მაინც ვერ გაწერს.

შეგახსენებთ: თავდამსხმელი ფეხის ინფექციის გამო გასულ პარასკევს მოათავსეს საავადმყოფოში.

### ვიეირა "არსენალის" ერთგულია

ლონდონის "არსენალის" 28 წლის ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ, რომელსაც სულ რამდენიმე ხნის წინათ შეეძლო, მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი გამხდარიყო, "Sunday Times"-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ კარიერის დასრულება ლონდონის გუნდში უნდა: "წინ დიდი გეგმები მაქვს. უნდა დავამტკიცო, რომ მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველი ვარ."

### აჟიოტაჟი გერმანულ ფეხბურთში

გერმანიაში, ქვეყანაში, რომელმაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს, საფეხბურთო სკანდალი აგორდა. ბუნდესლიგის ერთ-ერთი მსაჯი რობერტ ჰოიცერი ამხილეს იმ თამაშების შედეგებზე ფსონების ჩამოსვლაში, რომელსაც თავად მსაჯობდა.

გერმანული ფეხბურთის ხელმძღვანელობა შოკირებულია. ბუნდესლიგის პრეზიდენტის აზრით, ამ შემთხვევამ დიდი დარტყმა მიაყენას მსაჯთა კორპუსის რეპუტაციას.

თავად მსაჯი, რომელსაც მსაჯობის უფლება ჩამოერთვა, კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს.

ინფოთეკა

### შესაძლოა, იბანიესი იტალიაში გადავიდეს

"იუვენტუსის" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ ესპანური კლუბის "ატლეტიკოს" ფეხბურთელს პაბლო იბანიესს კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ესპანური საინფორმაციო წყაროების ცნობით, ესპანური კლუბი მზადაა, ფეხბურთელი გაყიდოს იმ შემთხვევაში, თუ მსურველი კლუბი 8 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის.

### "ლიონი" ქველმოქმედებაზე უარს აცხადებს

საფრანგეთის ჩემპიონი კლუბის "ლიონის" ხელმძღვანელობა არ აპირებს, ფეხბურთელები: ბრაზილიელი ჟუნინიო და განელი მიშელ ესენი ცნობილი ვარსკვლავებისგან შედგენილ, ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებელ მატჩზე სათამაშოდ გაუშვას. ამ გადაწყვეტილების მიზეზი უცნობია, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა დუმს.

შეგახსენებთ, მატჩი 15 თებერვალს გაიმართება ბარსელონაში.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

**ორშაბათი. 24 იანვარი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "სპარტაკ-შელკოვო"
13:40 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვილიარეალი" - "ვალენსია"
15:25 თავისუფალი დარტყმა
15:40 გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "ვერდერი"
17:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლილი" - "ლიონი"
19:10 საფეხბურთო უიკ-ენდი
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:50 იტალიის ჩემპიონატი. "ლივორნო" - "მილანი"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. AFC კონფერენციის ფინალი. "PITTSBURGH STEELERS" - "NEW ENGLAND PATRIOTS"
13:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
14:00 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. რუსეთი - ალჟირი
15:15 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში
15:45 "გუნდი" - "სპარტაკი"
16:30 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
17:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
21:00 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:45 "ჰოკეი პლუს"
22:00 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:00 ახალი ამბები
00:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
01:00 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
01:30 01:30-დან 02:55-მდე შესვენება
02:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
07:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
17:30 რალი - მონტე-კარლო
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
21:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. ფინალი
22:30 მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი - ევროგოლები
01:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
02:15 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
02:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

ძიუდო

# "ოქროთი" დაწყებული შვიდიანებით დასრულდა

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები საერთაშორისო ასპარეზს მოსკოვის ტრადიციული ტურნირით იწყებს. შეჯიბრებას, რომელიც დღემდე სუპერ A კატეგორიის სახელით იყო ცნობილი, დღეის შემდეგ მსოფლიო სუპერთასად მოიხსენიებენ, ისევე როგორც თბილისის ტრადიციულ A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც 29-30 იანვარს სპორტის სასახლეში ვუმასპინძლებთ. მანამდე კი მოსკოვის სუპერთასზე მოგიყვებით, მით უმეტეს, რომ გამარჯვებულიც გვყავს.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*შაბათს ესტაფეტას თბილისი ჩაიბარებს.*

მოსკოვის სუპერთასს შაბათ-კვირას "ლუჟნიკებმა" უმასპინძლა. მასში 18 ქვეყნის 132 ძიუდოისტი გამოდიოდა.

ასპარეზობის პირველივე დღეს 60 კგ წონით კატეგორიაში ვახტანგ ხოსიტაშვილმა ჯერ ესტონელ მარატ ნიზამოვს სძლია (იპონით), შემდეგ ფრანგ კირილ სოიერს (ორი ვაზარით), ნახევარფინალში კი - მასპინძელ ევგენი სტანევს (იუკოთი). ფინალში ისევ მასპინძელს ევგენი კუდიაკოვს გადაეყარა და არც მას დაუტოვა რაიმე შანსი. კუდიაკოვის სუფთად მოუგო და სუპერთასის პირველი გამარჯვებულიც გახდა.

ამავე წონაში გამოდიოდა დავით ასუმბანიც, რომელსაც პირველივე ორთაბრძოლაში მომავალ ფინალისტთან კუდიაკოვთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა, მაგრამ სუფთად წააგო. ვინაიდან რუსმა ფინალამდე გაიკვალა გზა, ასუმბანს რეპეშაჟში ასპარეზობის საშუალება მიეცა. მარცხის შემდეგ ქართველი ძიუდოისტი ისეთი შემართებით ეკვეთა ფინელ ვალტერ იოკინენს, რომ ქულაც არ დაანება. მესამე ადგილისთვის მებრძოლმა ასუმბანმა არანაკლებ შავი დღე აყარა უკრაინელ სერგეი მოროხოვეცსაც - იპონი. თუმცა, ეს იყო და ეს. მერე სომეხ არმენ ნაზარიანთან წააგო და ჩასათვლელ მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ასევე მეშვიდე ადგილით დაასრულა ასპარეზობა 66 კგ წონით კატეგორიაში ზაზა ებელაშვილმა. არადა, ისეთი სტარტი ჰქონდა, თითქოს სამეულში მოხვედრა არ უნდა გასჭირვებოდა. პირველივე ორთაბრძოლა იაპონელ იოშიჰირო მურაკამას სუფთად მოუგო, თანაც ისე, რომ ქულა არ დაუთმო. მომდევნო ორთაბრძოლა მასპინძელ მაგომედ ჯაფაროვთან მოუხდა. ამჯერად თვითონ დატოვა ტატამი უქულოდ. ნუგეშად ის თუ გამოდგება, რომ ჯაფაროვმა ფინალში გააღწია და ისიც მოიგო. ებელაშვილმა კი რეპეშაჟში გააგრძელა ჭიდაობა, ფინელ იუსი უოტილას ბდღვირი ადინა, მაგრამ სულ ეს იყო. შემდეგ მასპინძელ მაქსიმ კუზნეცოვს გადაეყარა და დამარცხდა. ამავე წონაში იყო დავით უძილაურიც, მაგრამ თითო მოგებისა და წაგების შემდეგ უადგილოდ დარჩა - ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო.

73 კგ წონაში, სადაც ასევე ორი ძიუდოისტი გვყავდა, ჩასათვლელი ადგილის დაკავებაღა შევძელით. ტარიელ მინასაშვილი მეშვიდეზე გავიდა, რაშიც მას ხელი შეუშალა შემდგომ მესამე ადგილზე გასაულმა ფრანგმა ენტონი ფრიჩმა. არადა, რეპეშაჟში გასულმა ჯერ რუს პაველ პოპოვს მოუგო, შემდეგ - ფინელ მარკუს პეკოლას. როდესაც მორიგ გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, იაპონელ იუჯი სონოდასთან წააგო (ვაზარით). დავით ბოდაველმა კი პირველივე შეხვედრა დათმო აზერბაიჯანელ ელნურ მამადლისთან.

81 კგ წონით კატეგორიაში მარტოდმარტო მყოფ ხვიჩა ხუციშვილს ბედის ირონიით პირველივე მეტოქედ რუსეთის სახელით მოასპარეზე ერეკლე კოპალიანთან მოუხდა დაჭიდება. კოპალიანმა ხუციშვილს სუფთად მოუგო (მოგვიანებით მესამე ადგილზეც გავიდა). რეპეშაჟში გასულმა ხუციშვილმა კი უკრაინელი დმიტრი ბულგაკისა და აზერბაიჯანელი ელხან რაჯაბლისთან გამარჯვებების შემდეგ პოლონელ ლუკაშ ბლაჩთან დათმო შეხვედრა და... ისევ მეშვიდე ადგილი.

90 კგ-შიც იგივე შედეგები მივიღეთ. ირაკლი ცირეკიძემ მეშვიდე ადგილით დაასრულა სუპერთასი, ლაშა გენგაშვილმა კი უადგილოდ დაასრულა ტურნირი.

100 კგ წონითი კატეგორია ერთადერთია, რომელშიც ძიუდოისტი არ გვყოლია.

მძიმეწონოსანმა ლაშა გუჯეჯიანმაც, რომელიც უფრო გამოცდილია, მეშვიდე ადგილით დატოვა მოსკოვი.

სათხილამურო სპორტი

# ვაჟებს ელირსათ, ქალები კი რა ხანია გრიალებენ

გიგა გურასაშვილი

*ავსტრიის კიცბიუელში ისეთი ამინდი დაიჭირა, რომ ვაჟმა მოთხილამურეებმა ვერა და ველარ გააგრძელეს შეჯიბრება. ჯერ იყო და, 20 იანვრისთვის დაგეგმილ ჩქაროსნულ დისციპლინაში - დაშვებაში ამაოდ გავიდნენ სტარტზე, მეორე დღესაც (სუპერგიგანტში) ტყუილად გავიდნენ ტრასაზე და მესამე დღესაც რომ იგივე გამეორდა... ამჯერად ისევ დაშვებაში. გუშინ შედარებით გამოიდარა და შეჯიბრება განახლდა, ოღონდ არა გაცდენილ დისციპლინებში, არამედ სლალომში, იმ სახეობაში, რომელიც სეზონის დაწყებამდე კალენდრით იყო გათვალისწინებული.*



*მაცეს გამარჯვებაში მშობლიურმა კედლებმა შეუწყო ხელი.*

სლალომში მართლაც იასპარეზეს და შედეგებიც ცნობილია, მაგრამ ეს იყო და ეს. გუშინვე კომბინაციაშიც უნდა გასულიყვნენ სტარტზე, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე. კიცბიუელში ისევ გაავდრდა.

მსოფლიო თასისთვის უცხო სახეობაში - კომბინაციაში (რომლის დებიუტიც 14 იანვარს შვეიცარიის ვენგენში შედგა) რომ გამართულიყო ასპარეზობა, შესაძლოა, ისტორიული მოვლენის მოწმენიც გავმხდარიყავით, თუ რა თქმა უნდა, ამერიკელი ბოდე მილერი თავს გამოიჩენდა.

ავსტრიის საკურორტო ზონაში დიდთოვლობამ მსოფლიო თასის ლიდერ მილერზე პირდაპირი გავლენა იქონია. კერძოდ, კომბინაციაში (კომბინაცია ორი დისციპლინისგან - სლალომისა და დაშვებისგან შედგება.-რედ.) გამარჯვების შემთხვევაში 27 წლის ამერიკელს ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელის უნიკალური შედეგის გასამეორებლად მეხუთე დისციპლინაში გამარჯვებაც სჭირდებოდა. ამ შემთხვევაში პირველი გახდებოდა ჟირარდელთან ერთად, რომელსაც ერთ სეზონზე მსოფლიო თასის ხუთივე დისციპლინაში გამარჯვება ექნებოდა საკუთარ აქტივში. ჟირარდელი კი მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში ხუთგზის ჩემპიონია. ეს ისე, ცნობითვის.

მას შემდეგ, რაც მილერს ვენგენში კომბინაციის სადებიუტო ასპარეზობაზე ფეხი დაუცდა, ისტორიული შედეგის გასამეორებლად და შანსად კიცბიუელი რჩებოდა, მაგრამ...

დიდთოვლობამ ორგანიზატორები აიძულა, კომბინაციისგან თავი შეეკავებინათ და იგი სამომავლოდ გადაეტანათ. თუ სად, ეს ჯერ გარკვეული არ არის.

რაც შეეხება მილერს, რომელსაც კომბინაციაში თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცა, მან გუშინ სლალომში იასპარეზა. პირველი ცდისას ისეთი შედეგი აჩვენა, რომ მეორე ცდისთვის საკვალიფიკაციოდ არ ვარგოდა. ერთი სიტყვით, კვალიფიკაცია ვერ გაიარა და ასპარეზობას გამოეთიშა.

პირველ-მეორე ადგილები კი მასპინძლებმა მანფრედ პრანგერმა და მარიო მატმა დაიკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეტაპის გამარჯვებულს პირველივე ცდისას საუკეთესო შედეგი ჰქონდა, თანაგუნდელი მატის მხრიდან მუდმივი წნეხის ქვეშ იყო და ბოლო წამამდე არ იცოდა, გაიმარჯვებდა თუ არა.

"მეორე ცდა ურთულესი აღმოჩნდა. ვიცოდი, რომ მარიომ კარგად ისრიალა. ამიტომ ზღვარზე უნდა მეასპარეზა, რათა უკეთესი შედეგი მქონოდა".

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პრაგნერმა გაიმარჯვა და 27 წლის იუბილემდე ორი დღით ადრე მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა საკუთარ თავს.

მესამე ადგილზე გავიდა ხორვატი ივიცა კოსტელიჩი, რომელმაც განაცხადა: "აქ, კიცბიუელში, მეექვსე შედეგზე უკეთესი არასდროს მქონია. ასე რომ, ფრიად კმაყოფილი ვარ".

ვაჟებისგან განსხვავებით, საწუწუნო არაფერი აქვთ მარიბორში შეკრებილ ქალ მოთხილამურეებს, რომლებმაც შაბათ-კვირას გიგანტური სლალომი და სლალომი გაითამაშეს. გიგანტური სლალომი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ სლოვენიელმა ტანია მაცემ, რომელიც მშობლიურ კედლებში ასპარეზობდა, სეზონის მესამე გამარჯვება მოიპოვა. თანაც, ისე ერთ-ერთი პირველია თანამემამულეთაგან, რომელმაც მარიბორის ფერდობზე ურსკა ჰროვატის ტრიუმფის (1994წ.) შემდეგ სლოვენიის დროშის ქვეშ გაიმარჯვა.

საკუთარი თავით კმაყოფილი, ალბათ, მაინც მესამე ადგილზე გასული გერმანელი მარტინა ერტლი უნდა ყოფილიყო, რადგან გიგანტურ სლალომში 15 თვის განმავლობაში კვარცხლბეკს ახლოს ვერ გაეკარა. რაც შეეხება მეორე ადგილზე გასულ იტალიელ კარენ პუცერის... მასზე ამბობენ, ფორმას მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც შეინარჩუნებსოო.

გუშინდელ სლალომზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ფინელმა ტანია პოუტიაინენმა ნაადრევად გაინაღდა ამავე დისციპლინის 2005 წლის მსოფლიო თასი. საქმე ისაა, რომ მიმდინარე სოზონში სლალომისტ ქალებს ერთი ეტაპი დარჩათ გასათამაშებელი. ამასობაში კი პოუტიაინენმა 520 ქულა მოაგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინელის უახლოესი მდევარი ავსტრიელი მარლის შილდი (376 ქულა) მას ველარ დაეწევა.

გამარჯვება კი მოიპოვა შვედმა ანია პერსონმა, რაც მისთვის დისციპლინის პირველი წარმატება აღმოჩნდა ამ სეზონზე. მეორე ადგილზე იანიცა კოსტელიჩია.

ბოულინგი

# ბოულინგური სიახლეები: დიდი სპორტის მიჯნაზე

მაკო ჭაოშვილი,
*სპეციალურად 24 საათისთვის*

ვფიქრობ, გაზეთის მკითხველი საკმაოდ კარგად გაეცნო ბოულინგს, როგორც საოცარ გასართობსა და აზარტულ თავშესაქცევს. გასაკვირი არ არის, რომ ეს უჩვეულო სპორტული გართობა ერთნაირად ხიბლავს დიდსა თუ პატარას. ალბათ ამიტომ ბოულინგცენტრს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ასაკისა თუ პროფესიის ადამიანები. მათთვის ბოულინგი მართლაც იქცა ჯანსაღი ცხოვრების წესად და მშვენივრად ერთობიან ოჯახურ-მეგობრულ გარემოში.



სხვათა შორის, ბოულინგური დროსტარების შესახებ ბოლოდროინდელი სტატიებითაც ბევრს გიამბობდით. მოდით, ახლა ბოულინგის მეორე, უფრო მნიშვნელოვან მხარეზე ვისაუბროთ. ცხადია, გახსოვთ, რომ ბოულინგი სპორტის სახეობაა. დიდი ყურადღება ეთმობა ტურნირებსა თუ ჩემპიონატებს, რომელთა მეშვეობით ბოულინგის სპორტული მიმართულება კიდევ უფრო დახვეწილი ხდება.

მსოფლიო სარეიტინგო მაჩვენებლები ნათლად მოწმობს, თუ რა დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ სპორტსმენმა ლიდერის პოზიციას მიაღწიოს. შტატ ნიუჯერსის მკვიდრმა ბონ პარკერმა ღირსეულად იასპარეზა EL PASO CLASSIC ჩემპიონატზე და დამსახურებულად მოიპოვა 30-ე ჩემპიონის ტიტული. ეს გამარჯვება თავდაუზოგავი ვარჯიშის შედეგია -ყოველდღიურად ის საშუალოდ 20 სტრაიკს აკეთებს. მის მიერ მიღებული პრიზი 40000 დოლარია და 2005-2006 წლის სეზონზე ის გათავისუფლებულია საკვალიფიკაციო თამაშებისგან. წლეულს მოსკოვში რუსეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მასშტაბით დიდი აქცია გაიმართება. 24-27 თებერვალს სპორტკომპლექს "ოლიმპიურში" ჩატარდება ექსპო-შოუ "SPORTLIFE". ესაა ბოულინგისადმი მიძღვნილი პირველი გამოფენა. აქ შეიკრიბებიან ბოულინგის აპარატურის, აქსესუარებისა და სხვა თანმხლები პროდუქციის მწარმოებელი ფირმები, ასევე რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ბოულინგცენტრის მეპატრონეები და ბოულინგის ბიზნესით დასაქმებული მენეჯერები. გამოფენის ორგანიზატორია რუსეთის სპორტული ბოულინგის ფედერაცია და კომპანია "გლობალექსპო", ხოლო საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს ჟურნალი "ბოულინგსპორტი".

ოთხი დღის განმავლობაში იმპროვიზებულ ბოულინგის "ხეივანში" ამ სფეროში მოღვაწე კომპანიები წარმოადგენენ საუკეთესო და პროგრესულ ნაწარმს, ბილიკების მოვლის ტექნიკურ საშუალებებსა და აქსესუარებს როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული მოთამაშეებისთვის.

ექსპოშოუს დროს გაიმართება მამაკაცთა შორის 2005 წლის 2-14 ივლისს ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატის პრეზენტაცია. გამოფენის სტუმრებსა და მონაწილეებს შეეძლებათ, დაუკავშირდნენ საბანკო ლიგის "კებელბანკისა" და "ბოულინგის მოყვარულთა კლუბის" ორგანიზატორებს.

სპეციალურად საგამოფენო დარბაზში დაიდგმება ბოულინგის სათამაშო ბილიკები და რუსეთის უძლიერესი სპორტსმენები აჩვენებენ მასტერკლასს. მიღწეულია შეთანხმება სატელევიზიო ტრანსლაციაზე.

ასე რომ, დიდი ბოულინგის დრო დადგა. თქვენც ივარჯიშეთ, გაერთეთ და გაიკაჟეთ სხეული. მერწმუნეთ, გამორიცხული არ არის, თქვენმა შედეგმაც დაამშვენოს მსოფლიო რეიტინგის სია.

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში* economics@24hours.ge (tel: 20-24-24) *ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე* energy@ecm.ge, *ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე* maya_u@gol.ge.

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

**ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.**

# ენერგორეფორმები გრძელდება, მაგრამ პასიურად

შეგახსენებთ, რომ ჩვენი პროექტის უმთავრესი მიზანია ჟურნალისტური გამოძიებების, ენერგოსტრუქტურების ამჟამინდელი თუ ყოფილი ხელმძღვანელებისა და დარგთან უშუალო კავშირში მყოფი სუბიექტებისგან მიღებული ოფიციალური თუ ანონიმური და შემდეგ დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე იმ კორუფციული სქემების გამოვლენა, რომელთა წყალობითაც დარგი დღემდე მილიონობით ლარის ოდენობის შემოსავლებს კარგავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველადი ინფორმაციის გადამუშავების შემდეგ, აშკარა გახდა, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ კომპლექსში დღეს ორი ყველაზე სუსტი რგოლი "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაა", დარგში ერთ-ერთ საკვანძოდ მნიშვნელოვან პრობლემას კი სადისტრიბუციო კომპანიასა და "ელექტროსისტემას" შორის აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობა წარმოადგენს.

ცენტრის ექსპერტების მიერ ჩატარებული პირველი გამოძიების შედეგები, რომელთა თანახმადაც გაირკვა, რომ დარგი მილიონობით ლარს კარგავს, გაზეთმა "24 საათმა" ჯერ კიდევ ნოემბერში გამოაქვეყნა, თუმცა მაქსიმალური რეაგირება "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" სახელზე გამოგზავნილი წერილი აღმოჩნდა, სადაც "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" ის საწყისი მასალები მოითხოვა, რომლებზე დაყრდნობითაც "ცენტრმა" აღნიშნული საქმე გამოიძია.

ჩვენი ინფორმაციით, ცენტრის მიერ გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, ჯერჯერობით, არაფერი გაკეთებულა. აშკარაა, რომ ეს პასიურობა (ან ამ პასიურობის მიზეზები) ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმირების პროცესის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

პროექტის მიზნებს შორის, აგრეთვე, გათვალისწინებულია ფართო საზოგადოების დაცვა კორუფციული ჯგუფების მიერ ინიცირებული პრობლემებისგან. მათ შორის, ენერგეტიკული პრობლემებით სპეკულირებისა და იმ კორუფციული სქემების წარმოქმნისგან, რომლებმაც, შესაძლოა, რეფორმების მიმდინარეობაზე უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს. გათვალისწინებულია დაკვირვება ტარიფის ცვალებადობის დინამიკასა და მის გამომწვევ მიზეზებზეც.

ცენტრის ექსპერტთა შეფასებით, პრობლემებია ამ კუთხითაც. პრობლემების მთავარ მიზეზად კი ცენტრის ექსპერტები ენერგეტიკაში ბაზრის მონოპოლიზების მაღალ ხარისხს და ელექტროენერგიის იმპორტიორის დივერსიფიცირებასთან დაკავშირებულ სირთულეებს ასახელებენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ პროექტის წარმატების უმთავრესი წინაპირობა ენერგეტიკული სტრუქტურების და მთავრობის მზადყოფნაა, განახორციელონ ენერგოსექტორის ეფექტური რეფორმა, რომელიც მიმართული იქნება დარგის ყველა სტრუქტურიდან კორუფციის აღმოფხვრისაკენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" არაერთხელ მიმართა თხოვნით საბითუმო ბაზრის, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, კომპანია "თელასის", "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ხელმძღვანელებს, მოეწოდებინათ საკუთარი მოსაზრებები საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის სამომავლო განვითარების სტრატეგიის თაობაზე, ჯერჯერობით, ცენტრს მათგან არავითარი მასალები არ მიუღია.

სამაგიეროდ, ერთადერთი, ვინც ცენტრის თხოვნას გამოეხმაურა, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია აღმოჩნდა, რომელმაც დარგის განვითარების შესახებ საკუთარი მოსაზრებები არაერთხელ მოგვაწოდა. გარდა ამისა, როგორც მოსალოდნელი იყო, აქტიურობენ დამოუკიდებელი ექსპერტები და ენერგოსექტორის რეფორმირების საკითხებთან დაკავშირებით თავიანთ ექსპერტულ აზრსაც გვაწვდიან.

ვინაიდან პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ენერგოსექტორის სუბიექტების აქტიურობა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. იმდენად, რამდენადაც პროექტი დარგში გამჭვირვალობის ამაღლებას ისახავს მიზნად, ენერგოსუბიექტთა პასიურობა რთული ასახსნელია. მით უმეტეს, რომ წინასწარი გამოკვლევები ცხადყოფს: საქართველოს საზოგადოება სავსებით მზადაა სექტორის რეფორმირებისთვის.

ამიტომაც, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" უკვე ღია თხოვნით მიმართავს საქართველოს ელექტროენერგეტიკული საბითუმო ბაზრის, "სახელმწიფო ელექტროსისტემის", კომპანია "თელასის", "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ხელმძღვანელებსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, მოგვაწოდონ ინფორმაცია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის შემდგომი განვითარების მათეულ ხედვასთან დაკავშირებით.

გამოხმაურება

# სემეკ-ის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ენერგოსისტემაში

**დემურ ჩომახიძე**
*სემეკ-ის ყოფილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

საქართველოს მოსახლეობას, ალბათ, კარგად ახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდი, როცა ენერგეტიკულმა კრიზისმა პიკს მიაღწია. სახეზე იყო ეკონომიკური დესტაბილიზაცია, დარგში აღმასრულებელი დისციპლინის მოშლა, ენერგეტიკული ობიექტების ძარცვა, კვალიფიციური კადრების გადინება და სხვა ნეგატიური მოვლენები.

ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტამ ელექტროენერგეტიკას დააკისრა მისთვის უჩვეულო ფუნქციები: შენობების გათბობა, საკვების მომზადება და ცხელი წყლით უზრუნველყოფა, ხოლო ზოგიერთი საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში სათბობის ელექტროენერგიით ჩანაცვლება, განსაკუთრებით პურის ქარხნებსა და უზომოდ მომრავლებულ საცხობებში. ელექტროენერგიის მომხმარებლები გადახდისუუნარონი აღმოჩნდნენ, საწარმოების მხრიდან მკვეთრად შემცირდა მოთხოვნა ენერგიაზე, ხოლო მოსახლეობამ, პირიქით, მკვეთრად გაზარდა ენერგიის მოხმარება. ელექტროენერგია განურჩევლად მიეწოდებოდა ყველას - გადამხდელსა და არგადამხდელს. დარგის შემოსავლები 15-20 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. ამის გამო შეყოვნდა, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად შეწყდა ენერგეტიკული ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტები, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება, მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემა. დარგს ფარულად დაეკისრა სოციალური უზრუნველყოფის ფუნქცია. სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ინერციით განაგრძობდნენ ფუნქციონირებას, მოძველებულ და ენერგოტევად ტექნოლოგიებს იყენებდნენ. ასეთი საწარმოებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება კი არაკონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების იძულებით ხელშეწყობად იქცა. შედეგად, დიდ ზარალს განიცდიდა არა მარტო დარგი და მომხმარებელი, არამედ მთლიანად ქვეყანა, გროვდებოდა ვალები, რომელთა უმეტესობა, არ იყო გამორიცხული, რომ მომავალ ტარიფში ასახულიყო.

ელექტროენერგეტიკის მწვავე კრიზისს თან ერთვოდა სახელმწიფოს მხრიდან არგადახდებისადმი შემწყნარებლური მიდგომა და, რაც მთავარია, ენერგიაზე ფასწარმოქმნის არასწორი პოლიტიკა. მომხმარებელს ელექტროენერგია ხელოვნურად შემცირებული ტარიფით მიეწოდებოდა. გავიხსენოთ 1995 წლის ზამთარი: ამ დროს საქართველოს მთავრობამ თურქეთისგან სესხად მიიღო ელექტროენერგია იმ პირობით, რომ ზაფხულის თვეებში დაუბრუნდებოდა 1,7-ჯერ მეტი ოდენობით ან გადაუხდიდა საფასურს მაღალი ძაბვის ყოველი კილოვატსაათისათვის 7,0 აშშ ცენტს. საოცარი ის იყო, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობა დაბალი ძაბვის ამ კილოვატსაათებში იხდიდა მხოლოდ 25000 კუპონს, ანუ, მაშინდელი სავალუტო კურსით თუ ვიმსჯელებთ, 3,6-ჯერ ნაკლებს.

დაგვეთანხმებით, მუშაობის ასე გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლებოდა. დარგი აუცილებლად ითხოვდა ეკონომიკური რეფორმების გატარებას, საჭირო იყო ენერგოსაწარმოთა რესტრუქტურიზაცია. გარდაქმნის მიზანი იყო:

- რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, დარგში რეგულირების ფუნქციისა და სამეურნეო საქმიანობის გამიჯვნა;

- სახელმწიფო მონოპოლიის ეტაპობრივი ლიკვიდაცია, საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრება, კონკურენტული გარემოს შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა;

- ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესება და ეკონომიკის განვითარების მიზნით ელექტროენერგეტიკის სექტორში დეფიციტის შემცირება;

- დარგში წარმოების გაზრდა და ეფექტიანობის ამაღლება. საფინანსო დისციპლინის დაცვა, ელექტროენერგიის მომხმარებლებისთვის მომსახურების გაუმჯობესება;

- ელექტროენერგიის სტაბილური

**საქართველოს გარდა, ანალოგიური კომისიები უკვე ფუნქციონირებენ: უნგრეთში, ალბანეთში, პოლონეთში, მაკედონიაში, ესტონეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, რუმინეთში, მოლდოვაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მონღოლეთში და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მარეგულირებელი კომისიები, ჯერ-ჯერობით, არ არსებობენ მხოლოდ ბელორუსში, თურქმენეთში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში.**

მიწოდებით საწარმოებისა და კომპანიების მოგების ზრდა და ენერგეტიკული სისტემის ტექნიკური და მმართველობითი დონის გაუმჯობესება.

ენერგეტიკაში ეკონომიკურ გარდაქმნათა დიდი და რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) შექმნა. ასეთი სამსახურის ჩამოყალიბება, პირველ რიგში, ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობებიდან გამომდინარეობს. იგი ცივილიზებული მსოფლიოს მიერ ბუნებრივი მონოპოლიების წარმატებული ფუნქციონირების კარგად აპრობირებული ორგანოა. ამ გზას დაადგა აშშ საუკუნეზე მეტი ხნის წინ და ახლაც აგრძელებს მას. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიები არსებობს ლათინური და ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და აფრიკის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში.

აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში უკვე 10 წელზე მეტია, მიმდინარეობს მარეგულირებელი კომისიების ჩამოყალიბების პროცესი; საქართველოს გარდა, ანალოგიური კომისიები უკვე ფუნქციონირებენ: უნგრეთში, ალბანეთში, პოლონეთში, მაკედონიაში, ესტონეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, რუმინეთში, მოლდოვაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მონღოლეთში და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მარეგულირებელი კომისიები, ჯერჯერობით, არ არსებობენ მხოლოდ ბელორუსში, თურქმენეთში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში.

მარტივად თუ ვიტყვით, რეგულირება, სხვა არაფერია თუ არა საჭირო მიზნის მისაღწევად გარკვეული წესრიგის დადგენა. ეკონომიკის რეგულირება კი გულისხმობს მმართველი ორგანოების მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედებას მიმდინარე პროცესების გარკვეულ დონეზე მიღწევა-შესანარჩუნებლად ან თავიდან ასაცილებლად. ცენტრალიზებულ ეკონომიკაში ეს, უპირატესად, დირექტიული, ხოლო საბაზრო ეკონომიკაში, ძირითადად, საბაზრო მექანიზმების გამოყენებით ხდება. სახელმწიფოს მხრიდან ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება ისეთი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია ასეთი საწარმოების ფუნქციონირების მონოპოლიზაციის თავიდან ასაცილებლად და მომხმარებელთა დასაცავად. ენერგეტიკაში, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის დარგში, რეგულირების დანიშნულებაა ქცევის ისეთი წესების შექმნა და განხორციელება, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებულია საბაზრო ურთიერთობებთან, ხოლო რეგულირების ფორმა და მექანიზმი ითვალისწინებს როგორც მომხმარებელთა, ისე მწარმოებელთა ინტერესებს.

როგორია სემეკის მუშაობის პირველი შედეგები განვლილი 7 წლის მანძილზე?

როგორც ცნობილია, სემეკი ელექტროენერგიის ტარიფების დადგენასა და რეგულირებას, აგრეთვე, დარგის საწარმოთა ლიცენზირებას თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ახორციელებს, ხოლო ბუნებრივ გაზზე ეს ფუნქცია მას 1999 წლის მაისიდან დაეკისრა. იგი გამოსცემს დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, რომლებიც ენერგეტიკის სფეროს ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს; განიხილავს და წყვეტს ამ სფეროს საქმიანობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს. კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა ლიცენზირების, ელექტრობაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზებისა სხვა მიმართულებით. 2001 წლის 1 ივნისიდან სე-

**ცენტრალიზებულ პირობებში მართვის ყველა ფუნქციას სახელმწიფო ასრულებდა, რაც, როგორც დავინახეთ, წარუმატებელი აღმოჩნდა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის შემდეგ სახელმწიფოს ჩამოსცილდა მარეგულირებელი ფუნქციები, ხოლო კომერციული ფუნქციები უშუალოდ სამეურნეო სუბიექტებს დაეკისრათ. სახელმწიფო კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და პოლიტიკის განსახორციელებლად ე.წ. ღამის დარაჯის როლს ასრულებს;**

მეკში ფუნქციონირებს სამოქალაქო უფლებების დაცვის ქვედანაყოფი, ხოლო 2003 წლის 1 ოქტომბრიდან - მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამოუკიდებელი სამსახური. სემეკის ერთ-ერთი ფუნქციაა დარგში სერტიფიცირების სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია. იგი ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირველი ორგანიზაციაა სახელმწიფოში. მისი შექმნისა და ფუნქციონირების გამოცდილება გაზიარებულ იქნა ქვეყანაში ისეთი მარეგულირებელი კომისიების ჩამოყალიბებასა და მუშაობაში, რომლებიც მოქმედებენ კომუნიკაციების, ტრანსპორტის, ნავთობისა და გაზის მოპოვების სფეროში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დარგის ლიცენზიატთა და მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა სემეკში საკუთარი ინტერესების ჭეშმარიტ დამცველს ხედავს. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს უცხოელ კოლეგებს შორისაც; ერთ-ერთი დამფუძნებელია ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონული ასოციაციისა, რომელიც 2000 წლის დეკემბერში ევროპისა და აზიის 15 ქვეყნის ინიციატივით შეიქმნა. ახლა ამ ორგანიზაციაში 23 სახელმწიფოა გაწევრიანებული.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ქმედების, მათ შორის მარეგულირებელი ორგანოს მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობა გაწეული ხარჯებისა და მიღებული შედეგების ურთიერთდაპირისპირებით იზომება. ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ.

სემეკის დაფინანსება, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რეგულირებადი საწარმოებიდან ე.წ. "რეგულირების საფასურის" გადახდის ხარჯზე ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს ტვირთად არ აწევს; დარგი თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობს. "რეგულირების საფასურის" სიდიდემ კი უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი ორგანოს ნორმალური ფუნქციონირება. სემეკის შემთხვევაში, ეს ხარჯები რეგულირებად საწარმოთა შემოსავლების დაახლოებით 0,45 პროცენტია. რაც შეეხება სემეკში დასაქმებულთა რაოდენობას, მის სიდიდეზე კარგად მეტყველებს შემდეგი მონაცემები. 2003 წლის მდგომარეობით, ელექტროენერგეტიკასა და ბუნებრივი გაზის სექტორში მუშაობდა 16600, ხოლო სემეკში - 92 მუშაკი, ანუ ენერგეტიკაში მომუშავეთა საერთო რაოდენობის 0,55%. თითოეულ მომუშავეზე გაანგარიშებით, საშუალო წლიური დანახარჯები, დაახლოებით, დარგის ანალოგიური მაჩვენებლის დონეზეა.

როგორც ვხედავთ, სემეკის ხარჯები განსაკუთრებული არ არის, ხოლო შედეგები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, დარგისათვის და ქვეყნისათვის ნამდვილად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოა. თანხებში მისი რაოდენობრივი შეფასება, ცხადია, შეუძლებელია.

განვლილ პერიოდში სემეკს საშუალოდ წლიურად მიღებული აქვს 30 დადგენილება და 65 გადაწყვეტილება, რომელთაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ დარგის განვითარებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია: ლიცენზირების წესები, ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიები, საბაზრო წესები, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების და მოხმარების წესები, სექტორში არსებული დავების გადაწყვეტის წესები და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა, ამ შემთხვევაში, ძალზე შორს წაგვიყვანდა.

სემეკის მუშაობის განვლილ 7-წლიან პერიოდში უკვე გამოიკვეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები:

**მარეგულირებელ კომისიას მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს განსახორციელებელი დარგის ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების გაცილებით ეფექტურად შესასრულებლად, სატარიფო მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის, საბაზრო წესების დახვეწისა და უფრო მძლავრად ასამოქმედებლად, მომხმარებელთა უფლებების უკეთ დასაცავად, სექტორის საფინანსო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და სრულყოფისათვის.**

- გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები შეიქმნა ენერგეტიკულ სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის, საფუძველი ჩაეყარა დარგის თვითდაფინანსებას. სატარიფო განაცხადის სემეკში განხილვისას ლიცენზიატებს საშუალება აქვთ, სრულად გამოავლინონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და სათანადო დასაბუთების შემთხვევაში მიაღწიონ მათ ფინანსურ ასახვას ტარიფში;

- ამაღლდა ენერგიით სარგებლობის საფასურის გადახდის მაჩვენებელი, რომელიც პირველ წლებში მეტად დაბალი იყო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სემეკმა მიიღო არაერთი გადაწყვეტილება, სადაც უფრო უკეთ იქნა გათვალისწინებული ენერგიის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესები. ამ თვალსაზრისით საკმარისია აღინიშნოს სემეკის დადგენილება "პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესის შესახებ." ამ წესის მიხედვით, ახლა გენერაციის ობიექტები და სამრეწველო საწარმოები ერთმანეთთან აფორმებენ ორივე მხარისათვის მისაღებ კონტრაქტებს ენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე;

- სტიმული მიეცა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას, დაიწყო პრივატიზაცია;

- დაწესდა გამოკვეთილი და სამართლიანი თამაშის წესები სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისათვის;

- ენერგეტიკულმა დარგმა თავი დაიზღვია პოლიტიკური ჩარევისაგან. კერძოდ, ასეთი ზეწოლისაგან უკეთაა დაზღვეული ტარიფები, აგრეთვე აქ განხორციელებული სხვა ხასიათის რეგულირება;

- ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფოს კომერციული და მარეგულირებელი ფუნქციები. ცენტრალიზებულ პირობებში მართვის ყველა ფუნქციას სახელმწიფო ასრულებდა, რაც, როგორც დავინახეთ, წარუმატებელი აღმოჩნდა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის შემდეგ სახელმწიფოს ჩამოსცილდა მარეგულირებელი ფუნქციები, ხოლო კომერციული ფუნქციები უშუალოდ სამეურნეო სუბიექტებს დაეკისრათ. სახელმწიფო კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და პოლიტიკის განსახორციელებლად ე.წ. ღამის დარაჯის როლს ასრულებს;

- შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები. გაიზარდა მათგან მეტი დახმარების მიღების შესაძლებლობა. სემეკის მიერ მიღებული ფუძემდებლური დოკუმენტების (ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიები, ლიცენზირების წესები და ბევრი სხვა) არსებობამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ენერგეტიკაში უცხო ინვესტიციების მოზიდვას. თვით მარეგულირებელი კომისიის შექმნა ერთ-ერთი მთავარი პირობაა ქვეყანაში საერთაშორისო სააგენტოებისა და ინვესტორების მოზიდვისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის, მსოფლიო ბანკთან, სავალუტო ფონდთან და სხვა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის; დიდია მათგან ენერგეტიკისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობაც.

მარეგულირებელი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში დარგში უთუოდ უფრო გამძაფრებული სახით იქნებოდა არასტაბილურობა და ქაოსი, მწარმოებელთა და მომხმარებელთა უკმაყოფილება, ენერგეტიკულ სტრუქტურებს შორის უფლება-მოვალეობათა, აგრეთვე, მესაკუთრის ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელ ფუნქციათა აღრევა; შემცირდებოდა კაპიტალის ნაკადი ენერგეტიკული რესურსების შეძენისა და დარგში ინვესტიციების განხორციელებისათვის; დაეცემოდა სამართლიანობის რწმენა.

მართალია, განვლილ პერიოდში საქართველოში ტარიფის ზრდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდას მნიშვნელოვნად აღემატებოდა, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რეგულირების გარეშე ტარიფის ზრდა უფრო დიდი იქნებოდა. ქვეყანაში ენერგიის მწვავე დეფიციტს ბაზარი უთუოდ უპასუხებდა ტარიფის უფრო მკვეთრი მატებით. უფრო ძნელი იქნებოდა მაღალი ტარიფისაკენ კომპანიათა სწრაფვის მოთოკვა.

ამის კონკრეტული მაგალითებიც სახეზეა. თბილისელებს, ალბათ, კარგად ახსოვთ, რომ 2001 წელს სს "ეი-ი-ეს თელასმა" სემეკში წარმოადგინა განაცხადი ყოველ კილოვატ საათზე მისი კუთვნილი ტარიფის 3,9 დან 17,15 თეთრამდე, ანუ 4,4-ჯერ გაზრდის შესახებ. სემეკის მიერ განხორციელებული დიდი მოცულობის სამუშაოებისა და უმძიმესი შეხვედრების შედეგად გამანაწილებელი კომპანიის პირვანდელი მოთხოვნა ტარიფის 13,25 თეთრით მატების შესახებ 3,648-მდე, ანუ 9,602 თეთრით შემცირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სემეკმა თბილისელი მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურის, დაახლოებით, 190 მლნ. ლარის ზედმეტად გადახდისაგან დაიცვა. ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე სს "თელასის" ახლანდელი სატარიფო განაცხადის განხილვის დროსაც.

სემეკის პრინციპული პოზიციიდან გამომდინარე არ შედგა დასავლეთ საქართველოს ჰესებისა და სს "თბილგაზის" პრივატიზაცია ტარიფის მეტისმეტი ზრდის მოთხოვნის გამო. მაშინ ფრანგი და ისრაელელი ინვესტორები, აღნიშნული ობიექტების შესყიდვის შემთხვევაში, ტარიფის, დაახლოებით, 2-3-ჯერ გაზრდას მოითხოვდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ხადორი ჰესისა და ექსპლუატაციაში არსებული თითქმის ყველა ენერგოობიექტისათვის ტარიფების დადგენის შესახებაც.

ზემოთ ნათქვამი, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სემეკის მუშაობაში არ იყოს ნაკლოვანებები და პრობლემები. რა თქმა უნდა, აქაც, ისევე როგორც ყველგან, ჯერ კიდევ არის გამოუყენებელი რეზერვები, მაგრამ ახლაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განვლილ პერიოდში მარეგულირებელი კომისიის საქმიანობა გაცილებით წარმატებული იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობებში. ამას აბრკოლებს ის ფაქტიც, რომ მომხმარებელთა დაბალი გადახდისუნარიანობის გამო დარგში დარღვეულია საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რაც მოხმარებული ენერგიის საფასურის გადაუხდელობაში გამოიხატება. შედეგად კი, ენერგიის საფასურის გადახდის დონე მხოლოდ 40-50%-ის ტოლია. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად საჭიროა ეფექტიანი სამართლებრივი ბერკეტების შემუშავება-ამოქმედება.

მარეგულირებელ კომისიას მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს განსახორციელებელი დარგის ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების გაცილებით ეფექტურად შესასრულებლად, სატარიფო მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის, საბაზრო წესების დახვეწისა და უფრო მძლავრად ასამოქმედებლად, მომხმარებელთა უფლებების უკეთ დასაცავად, სექტორის საფინანსო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და სრულყოფისათვის.

აღნიშნულ პრობლემათა მოგვარებით კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ენერგოსისტემაში.

სახელი ______ მისამართი ______

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონდომებულ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

## TV პროგრამა

24 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი. სისხლიანი წარწერა" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.50** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "სექსი და წმინდა ქალაქი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" (12) (მერიონ ბუსია) **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.50(შვეიცარია), 03.15(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.40** აკუსტიკა. **07.05** გარიგებით ქორწინება ინდოეთში. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **13.10** გადაცემა კიოსკი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ჩვენი შვილები. მხ ფილმი. რეჟისორი ბენუა კოენი. 2003. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **04.25** სორეია. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ატკინსის დიეტა" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - რომის პაპი **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - ფადოს მისია **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "პროფესიონალი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ისტორიის გრანდიოზული გაქცევები" **23.00** მრწამსი **23.30** მხ. ფილმი "გლობალური ჰერესი" **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "უდაბნოს მთვარე" (15) (კევინ დოულინგი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 1-2ს. **20.30** სერიალი "უშიშარნი" 1-ლი ს. **20.50** დოკ. ფილმი "ლენინის ბრალია" **21.45** კონცერტი **22.45** კინოსეანსი "ხაფანგი თანამდებობის სახით"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.20, 17.10, 04.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. "დალასი"-"დენვერი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** "ვაკაჭი-ნიუსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-4" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "არჩევანი თქვენ" **00.25** სპ. პროგრამა "გოლი" **00.55** მხ. ფილმი "რომის ბულვარი" (გ) (ლ. ვენტურა) **02.45** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.30** კომედია "აგენტი მეტსახელად სპოტი" **11.05** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფანტასტიკა "გატაკა" **13.25** დოკუმენტური ფილმი **14.45** ბოევიკი "გმირი" **16.25** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** კომედია "შესანიშნავი" **21.00** მხ. ფილმი "სიმართლე ჩარლის შესახებ" **23.00** "სტარტი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** თრილერი "წითელი ურჩხული"

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.30** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "სრული თავდავიწყება" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **23.30** მხ. ფილმი "წარსული მეორე მხარეს" (16)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Красиво плывут в комедии **"ПОЛОСАТЫЙ РЕЙС"**. **11.00** Сериал **"КЛОН"**. **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.10** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.30** Александр Михайлов в фильме **"РИСК - БЛАГОРОДНОЕ ДЕЛО"** **15.20** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. **15.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ"**. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** Криминальная Россия. "Последний роман обольстителя." 1-я серия. **19.00** Сериал **"КЛОН"**. **20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Андрей Соколов в многосерийном фильме **"БЛИЗНЕЦЫ"**. **22.40** Спецрасследование. "Собачий бизнес". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Кровавое воскресенье: век спустя". **00.20** Крылья. "И один в море воин". **00.50** "Русский экстрим". **01.20** Кристал Бернард в триллере **"ЛЕДИ ПРОТИВ СЛУЧАЯ"**. Когда женщина-частный детектив узнает, что опекун ее партнера убит, она начинает очередное расследование. Сложное и опасное... **02.50** Вуди Харрельсон в комедии **"КОРОЛЬ КЕГЕЛЬБАНА"**. В 1979 году Рой Мансон стал чемпионом страны по боулингу. Он был счастлив. Но, опьяненный успехом, поддался уговорам жулика Эрни Маккрэкена и дал втянуть себя в сомнительную авантюру. Расплата была жестокой: Рой лишился правой руки. Последующие 17 лет он зарабатывал на жизнь, поднося спортивное оборудование и подавая мячи резиновой рукой. Но однажды Рой увидел молодого паренька Исмаила Бурга, у которого был прирожденный талант к боулингу. И Мансон решает с его помощью достичь того, чего не смог добиться в молодости сам. **04.30** Константин Драганеску в триллере **"ТЕМНЫЙ АНГЕЛ"**.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Анатомия преступлений. **10.50** Сериал **"МАНГУСТ-2"**. **13.35** Жан-Поль Бельмондо в комедии **"ЧУДОВИЩЕ"** **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА"**. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Николай Чиндяйкин в боевике **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ"**. 1-я серия. **20.45** Светлана Ходченкова в сериале **"КАРУСЕЛЬ"**. 1-я серия. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** Сегодня 22.00. **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ"**. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Док. фильм "Образ вождя". **01.10** Особо опасен! **01.40** Виктор Сухоруков в фильме **"КОМЕДИЯ СТРОГОГО РЕЖИМА"** **03.05** Комедийный сериал **"ВРЕМЯ - ДЕНЬГИ"**. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Остросюжетный сериал **"ОПЕРАТИВНИК"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



# მსოფლიოს თავზე ლაჟვარდია

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში



ვიღაც იტყვის, რომ მხოლოდ გამოუსწორებელ ოპტიმისტს შეუძლია ასეთი სათაურის დაწერა. და ის სრული იდიოტიც უნდა იყოს, თუ იმის მტკიცებასაც გაბედავს, რომ ლაჟვარდოვანმა ფერმა შავი შეცვალა! არადა, სწორედ ასე ხდება ჩვენს, ნამდვილად არასაუკეთესო სამყაროში.

მაგრამ ვინ არიან ისინი, ვარდისფერი სათვალეებით აღჭურვილი ადამიანები, რომლებმაც დედამიწაზე ცისფერი ფერის მოჭარბება შენიშნეს? სამწუხაროდ, ეს არც პოლიტიკოსები არიან და არც სამხედროები, რომლებიც შავი სათვალის ტარებას არჩევენ. საუბარია ფერის ანალიტიკოსებისა და მოდის წინასწარმეტყველთა საერთაშორისო ქსელზე, რომლებიც მთელ თავის დროს ახალი, "დასამკვიდრებელი ფერის" შერჩევასა და შემდეგ მისი არა მარტო ტანსაცმლის, არამედ ინტერიერისა და ინდუსტრიულ ბიზნესში დამკვიდრებაზე ზრუნავენ. ცხადია, თავს იმედგაცრუებულად გრძნობთ იმის გამო, რომ ეს ადამიანები არც გაეროში სხედან, არც თეთრ სახლში, არც დაუნინგ-სთრითზე, არც კრემლში, არც ელისეის სასახლეში და არც სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ცისფერი ფერი მხოლოდ საცურაო აუზების შხეფების სახით თუ აღწევს. მაგრამ ამას ვერაფრით ვუშველით.

სხვათა შორის, ეს "ფერადოვანი ოპტიმისტები" აღიარებენ, რომ "შავი ფერის საბოლოო დამარცხება შეუძლებელია". მაგრამ, როცა ახალი სეზონი ახლოვდება, ისინი საკითხის ფორმულირებას ასე ახდენენ: "რა იქნება ახალი შავი?". 2004 წლის დასასრულს კი თანდათანობით გამოიკვეთა, რომ წლევანდელი წლის ფერის სახელი ერთი სიტყვით შეიძლება ითქვას: "აკვა". ლაჟვარდოვანი ფერი ბატონობდა 2005 წლის გაზაფხულის მოდის ჩვენებაზე ნიუ იორკში. ლაჟვარდით იყო მოსილი გავლენიანი დიზაინერების ნარსისიო როდრიგესისა და მაიკლ კორსას ქმნილებები - ბიუსტჰალტერით დაწყებული ბოლეროთი დასრულებული. მათი თქმით, შთაგონების წყაროს "ბრაზილიის პლიაჟების სერფერები და ეგეოსის ზღვის ფერი" წარმოადგენდა. იყო, ცხადია, შთაგონების ნაკლებად პოეტური წყაროებიც. მაგალითად, პარიზში "პრემიერ ვიჟის" ფეიქრების შოუ. შოუმ, რომელსაც სილურჯე აშკარად დაჰკრავდა, მთელი მსოფლიოს დიზაინერები მიიზიდა. "აკვა" მეფობდა მსოფლიო მოდის მეორე დედაქალაქში - მილანშიც. ქალის ზამშის ჩანთებით დაწყებული, "ბარბერის" მაკინტოშებით დამთავრებული. ეს კი არა, კითჩურ "Dans G" შოუზე, პარკეტიც კი ლურჯი იყო!

ძნელია, თითქმის შეუძლებელია, ერთი კონკრეტული ადამიანის დადგენა, რომელმაც, ღმერთის მიბაძვით, თქვა: "დე, იყოს ლურჯი ფერი". ეს უფრო ღმერთების რჩევა იყო. ეს განსაზღვრება ყველაზე მეტად, ალბათ, "Color Association and Pantone Inc."-ს შეეხება. ეს ასოციაცია სპეციალურად იმისთვის შეიქმნა, რომ კომერციულად სიცოცხლისუნარიანი ფერების პალიტრა შეარჩიოს, ორწლიანი მდგრადობით მაინც. მის მიერ შერჩეული პალიტრა ერთნაირად მიიღება მხედველობაში როგორც რალფ ლორენის, ასევე ფორდის მიერ. ითვლება, რომ ბიზნესი "წამყვანს" საჭიროებს, რომ "არასათანადო ფერის ტყვეობაში" არ გაეჭედოს.

თავისი უნდა მიეზღოთ ფერის ქურუმებსაც. ისინი თავიანთ ჯადოქრობას მისტიკურ საფარველში სულაც არ ახვევენ. "პირველ რიგში, მოდის სამყაროს მივმართავთ, - ამბობს "Pantone Color"-ის აღმასრულებელი დირექტორი ლეატრის აისმენი, - თუმცა, ფერთა გამა სხვადასხვა წყაროებიდან მოდის. მაგალითად, საბავშვო ნივთების ფერებს საბავშვო ფილმები გვკარნახობს. შარშან პოპულარული იყო "ნემო" და "შრეკი". ამ ფილმებმა მოდურად აქციეს მწვანე და ფირუზისფერი". ლეატრისი აღიარებს: "ჩვენ არ ვიგონებთ ფერებს - ისინი ბუნებაში არსებობს. ჩვენ მხოლოდ იმას ვსაზღვრავთ, საიდან მოდიან ისინი დროის გარკვეულ მონაკვეთში". პირდაპირ ისევე ჟღერს, როგორც გლინკას სიტყვები: "მუსიკას ხალხი ქმნის, ჩვენ მხოლოდ არანჟირებას ვუკეთებთ".

ზოგჯერ "hue du jour"-ს ტექნოლოგია კარნახობს. ასე 70-იან წლებში პოლიესტერების დარგში არსებულმა ნოვაციებმა "ძუნწი ფერების" გაბატონებას დაუდო დასაბამი, მაგალითად, ავოკადოსა და მოწითალო-მოყავისფროს. იშვიათად ისიც ხდება, რომ მოდური ფერის საფუძვლად "პიროვნების კულტი" იქცევა ხოლმე. ამის ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი ნენსი რეიგანია, რომელმაც "თითქმის ერთპიროვნულად" აქცია "ახალ შავად" - წითელი. პიროვნების კულტიდან კვლავაც ტექნოლოგიებს თუ დავუბრუნდებით, შეიძლება ითქვას, რომ 1998 წლიდან კომპიუტერულ ბაზარზე "Apple Imac"-ის გამოჩენამ მოდას ყურძნისა და ლიმონისფერი მოახვია თავს. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ სწორედ მაშინ ჩაისახა ამჟამინდელი სილურჯეც.

ახლა ლურჯი ფერი ვარდისფერსა და სტაფილოსფერს ცვლის. მაგრამ მოდის ქურუმები ამშვიდებენ მოდის იმ მიმდევრებს, რომელთა გარდეროზებიც ამ ფერის ტანსაცმლითაა სავსე. "ფერის ასოციაციის" დირექტორის, მარგარეტ უელშის თქმით, ეს ფერები ასე ადვილად არ დათმობენ თავიანთ ადგილს.

დაბოლოს, დაჯავშნული მატარებლის შესახებ სიმღერის არ იყოს, სათადარიგო გზაზე ყოველთვის გვხვდება შავი ფერი, რომელიც მოდიდან არასოდეს გადის - ის საბაზო ფერია. მგლოვიარე მსოფლიო - უკვდავი მოდაა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პლანეტა კოსმოსიდან ცისფერი ჩანს. მახსენდება გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები:

"ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს..."

ეს არ არის კოკო შანელის ან კრისტიან დიორის ფერი, მით უმეტეს, კაუდილიო ფრანკოსი, რომელმაც ფაშისტური აჯანყება წამოიწყო პაროლით "ესპანეთის თავზე მოწმენდილი ცაა". დროის ფერი - ვერაგი პალიტრაა. არსებობს ცისფერი ოცნება და ლერმონტოვისეული "ცისფერი მუნდირები"; და მორჩილი ხალხი, მორჩილი ზოგი მოდის, ზოგიც ხელისუფლების წინაშე. მორჩილი მონურად. ხალხო, ერიდეთ ვარდისფერი სათვალეებისა და "შავი პოლკოვნიკების" დალტონიზმს. ერიდეთ "მოდალურ" ზმნებს. ისინი გულებზე კი არა, სინდისზე ნადირობენ, ტანსაცმლის კი არა, აზრების უნიფორმირებას ახდენენ. მიუხედავად იმისა, რომ ტანსაცმლის მიხედვით გხვდებიან, სამაგიეროდ, აზრების მიხედვით გაცილებენ. თავად იცით, საითაც. თუმცა, ჩვენ ეს ნაკლებად გვეხება.

# 60 წელი ქალისთვის არაფერია

მომღერალი, რომლის სახელიც ბოლო დროს მხოლოდ სკანდალურ კონტექსტში ისმოდა, აქტიურ მუშაობას უბრუნდება. 60 წლის დაიანა როსს სურს ადამიანებს მისი წარმატებები უფრო დაამახსოვრდეთ, ვიდრე ჩავარდნები. უსიამოვნებები კი, დაიანა როსს ბოლო დროს არ აკლდა. შარშან მომღერალმა ორი დღე-ღამე ციხეში იმისათვის დაჰყო, რომ ნასვამი მართავდა ავტომობილს; 2000 წელს წარუმატებლად დასრულდა მისი ჯგუფის Supremes-ის საკონცერტო ტურნე. 2005 წლიდან კი დაიანა როსი საკონცერტო მოღვაწეობას დაუბრუნდება. მომღერალმა უკვე მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო საღამოზე - Reach Out and Touch, რომელიც 26 დეკემბრის კატასტროფას მიეძღვნა.

ამ დღეებში, ასაკის მიუხედავად, მომღერალმა კონტრაქტი გააფორმა კოსმეტიკური პროდუქციის მარკის M-A-C Cosmetics-ის სარეკლამო რეკლამაში მონაწილეობის შესახებ. კოსმეტიკური ხაზი, რომლის რეკლამირებასაც საკუთარ თავზე იღებს დაიანა როსი, პირველ რიგში უფროსი თაობის იმ ადამიანებზეა გათვლილი, ვინც აქტიური ცხოვრების სტილს არჩევს და თავს ახალგაზრდად მიიჩნევს.



ცუნამით დაზარალებულთა დახმარების გალა-აქცია
მასპინძელია
სასტუმრო «შერატონ-მეტეხი-პალასი» და
«ცუნამით დაზარალებულთა დახმარების კომიტეტი»
შემოსავალი გადაირიცხება ორგანიზაცია «წითელი ჯვრის» ანგარიშზე
შაბათს, 29 იანვარს
შამპანიურის კოქტეილი: 19.00 სთ.
სადილი: 20.00 სთ.
პროგრამაში: თბილისის ბიგ ბენდი, ჩუმი აუქციონი და ლატარეა
ჩაცმის კოდი: ნახევრად ოფიციალური
ინდივიდუალური ბილეთი: 50 აშშ. დოლარი
კორპორატიული ბილეთი (10 ადგილიანი მაგიდა): 700 აშშ. დოლარი
დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით კომიტეტის წევრებს:
საბინ მო: 899 14 02 24
ბეტსი პასკული: 899 75 09 99
ქრისტინა პეიერი: 877 79 44 64
სარა უილიამსონი: 877 42 50 85
ემი ლუმბანი: 877 43 38 60
რიჩარდ დოითლი: 877 56 50 06

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# ჯიხადის ქრესტომატია

*ჯერარგამოცემული კრებული, რომლის სავარაუდო სახელწოდებაც იქნება "ალ ქაიდას ქრესტომათია", უკვე იწვევს დავას შემოსავალთან დაკავშირებით. კრებულში შევა "ალ ქაიდას" მეორე პირის, აიამანა ალ ზავახირის პუბლიკაციები; ასევე, 2001 წლის 11 სექტემბრამდე გამოქვეყნებული ბენ ლადენის ტექსტები.*

"ალ ქაიდას ქრესტომათია" ალბათ მომავალ წელს გამოვა გაყიდვაში. ამ დროისათვის კი ყველაზე აქტუალურია შეკითხვა - რას მოხმარდება შემოსავალი? თუმცა, ამერიკაში ხომ საგამომცემლო საქმიანობა უამრავ პარადოქსულ მოვლენას იცნობს. როდესაც გაყიდვაში გამოვიდა ჰიტლერის "მაინ კამპფი", კომპანიამ Houghton Mifflin Co-მ შემოსავალი ანტიფაშისტურ ორგანიზაციებს ჩაურიცხა. რაში გამოიყენებს წიგნის გაყიდვიდან აღებულ მოგებას Bertelsmann's Doubleday Broadway, ჯერ არ გადაუწყვეტია.

იმ პირობებში, როდესაც ტერორიზმს ოფიციალურად ომი აქვს გამოცხადებული, როდესაც ამერიკა ბენ ლადენის მიმართ ზიზღითაა განწყობილი, როდესაც ჯერ კიდევ არ განელებულია 11 სექტემბრის ხსოვნა და დამოკიდებულება მისი ორგანიზატორებისადმი, მსგავსი წიგნის გამოცემას შეერთებულ შტატებშივე საკმაოდ რადიკალურ ჟესტად უნდა მიიჩნევენ.

"დარწმუნებულები ვართ, რომ ამერიკას დიდ სამსახურს ვუწევთ, როდესაც მისი ყველაზე დიდი მტერის აზრებს ვაქვეყნებთ. ვიცით, რომ გამოხმაურება მრავალგვარი იქნება, მაგრამ ჩვენთვის მთავარია ამ ტექსტების დიდ აუდიტორიამდე მიტანა", - ამბობს გამომცემლობის ხელმძღვანელი სტივენ რუბინი.

"ალ ქაიდას ქრესტომათიას" რამდენიმე წყარო აქვს. მათ შორისაა ბენ ლადენის, ეგვიპტეში გამოცემული წიგნი (გამომცემლობა International Jihad Press-ის მიერ); ასევე ორგანიზაცია "ეგვიპტური ისლამური ჯიხადის" შემნქმელის, 1998 წელს შეერთებულ შტატებში რამდენიმე საელჩოს ამფეთქებელის აიამანა ალ ზავახირის წიგნი, რომელიც იორდანიაშია გამოცემული.

სიტუაცია საკმაოდ პარადოქსულია. მასალები, რითაც ეს კრებულია შედგენილი, ამერიკის კონგრესის ბიბილიოთეკიდანაა. თუმცა, ვერავინ აცხადებს ხმამაღლა, თუ როგორ მოხვდა კონგრესის ბიბლიოთეკაში ტექსტები, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის განყოფილების ტექნიკური თანამშრომელი რეიმონდ იბრაჰიმი გადააწყდა. შემდეგ იბრაჰიმმა ნაპოვნი მასალა გადაუგზავნა ნიუ იორკელ ლიტერატურულ აგენტს, რომელმაც პროექტი Doubleday-ს მიყიდა.





საბოლოო ჯამში, წიგნში გაერთიანდება ჯიხადის მსოფლიო ლიდერების ნაშრომები, რომლებიც ეგვიპტესა და იორდანიაში გამოიცა; სტატიები არაბული პრესიდან, ინტერვიუები, სხვადასხვა ცნობები... ტყუილია იმაზე საუბარი, რომ საგამომცემლო სახლი Bertelsmann's Doubleday Broadway, რომელიც ამ წიგნის დაბეჭდვას აპირებს, საავტორო ჰონორარს გადაიხდის. საგამომცემლო სახლი Perseus Books LLC-ის დირექტორის პიტერ ოსნოსის აზრით, ფულს მხოლოდ იბრაჰიმი - წიგნის მთარგმნელი და ლიტერატურული აგენტი მიიღებენ. შეკითხვა - დაგეგმილია თუ არა რადიკალური ისლამისტებისთვის ფულის გადახდა, ღიად რჩება. ამიტომაც ამერიკულ საზოგადოებაში ამ კრებულის გამოცემა გარკვეული აღელვების მიზეზია. გამომცემლებს ბევრი ეროვნული ტრაგედიით სპეკულაციაში სდებს ბრალს. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. მაგალითად ასეთი - საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა იმ იდეებზე, რასთანაც ის კონფლიქტშია. ბევრს ეს კრებული შეუძლია შეადაროს ჰიტლერის "მაინ კამპფს", მარქსის "კომუნისტურ მანიფესტს", ენგელსის ან "ტერნერის დღიურს", რომელსაც კითხულობდა ტიმოთი მაკვეი, ოკლაჰომას აფეთქების ორგანიზატორი. ყველა ეს წიგნი წიგნის მაღაზიაში შეგიძლიათ იყიდოთ. მაშ, რატომ არ შეიძლება მკითხველთა ფართო წრე გაეცნოს "ალ ქაიდას ქრესტომათიას"?

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.